
HELLO!
GEORGIA
#010 მაისი 2017 • 4.00₾
FASHION Special
+260
სეზონური რჩევა
კეიტ მიდლტონი
ოჯახური ცხოვრების
გულახდილი დეტალები
ნინა სუბლატი
პირადსა და
კარიერაზე
EXCLUSIVE
INTERVIEW AND PHOTOSHOOT
ყველაზე მასშტაბური შოუ
ცეკვავენ
ვარსკვლავები
მე-7 სეზონის ექსკლუზიური დეტალები
ISSUN 2449-2590
9 772449 259004





# KING DAVID

## LIMITED EDITION

### მუკუზნის საფერავი

ქართული პრემიალური ღვინო




ესპანელი მხატვრის

**აუგუსტო ფერერ დალმაუს**

ტილოზე აღბეჭდილი ქართული ისტორია

# რედაქტორის წერილი



*ზაფხულმა უკვე კარზე მოგვიკაკუნა და მოახლოება თბილი ამინდებითაც გვამცნო. ვიდრე გაზაფხულს საბოლოოდ დავემშვიდობებოდეთ, ცხელი თვეებისთვის შესაფერისად უნდა მოვემზადოთ.*

ეს ნომერი სწორედ სეზონური რჩევებითა და ბევრი საინტერესო ინფორმაციით მოგამარაგებთ. **HELLO!**-ს მაისის ნომრის გამოსვლა ემთხვევა ერთ-ერთი ყველაზე რეიტინგული მეგაშოუს – **„ცეკვავენ ვარსკვლავების“** ახალი სეზონის დაწყებას. მსოფლიოში სუპერპოპულარული ტელეშოუ საქართველოში მეშვიდე სეზონითა და ჩვეული ხმაურით დაბრუნდა. შოუს მთავარ მონაწილეებთან ჩვენ ექსკლუზიური ინტერვიუები ჩავწერეთ და ლამაზი ფოტოებიც გადავიღეთ. შესაბამისად, ჟურნალიდან ამომწურავ ინფორმაციას მოგაწვდით იმ შოუს შესახებ, რომელიც „ტელეიმედზე“ სამი თვის განმავლობაში გაგრძელდება.

მეათე ნომერში სხვა საპატიო სტუმრებსაც „გადაეყრებით“. მაგალითად, **ნინა სუბლატი** მეუღლესთან ერთად კარიერულ და ოჯახურ ცხოვრებაზე, ახალ ალბომებსა და ამერიკულ მომავალზე ისაუბრებს. **HELLO!**-ს ფურცლებზე შეგხვდებათ **კახაბერიც** – ყველასგან განსხვავებული და ორიგინალური ტანსაცმლის ხაზის ავტორი. აქვე გაიცნობთ გამორჩეულ, აქტიურ და ლამაზ ბებიებს – **ნანა ნებიერიძე**, **სოფიკო ნარჩემაშვილი** და **ნუკა კაციტაძე** საკუთარ გამოცდილებაზე მოგვიყვებიან.

რაც შეეხება მსოფლიო ვარსკვლავებს, **HELLO!** ამჯერად **ტომი ჰილფიგერის** ნიუ-იორკულ ცათამბჯენში გამოგზაურებთ. მაისის ნომერში განსაკუთრებული ადგილი დაეთმობა **კეიტ მიდლტონს**, რომელიც მკითხველებს უშუალოდ დედის ამპლუაში გაეცნობა. თვის ბოლოს **პიპა მიდლტონის** ქორწილია დაგეგმილი – ჩვენი ჟურნალი ყველა საინტერესო დეტალს წინასწარ გიამბობთ.

თავისი ადგილი უკავია მოგზაურობასაც, რომელიც აუცილებლად საქართველოდან უნდა დაიწყოს. **HELLO!** სამ ქალაქში გაჩერდა და **თელავის**, **ბათუმისა** და **ქუთაისის** ერთგვარი ტურისტული გიდი შეადგინა.

მაისი გაზაფხულსა და ზაფხულს შორის ერთგვარი გარდამავალი ხიდის ფუნქციას ასრულებს. ჩვენი გუნდი ამ თვეში თავის მოვლისა და მოდის ტენდენციების საკმაოდ „მსუყე“ ბლოკს გთავაზობთ. ალბათ ძალიან გაგახარებთ ის ფაქტიც, რომ მაისში **HELLO!**-ს FASHION დამატებაც გამოიცემა – 6 თვის მოდური ტრენდებითა და უამრავი რეკომენდაციით.

დაბოლოს: კიდევ ერთხელ გმადლობთ, რომ **HELLO!**-ს ირჩევთ. იმედია, გაზაფხულის ბოლო თვე მზიან, ფერად და თბილ მოგონებებს დაგიტოვებთ.

მე ცხელ-ცხელ ზაფხულამდე გემშვიდობებით...

*ნინო იოსელიანი*

*მთავარი რედაქტორი*

## რედაქტორის არჩევანი



გვ. 22



გვ. 80




გვ. 108



გვ. 110



გვ. 78



Mercedes-Benz FashionWeek
TBILISI
4-8 MAY
FALL / WINTER 17-18
HUAWEI P10
CO-ENGINEERED WITH Leica
WWW.MBFASHIONWEEKTBILISI.COM

# HELLO! GEORGIA სარჩევი

#010 • მაისი • 2017





კახაბერ ცისკარიძე 72



88 IDEAS FOR PROM

ტომი ჰილფიგერი 32



ქართველი ბებიები 62

## ვარსკვლავური ისტორიები


8 **„ცეკვავენ ვარსკვლავები“** – მეშვიდე სეზონის მთავარი გმირები

22 **ნინა სუბლატი** ოჯახური ცხოვრებისა და ამერიკული გეგმების შესახებ

32 **ტომი ჰილფიგერი** – ნიუ-იორკული სახლის ჯადოსნური დეტალები

48 **კეიტ მიდლტონი** დედობის უპირატესობებსა და გამოწვევებზე

56 **პიპა მიდლტონი** – ერთი დღის 25 დეტალი

62 **ნანა ნებიერიძე, სოფიკო ნარჩემაშვილი & ნუკა კაციტაძე** – თანამედროვე ქართველი ბებიები

72 **კახაბერ ცისკარიძე** ახალი ტანსაცმლის ხაზის შესახებ


## მუდმივი რუბრიკები


28 **INSIDE STORY** – ექსკლუზიური დეტალები ვარსკვლავების ცხოვრებიდან

44 **PANORAMA** – საგანმანათლებლო პროექტი გმირების შვილებისთვის

46 **30 დღე** – მსოფლიო მოვლენების მიმოხილვა

70 **CINEMA MATTERS** შუქი! კამერა! გადაღება!

130 **HALF HOUR** – ათუკა ედიშერაშვილი



დასაწ. **77** გვ.-დან

# lifestyle

მოდა • სილამაზე • რჩევები
მოგზაურობა • კულინარია





შპს "ფაბერლიკი-საქართველო", საქართველო, ქ. თბილისი, გ. გეგეჭკორის ქ. 18
6+
რეკლამა
faberlic
faberlic
COLOR ENERGY
Lip Gloss
მომღერალი გლუკოზა
წარმოგიდგენთ
საზაფხულო მაკიაჟის
კოლექციას "კარიბიანა"
faberlic
faberlic.com



სატელევიზიო პროექტი, რომელიც „ტელეიმედის“ ეთერში სამი თვის განმავლობაში იქნება, საინტერესო და მრავალფეროვანი მონაწილეებითაა სავსე

## ყველაზე მასშტაბური შოუ

# ცეკვავენ ვარსკვლავები

## მე-7 სეზონის ექსკლუზიური დეტალები



მე-7 სეზონის დასი — იესპერ ბლექი, ენი ბაჰოსი, ირაკლი მაქაცარია, ვიქტორია ვარლეი, ნოდარ რევია (მარცხნიდან მარჯვნივ) HELLO!-ს ექსკლუზიურ ფოტოსესიაში.



# „განსაკუთრებული პასუხისმგებლობა მაკისრია, რადგან ბრაზილიელი ვარ და ხალხი ჩემგან ბევრს მოელის. ფაქტობრივად, თავიდან ვსწავლობ ყველაფერს“

მე-6 მილიონე ტურისტი, ბრაზილიელი მოდელი, რუსეთში მცხოვრები ქართველი მომღერალი და ა.შ. ასეთი ინტერნაციონალურია „ცეკვავენ ვარსკვლავების“ მე-7 სეზონი, რომელსაც ძალიან დიდ რეიტინგს უწინასწარმეტყველებენ. სატელევიზიო პროექტი, რომელიც „ტელეიმედის“ ეთერში სამი თვის განმავლობაში იქნება, ამ სეზონზე განსაკუთრებით საინტერესო და მრავალფეროვანი მონაწილეებითაა სავსე. HELLO! მკითხველს მეგაშოუს დეტალებს მთელი პროექტის განმავლობაში ექსკლუზიურად შესთავაზებს, ამჯერად კი ვარსკვლავური დასის პირველ ნაწილს გაგაცნობთ.

**ᲘᲔᲡᲞᲔᲠ ᲑᲚᲔᲥᲘ:** დღემდე ვერ ვხვდები, რა ხდება ჩემს თავს. ჰოლანდიელი ვარ, მაგრამ ბოლო 2 წელია ბარსელონაში ვცხოვრობ. ასე რომ საქართველოდან ესპანეთში გავფრინდი და ჩემს ყოველდღიურობას დავუბრუნდი. ვიდეოს გამოსვლიდან 36 საათში კი „ცეკვავენ ვარსკვლავების“ პროდიუსერმა – ნოემ მომწერა და პროექტში მონაწილეობა შემომთავაზა. სიტყვებით ვერ ავხსნი, რამდენად უცნაურია ეს ყველაფერი ჩემთვის.

**ცეკვაში რაიმე გამოცდილება გქონიათ?**

**Ი.Ბ.** ვაღიარებ, რომ ნამდვილად ცუდი მოცეკვავე ვარ. არასოდეს მიცეკვია პროფესიულ დონეზე და მადლობელი ვარ, რომ პროექტში მიტანენ. როდესაც ეს შანსი გამომიჩნდა, მივხვდი, რომ მარტოხელა კაცს, რომელსაც არანაირი გეგმა არ აქვს, ასეთი შესაძლებლობა ხელიდან არ უნდა გაეშვა.

**ᲜᲝᲓᲐᲠ ᲠᲔᲕᲘᲐ:** დიდი ხანი მინდოდა საქართველოში ჩამოსვლა და ჩემი შემოქმედების ქართველი მსმენელისთვის გაცნობა. ნამდვილად არ ველოდი, რომ ასეთ შემოთავაზებას მივიღებდი. სხვათა შორის, პროექტში მონაწილეობას ბებიაჩემის ხათრით დავთანხმდი. რუსეთში არაერთ პროექტში მიმიღია მონაწილეობა, მაგრამ ბებიას ძალიან უნდოდა, რომ რომელიღაც ქართულ მეგაშოუში ჩავრთულიყავი. მიუხედავად იმისა, რომ მენისკის ოპერაცია მაქვს გადატანილი, მაინც გადავწყვიტე ამ ნაბიჯის გადადგმა. ძალიან ოპტიმისტურად ვარ განწყობილი და მაქსიმალურად ვცდილობ ქართველი მაყურებელი და ბებო გავახარო.

**გადატანილი ოპერაცია ხომ არ გიშლით ხელს ცეკვაში?**

**Ნ.Რ.** როდესაც მოსკოვში ჩემს ექიმებს ვუთხარი, რომ ასეთ პროექტში ვაპირებდი მონაწილეობის მიღებას, არ დამიჯერეს. ძალიან მინდოდა საქართველოში ჩამოსვლა და მიმაჩნია, რომ მონდომებით ყველაფრის ▶



„საქართველოსთან ძალიან ბევრი რამ მაკავშირებს. მამით ქართველი ვარ, ასე რომ ჩემშიც საქართველოს ნაწილია. სხვათა შორის საქართველოში ერთ-ერთ სერიალში ვიღებდი მონაწილეობას“ — ვიქტორია ვარლეი

„ნამდვილად არ ვარ ცნობილი სახე და არც ამხელა ყურადღებას გახლავართ მიჩვეული, თუმცა შანსი ხელიდან არ გავუშვი“ — იესპერ ბლექი

## „ბავშვობაში საბალეტო სკოლაში დავდიოდი, ასე რომ რაღაც საფუძველი მაქვს“ — ვიქტორია ვარლეი

## „მენისკის ოპერაცია მაქვს გადატანილი, მაგრამ მაინც გადავწყვიტე ამ ნაბიჯის გადადგმა“ — ნოდარ რევია



გაკეთებაა შესაძლებელი. სამი თვე აქ უნდა გავატარო, მაგრამ პარალელურ რეჟიმში არც ჩემს ძირითად საქმიანობას ვივიწყებ. აქ ყოფნის დროს, ქართული სიმღერის პრეზენტაციასაც ვგეგმავ, რომლითაც მინდა, რომ ქართველ მსმენელს ჩემი თავი გავაცნო.

**ვიქტორია ვარლეი:** საქართველოსთან ძალიან ბევრი რამ მაკავშირებს. მამით ქართველი ვარ, ასე რომ ჩემშიც საქართველოს ნაწილია. სხვათა შორის, საქართველოში ერთ-ერთ სერიალში ვიღებდი მონაწილეობას. ასევე ვითამაშე ნანა ჯორჯაძის ფილმშიც, თუმცა „ცეკვავენ ვარსკვლავები“ ნამდვილად ახალი ხილია. ჩემი და ნოეს საერთო მეგობარი დამიკავშირდა და პროექტში მონაწილეობა შემომთავაზა. მაშინვე დავთანხმდი. ძალიან მინდოდა, რომ საქართველოში დიდი დრო გამეტარებინა. თან, ჩემი საყვარელი კერძის – ჩაქაფულის სეზონი მოდის და ვერც ამ შანსს გავუშვებდი ხელიდან.

**სხვა მონაწილეებისგან განსხვავებით, ცეკვის მცირე გამოცდილება გაქვთ...**
**ვ.ვ.** ბავშვობაში საბალეტო სკოლაში დავდიოდი, ასე რომ რაღაც საფუძველი მაქვს, თუმცა ცეკვა ფეხის ტრავმის შემდეგ შევწყვიტე და სამსახიობო განხრით წავედი. მიუხედავად ამისა, ყველაფერი, რისი კეთებაც პროექტში მიწევს, ჩემთვის სიახლეა. ეს არაადამიანური შრომაა, რომელიც ერთი შეხედვით არ ჩანს, თუმცა სრული პასუხისმგებლობით ვიტყვი, რომ ყოველი LIVE შოუსთვის მომზადება უდიდესი შრომაა.

**ირაკლი მაქაცარია:** სიმართლე გითხრათ, ეს ყველაფერი ბევრად მარტივი მეგონა, თუმცა ძალიან გამიმართლა. ჩემ გვერდით „ქალღმერთი“ აღმოჩნდა. მინდა აღვნიშნო, რომ წლევანდელ სეზონში უძლიერესი მოცეკვავეები მონაწილეობენ, თუმცა სალომე ერთ-ერთი საუკეთესოა და მის გვერდით ცეკვა უდიდესი სიამოვნება და ამავდროულად კიდევ უფრო დიდი პასუხისმგებლობაა. ისიც ძალიან მიხარია, რომ სალომე არასოდეს გპატიობს მცირე შეცდომასაც კი, ასე რომ ყოველთვის მაძლევს შენიშვნებს, ყურადღებას აქცევს წვრილმანებს და ვხვდები, რომ მაქსიმალურად ვიხარჯები.

**იყავით მზად საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოსახვედრად?**
**ი.მ.** მსგავსი ყურადღების ცენტრში პირველად უკრაინაში ყოფნისას მოვხვდი. მედიისა და ხალხის მხრიდან ინტერესის საგანი 2 წლის წინ გავხდი და არ მიმაჩნია, რომ ამან ჩემში რაიმე შეცვალა. მზად ვარ იმისათვის, რომ პროექტის განმავლობაში ბევრს ილაპარაკებენ და განმიხილავენ. ჩემი და პროექტის მთავარი მიზანი ისაა, რომ მაყურებელმა მაქსიმალური სიამოვნება მიიღოს და რაღაც დროით მოწყდნენ რეალობას.

**ენი ბაჰოსი:** მე „მის საქართველოს“ – ნუკა ყარალაშვილის საშუალებით დამიკავშირდნენ. ბოლო დროს პარიზში ვცხოვრობ, მაგრამ იმ პერიოდში ბრაზილიაში, არდადეგებზე ვიყავი. ბევრი ფიქრი არ დამჭირვებია – მივხვდი, რომ ეს ძალიან საინტერესო გა- ▶



„მედიისა და ხალხის მხრიდან ინტერესის საგანი 2 წლის წინ გავხდი და არ მიმაჩნია, რომ ამან ჩემში რაიმე შეცვალა“ — ირაკლი მაქაცარია



„მე და ენიმ უკვე ავუღეთ ყველაფერს ალღო, მაგრამ დანარჩენი მონაწილეებიც გვეხმარებიან. ეს ჩვენთვის ახალი და ძალიან რთული გამოწვევაა“ — იესპერ ბლექი

## HELLO! მკითხველს მეგაშოუს „ცეკვავენ ვარსკვლავები“ დეტალებს მთელი პროექტის განმავლობაში ექსკლუზიურად შესთავაზებს

მოწვევა იყო და საქართველოში ჩამოსვლას დავთანხმდი.

**ბრაზილიელებს ცეკვა გენებში აქვთ. თქვენ თუ გაქვთ რაიმე ბექგრაუნდი?**

ე.ბ. ძალიან მიყვარს ცეკვა. ყოველ შაბათ-კვირას დავდივარ საცეკვაოდ. გარდა ამისა, ბრაზილიელი ვარ და სამბა ჩვენი ცეკვაა, მაგრამ პროექტში ყველაფერი სხვანაირადაა. აქ თითოეული მოძრაობის ზუსტად სწავლა გვიწევს, ასე რომ რაც ვიცოდი, ყველაფრის დავიწყება და თავიდან სწავლა მომიწია. ვფიქრობ განსაკუთრებული პასუხისმგებლობა მაკისრია, რადგან ბრაზილიელი ვარ და ხალხი ჩემგან ბევრს მოელის. სამბა ბავშვობიდან ვიცი, მაგრამ თეძოების მოძრაობაც კი სხვანაირია. ფაქტობრივად თავიდან ვსწავლობ ყველაფერს და ეს პროცესი მომწონს.

**როგორ შეხვდა ოჯახი საქართველოში თქვენს ჩამოსვლას?**

ე.ბ. სხვათა შორის, უპირველეს ყოვლისა, დედაჩემს დავურეკე რიო-დე-ჟანეიროში. ვკითხე, სწორად ვიქცეოდი თუ არა. მითხრა – ენი, ეს ახალი გამოცდილების მისაღებად არაჩვეულებრივი საშუალებააო. მივხვდი, რომ რაღაც განსაკუთრებული მელოდა და შანსი გამოვიყენე. H

**ტექსტი**: ნინუცა მაისურაძე
**ფოტო**: იკა პირველი
**სტილი**: თეონა ელიზბარაშვილი
**ჩაცმულობა**: TAMUNA INGOROKVA, AVTANDIL, SARAR, ALDO
**მაკიაჟი**: ანა გადელია, BEAUTY EXPRESS
**ვარცხნილობა**: NATALI
**ლოკაცია**: FUNICULAR

aro
mate
que

niche boutique

LUTECIA GROUP

NICHE BOUTIQUE
Address 17 Shavteli str.
0105 Tbilisi, Georgia
Hotel Ambassadori




**როგორც ამბობენ, ამჟამად პრინცის საყვარელი საქმიანობა ველოსიპედით სეირნობაა, პრინცესასი კი – ძმის დევნა.**



## ნიკოლ შერზინგერი

**PUSSYCAT DOLLS**-ის სექსუალურმა სოლისტმა პროექტში „ცეკვავენ ვარსკვლავები“ 2010 წელს გაიმარჯვა. 22 მარტს დაწყებული სატელევიზიო კონკურსის წამყვანები **ტომ ბერგერონი** და მეშვიდე სეზონის გამარჯვებული **ბრუკ ბურკი** იყვნენ. ჟიურის მოვალეობებს კი **ლენ გუდმენი**, **ბრუნო ტონიოლი** და **კერი ენ ინაბა** ასრულებდნენ. მეათე სეზონში ნიკოლის პარტნიორი **დერეკ ჰოუ** გახლდათ. 31 წლის მომღერალმა და 25 წლის პროფესიონალმა მოცეკვავემ უმაღლესი შეფასებები უნაკლოდ შესრულებული ჯაივისთვის დაიმსახურეს. ***„ამ შოუში მხოლოდ ერთმა უნდა გაიმარჯვოს. ეს ერთი კი შენ ხარ!“***, – მიმართა გუდმენმა შერზინგერს მას შემდეგ, რაც პოპვარსკვლავმა არგენტინული ტანგოც ანალოგიური წარმატებით შეასრულა. ჟიურის შეფასებებს დაეთანხმა მაყურებელიც, რამაც წყვილს საბოლოო გამარჯვება და საუკეთესო მოცეკვავის ტიტული მოუტანა. მოგებაში **PUSSYCAT DOLLS**-ში მიღებული გამოცდილებაც დაეხმარა. მე-2 და მე-3 პოზიციები ოლიმპიელმა **ევან ლაისასეკმა** და სპორტის რეპორტიორმა – **ერინ ენდრიუსმა** გადაინაწილეს. ▶



# DANCING WITH THE STARS

## მსოფლიო მეგაშოუს მთავარი გმირები

პროექტი, რომელიც ამჟამად 42 ქვეყანასა და 377 გამარჯვებულს ითვლის, მაისის თვეში 13 წლის იუბილეს აღნიშნავს. BBC-ის ეთერში ვარსკვლავები პირველად 2004 წელს აცეკვდნენ. ერთი წლის შემდეგ მოცეკვავეებს უკვე აშშ-ში, ABC-ის არხზე გულშემატკივრობდნენ. მასშტაბები ნელ-ნელა გაფართოვდა. გაიზარდა გამარჯვებულთა სია და თითოეული მონაწილის პოპულარობაც. ხუთი წლის წინ საერთაშორისო ასპარეზს საქართველოც შეუერთდა და აუდიტორიას თავი წარმატებული პრემიერითა და ხმაურიანი ფინალით დაამახსოვრა. სულ ცოტა ხნის წინ „ცეკვავენ ვარსკვლავები" „იმედზე" მეშვიდე სეზონით დაბრუნდა.

ქართველ მონაწილეებთან ერთად HELLO! შოუს საერთაშორისო ვარსკვლავებსაც გაგაცნობთ... ნიკოლ შერზინგერი, რობ კარდაშიანი, SPICE GIRLS-ელი მელანი ბი, BACKSTREET BOYS-ელი ნიკ კარტერი, პოპვარსკვლავი მია, კელი და ჯეკ ოზბორნები – ეს იმ ვარსკვლავთა არასრული ჩამონათვალია, რომლებმაც მაყურებლები სხვადასხვა ცეკვით მონუსხეს და მეგაშოუს პირველი, მეორე და მესამე ადგილები გადაინაწილეს. მათთან ერთად გამარჯვებულის ტიტულისთვის სხვადასხვა სეზონზე იბრძოდნენ კიმ კარდაშიანი, ტონი ბრექსტონი, მეისი გრეი და პამელა ანდერსონი. მიუხედავად იმისა, რომ მოწინავე პოზიციები არ დაუმსახურებიათ, მათ მიერ შესრულებული ქორეოგრაფიული ნომრები დღესაც პოპულარობით სარგებლობს.

აღსანიშნავია არანაკლებ ვარსკვლავური ჟიურიც – შემფასებელთა რიგებში ერთმანეთს ცვლიდნენ შერი, კევინ ჰარტი, ჯესი ჯეი, რიკი მარტინი, იდინა მენზელი და ა.შ. ყველა მათგანს ხუთი რამ აერთიანებდა – პროფესიონალიზმი, გემოვნება, კომპეტენტურობა, ხალხის ნდობა და სიყვარული.

**ნიკოლ შერზინგერი, რობ კარდაშიანი, SPICE GIRLS-ელი მელანი ბი, BACKSTREET BOYS-ელი ნიკ კარტერი, მია, კელი და ჯეკ ოზბორნები – ეს იმ ვარსკვლავთა არასრული ჩამონათვალია, რომლებმაც მაყურებლები სხვადასხვა ცეკვით მონუსხეს**








## პამელა ანდერსონი

„მაშველების“ ყველაზე სექსუალურ მონაწილეს „ცეკვავენ ვარსკვლავების“ მეათე სეზონმა უმასპინძლა. 2010 წელს გამარჯვება, როგორც უკვე გითხარით, **ნიკოლ შერზინგერს** ხვდა წილად. რაც შეეხება პამელას, მისი პარტნიორი პროფესიონალი მოცეკვავე **დემიენ უაიტვუდი** გახლდათ. წყვილმა თავდაუზოგავად იშრომა და დადებითი შეფასებებიც დაიმსახურა. თუმცა, მაყურებლის გადაწყვეტილებით, ანდერსონი შოუს მეშვიდე კვირის თავზე გამოეთიშა. პამელა პროექტს მე-15 სეზონზეც სტუმრობდა, თუმცა **მაკმანუსთან** ერთად შესრულებული ნომრის შემდეგ, კონკურსი პირველსავე ეტაპზე დატოვა. აღსანიშნავია, რომ 1990-იანების ყველაზე სექსუალურ ქალად აღიარებული ვარსკვლავი შოუს არგენტინულ ვერსიაშიც მონაწილეობდა.



**პამელა ანდერსონის პარტნიორი პროფესიონალი მოცეკვავე დემიენ უაიტვუდი გახლდათ. წყვილმა თავდაუზოგავად იშრომა და დადებითი შეფასებებიც დაიმსახურა**



## რობ კარდაშიანი

2011 წელს „ცეკვავენ ვარსკვლავების“ მეცამეტე სეზონის პრემიერა შედგა. **კერი ენ ინაბა**, **ლენ გუდმენი** და **ბრუნო ტონიოლი** ისევ ჟიურის წევრების სტატუსით დაბრუნდნენ. წამყვანების მოვალეობები კი **ტომ ბერგერონმა** და **ბრუკ ბურკმა** მოირგეს. ამ სეზონის ყველაზე გამორჩეული ვარსკვლავი „კარდაშიანების ბიჭი“ – **რობ კარდაშიანი** იყო, რომელიც მეორე ადგილს დასჯერდა. 9 მილიონზე მეტი ხმით, სეზონის გამარჯვებული მსახიობი **ჯოუს რენ მარტინესი** გახდა, მესამე პოზიცია კი **რიკი ლეინს** ერგო. რობმა, რომელმაც სახელი მოდელის საქმიანობითა და რეალითი-შოუში მონაწილეობით გაითქვა, საცეკვაო მოედანი და გულშემატკივართა გულები შერილ ბურკთან ერთად დაიპყრო. ბოლო წუთებამდე გამარჯვებულებად სწორედ მათ მოიაზრებდნენ, თუმცა მაყურებლებმა სხვაგვარად გადაწყვიტეს. სამბას დაუვიწყარი შესრულების შემდეგ, კარდაშიანმა მადლობა გადაიხადა მიღებული გამოცდილებისთვის და საჯაროდ განაცხადა: ***„სულაც არ ვარ გულდაწყვეტილი, იმიტომ, რომ ჩემთვის ესეც გამარჯვებაა“***.

## კიმ კარდაშიანი

„ცეკვავენ ვარსკვლავების“ მეშვიდე სეზონი ჯერ კიდევ იმ **კიმ კარდაშიანს** მასპინძლობდა, რომელიც არც სკანდალებით იყო ცნობილი და არც სხეულის შეცვლილი ფორმებით. მაშინ **კანიე უესტი** ჯერ კიდევ **ემბერს** ხვდებოდა. 2008 წლის შოუ ტომსა და სამანტას მიჰყავდათ. ტრადიციული შემადგენლობა იყო ჟიურიშიც. კიმი ეკრანებზე **მარკ ბელასთან** ერთად გამოჩნდა და კონკურსს მესამე ეტაპზე გამოეთიშა. პასო დობლეს შესრულების შემდეგ, ყველასთვის აშკარა გახდა, რომ მაყურებელს კარდაშიანი მხოლოდ ექსტრავაგანტური სამოსით დაამახსოვრდებოდა. კარდაშიანის პარტნიორმა აღნიშნა: ***„კიმი არ იყო საუკეთესო მოცეკვავე, მაგრამ მისი სახით ძალიან კარგი მეგობარი შევიძინე. მის ოჯახსაც კარგად ვიცნობ. ცეკვა ნამდვილად არ არის მისი საქმე. სამაგიეროდ, საოცარი ადამიანია“***.

მეშვიდე სეზონის გამარჯვებული მოდელი, მსახიობი და ტელეწამყვანი **ბრუკ ბურკი** გახდა. ▶











## მელ-ბი

შოუს მეხუთე სეზონს განსაკუთრებული მონაწილე ჰყავდა. საცეკვაო მოედანზე ამჯერად Spice Girls-ის ლეგენდარული წევრი – **მელანი ბრაუნი**, იგივე **მელ-ბი** გამოჩნდა და სხვადასხვა სირთულის ცეკვა **მაქსიმ ჩმერ-კოვსკისთან** ერთად შეასრულა. ბრიტანული შოუს Strictly Come Dancing ამერიკულ ვერსიაში **მელ-ბიმ** ფინალამდე მიაღწია და ბოლო ეტაპზე საუკეთესო შეფასებებიც დაიმსახურა. თუმცა, მაყურებლის გადაწყვეტილებით, გვირგვინი ბრაზილიელ ავტომ-რბოლელ **ჰელიო კასტრონევესს** ერგო, ბრიტანელი შემსრულებელი კი მეორე ადგილით დაკმაყოფილდა. რაც შეეხება მესამე პოზიციას, ის მომღერალმა **მერი ოსმონდმა** დაიკავა. მიუხედავად იმისა, რომ გამარჯვებას ერთადერთ ვარიანტად მოიაზრებდა, მელანიმ აღიარა, „თითქმის გამარჯვებითაც“ ბედნიერი ვარო: ***„ამ ყველაფრით ძალიან ვისიამოვნე“***. პარტნიორმა მომღერალი ბევრჯერ შეაქო, უკანასკნელი ცეკვის შემდეგ კი „სცენის დედოფლადაც“ „აკურთხა“.

**სეზონის შედეგები ერთ-ერთ ყველაზე უსამართლო გადაწყვეტილებად შეაფასეს და ერთხმად აღიარეს, რომ საუკეთესო მოცეკვავის ტიტულს სწორედ მია იმსახურებდა**



## მია

**მია** „ცეკვავენ ვარსკვლავების“ მეცხრე სეზონში გამოჩნდა და რიგით მეორე გვირგვინოსანი გახდა! 2009 წლის შოუს წამყვანები, ისევ და ისევ, **ტომ ბერგერონი** და **სამანტა ჰარისი** იყვნენ, ჟიურის შემადგენლობაში კი **ლენ გუდმენი**, **ბრუნო ტონიოლი** და **კერი ენ ინაბა** შედიოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ **მიამ** და **დმიტრიმ** შემფასებლების უმაღლესი ქულები მიიღეს, მაყურებელმა გამარჯვება მაინც **დონი ოსმონდს** არგუნა. მესამე ადგილი კი ოზი ოზბორნის ქალიშვილმა – მომღერალმა **კელი ოზბორნმა** დაიკავა. სეზონის შედეგები ერთ-ერთ ყველაზე უსამართლო გადაწყვეტილებად შეაფასეს და ერთხმად აღიარეს, რომ საუკეთესო მოცეკვავის ტიტულს სწორედ **მია** იმსახურებდა. ***„გამოფიტული, მაგრამ ბედნიერი ვარ“***, – უთხრა მომღერალმა Good Morning America-ს წამყვანებს, – ***„რომ შემეძლოს, ამ ყველაფერს კიდევ ათჯერ გავიმეორებდი“***.





## მეისი გრეი

მეორეადგილოსან **მიასთან** ერთად, „ცეკვავენ ვარსკვლავების“ მეცხრე სეზონში ლეგენდარული **მეისი გრეიც** ასპარეზობდა. სამწუხაროდ, მეისი სწორედ ის ვარსკვლავი აღმოჩნდა, რომელმაც შოუ პირველმა დატოვა. მიუხედავად იმისა, რომ **ჯონათან რობერტსთან** ერთად ვენური ვალსი საკმაოდ კარგად შეასრულა, მეისიმ მაინც აღიარა: ***„ძალიან კარგ დროს კი ვატარებდი, მაგრამ ცეკვა ჩემი საქმე ნამდვილად არ იყო. მიხარია, რომ ცოტა რამ მაინც ვისწავლე“***.

**„ძალიან კარგ დროს კი ვატარებდი, მაგრამ ცეკვა ჩემი საქმე ნამდვილად არ იყო. მიხარია, რომ ცოტა რამ მაინც ვისწავლე“**





## ნიკ კარტერი

Backstreet Boys-ის ქერათმიანი ვარსკვლავი პროექტს 21-ე სეზონში შეუერთდა და მეორე საუკეთესოს ტიტულიც დამსახურებულად მიიღო. მეორეადგილოსან **ნიკ კარტერსა** და **შარნა ბურგესს** გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდნენ. უმაღლესი შეფასებები დაიმსახურა წყვილის მიერ შესრულებულმა ტანგომ, სალსამ და ჯაივმა. ბოლო „დარტყმა“ კი Backstreet Boys-ის Everybody (Backstreet's Back)-ზე დადგმული ქორეოგრაფიული ნომერი იყო, რომელიც სპეციალურ ეფექტებსა და დამატებით მოცეკვავეებსაც მოიცავდა. 1990-იანი წლების ჰიტით განსაკუთრებულად მოიხიბლნენ ისინი, ვისაც ამ სიმღერაზე თავის დროზე საკუთარი ცეკვები ჰქონდათ დადგმული. მარცხის მიუხედავად, ლეგენდარული ნიკ კარტერი მეორე პოზიციითაც ბედნიერი დარჩა.



„იმისათვის, რომ ხელოვანმა რაიმე ღირებული შექმნას, ბევრი ახალი ემოცია სჭირდება. შთაბეჭდილებების დაგროვება ყველაზე მნიშვნელოვანი პროცესია. საქართველოში, როცა შენ გარშემო არაფერი ხდება და ყველაფერი ყოველდღიურობაში გადადის, რთულია რაღაც გადმოსცე. შესაბამისად, აღარც მე მაქვს იდეა, სურვილი ან ენერგია, რომ სიმღერით რაიმე ახალი გავაკეთოთ“.

## ამერიკული ცხოვრების დასაწყისი

# ნინა სუბლატი და გიორგი შამანაური

## ოჯახური თანაცხოვრება & მუსიკალურ პროექტ PHONOTHEK-ის ახალი ალბომი



**„ნინა მკაცრიცაა, ბავშვურიც და მიამიტიც. ძალიან კეთილი და თბილია, თუმცა თუ კომფორტულად არ არის, ძალიან ცივი და მკაცრი ხდება. მე მომწონს ეს ყველაფერი“**

ერთმანეთი 4 წლის წინ გაიცნეს – მაშინ, როცა ნინა მუსიკალურ პროექტ „საქართველოს ვარსკვლავის“ კონკურსანტი იყო და დიდ სცენაზე პირველ ნაბიჯებს დგამდა. გიორგი პროექტში მიწვეული მუსიკოსი იყო, რომელიც კულისებს მიღმა იშვიათად ჩნდებოდა. ერთმანეთი თავიდანვე მოეწონათ, თუმცა სამი თვის განმავლობაში ურთიერთობა „შორიდან“ ჰქონდათ. ყველაფერი თანამშრომლობით დაიწყო. არც არაფერი დაუგეგმავთ. ნინა „საქართველოს ვარსკვლავი 2013“ გახდა. პროექტის დამთავრების შემდეგ, გიორგი ნინას გამარჯვების მისალოცად შეხვდა. ნელ-ნელა შეხვედრების რიცხვმა იმატა და დაახლოებით სამ თვეში დაოჯახდნენ.

**როგორია ორი ხელოვანის ერთ ჭერქვეშ ცხოვრება? რთულია?**

ნ.ს. იმდენად მიყვარს ჩემი საქმე და იმდენად ძვირფასია ჩემთვის, რომ სხვა ადამიანებისთვის, რომლებიც ხელოვნებაში ასე მძაფრად არ არიან ჩაბმულნი, ხშირად გაუგებარია ხოლმე ჩემი ეს დამოკიდებულება. ფიქრობენ, რომ ცოტა გულცივი ადამიანი ვარ და საქმე უფრო მიყვარს, ვიდრე მეგობრები ან ახლობლები. როცა ჩემი პარტნიორი მუსიკოსი გახდა, ყველასთვის უფრო გასაგები აღმოჩნდა ეს ყველაფერი. გიორგისაც ზუსტად იგივე დოზით უყვარს თავისი საქმე, როგორც მე, ამიტომ ძალიან მარტივად ავაწყეთ ურთიერთობა. ჩვენს შემთხვევაში მუსიკა პირად ურთიერთობაში ხელშემწყობი ფაქტორია – უფრო გვაახლოებს ერთმანეთთან. ორივე ისეთი ადამიანები ვართ, რომ ალბათ პირიქით – გაგვიჭირდებოდა სხვა პროფესიის პარტნიორებთან ერთად ცხოვრება.

**ნინა გარეგნულად ცოტა მკაცრი ჩანს. როგორია ყოველდღიურ ცხოვრებაში?**

გ.შ. ნინა მკაცრიცაა და, ამავდროულად, ბავშვურიც და მიამიტიც. ძალიან კეთილი და თბილია, თუმცა თუ კომფორტულად არ არის, მაშინვე ძალიან ცივი და მკაცრი ხდება. მე მომწონს ეს ყველაფერი. ►

**„ასაკი არ განსაზღვრავს პიროვნების ტიპაჟს. როცა ვამბობ 22 წელს, მგონია, რომ სხვის ასაკს ვამბობ. არანაირი კავშირი არ მაქვს 22 წელთან, 13-წლიანი სხვაობა ჩვენს ურთიერთობას აბალანსებს“**



**ასაკობრივი სხვაობა ურთიერთობაში დისკომფორტს აჩენს?**

**გ.შ.** ჩვენ შორის სხვაობა 13 წელია. სხვისი გადმოსახედიდან ეს შესაძლოა დიდი კონტრასტია, თუმცა როცა ვფიქრობ, ზოგჯერ მეც არ მჯერა, რომ 35 წლის ვარ. წლები მომემატა, მაგრამ ბავშვური განწყობა, ემოციები და შეხედულებები ჩემში უცვლელი დარჩა და ეს 13 წელი ჩვენს ურთიერთობას ხელს არ უშლის.

**ნ.ს.** ასაკი არ განსაზღვრავს პიროვნების ტიპაჟს. გიორგი სულიერად უფრო ახალგაზრდაა, ვიდრე რიცხობრივად. მე კი პირიქით – როცა ვამბობ 22 წელს, მგონია, რომ სხვის ასაკს ვამბობ. არანაირი კავშირი არ მაქვს 22 წელთან. 13-წლიანი სხვაობა ჩვენს ურთიერთობას აბალანსებს.

**ოთხი წელია ერთად ცხოვრობთ. ნინა, როდის იქნებით დედობისთვის მზად?**

**ნ.ს.** ალბათ ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი, რაც ადამიანმა შეიძლება შექმნას, არის ბავშვი. ჩემთვის შვილების გაჩენა შემოქმედებაა, თუმცა ამ ეტაპზე ჩვენი შემოქმედება მუსიკას უკავშირდება და ამას ვქმნით. ისე, მოსავლელად, სათამაშოდ და „რა საყვარელია“-ს საძახებლად გვყავს ძაღლი, რომელიც ჩვენი ურთიერთობის ტოლია და პირველივე დღიდან, როგორც შვილს, ისე ვუვლით.

**გ.შ.** ძალიან მიყვარს ბავშვები, მაგრამ რომ წარმოვიდგენ რამხელა ყურადღება, დრო და ენერგია სჭირდება შვილს, ვხვდები – ასეთი პასუხისმგებლობისთვის ჯერ მზად არ ვართ.

**ერთმანეთის შემოქმედების პირველი შემფასებლები ალბათ თქვენ ხართ. ერთიმეორის მიმართ კრიტიკულობა გახასიათებთ?**

**გ.შ.** მუშაობისას ერთმანეთს შენიშვნებს ვაძლევთ ხოლმე, რაც მცირე უთანხმოებას იწვევს, თუმცა ორივეს ისეთი ხასიათი გვაქვს, რომ ორ წუთში გვავიწყდება კამათი და ვრიგდებით.

**ნ.ს.** ბოლო დროს თითქმის მუდამ ერთად ვმუშაობთ – არ აქვს მნიშვნელობა მუსიკას ვქმნით თუ შოუს. ვცდილობთ ერთად შევარჩიოთ  თითოეული დეტალი. შენიშვნასაც არ ვაძლევთ ერთმანეთს – უფრო იდეების შეთავაზების ფორმა აქვს ამ ყველაფერს. უკვე ვისწავლეთ კონტაქტის ისე დამყარება, რომ ზედმეტი არ ვუთხრათ ერთმანეთს და საკუთარი რეპლიკით არ ვაწყენინოთ.

**როგორ დაიწყეთ საერთო მუსიკის შექმნა?**

**გ.შ.** ძალიან დიდი ხანია დაინტერესებული ვარ საუნდინჟინერიით. ერთ დღესაც ვთქვით, რომ ჩაგვეწერა პირველი ერთობლივი ნამუშევარი.  მე გავაკეთე ერთი თემის არანჟირება, ნინამ დაწერა ტექსტი და ვოკალის ხაზი. ნინას ხმის ტემბრი დასამუშავებლად ჩემთვის საინტერესო აღმოჩნდა. ჩავწერეთ და მოგვეწონა. ამის შემდეგ ვცდილობთ ▶

**„საცხოვრებლად ამერიკაში გადასვლას ვგეგმავთ. მომავალ წელს, ამ დროს, წესით უკვე იქ ვიქნებით. მიმდინარეობს წინასწარი მოლაპარაკებები. გვინდა, რომ ნინამ ახალი პროექტი გააკეთოს, რომელიც არ იქნება „ნინა სუბლატი“.**



„იმდენად მიყვარს ჩემი საქმე და იგი იმდენად ძვირფასია ჩემთვის, რომ სხვა ადამიანებისთვის, რომლებიც ხელოვნებაში ასე მძაფრად არ არიან ჩაბმულნი, ხშირად გაუგებარია ხოლმე ჩემი ეს დამოკიდებულება“.

**„ნინას ხმის ტემბრი დასამუშავებლად ჩემთვის საინტერესო აღმოჩნდა. ჩავწერეთ და მოგვეწონა“**



„ძალიან მიყვარს ბავშვები, მაგრამ რომ წარმოვიდგენ რამხელა ყურადღე-ბა, დრო და ენერგია სჭირდება შვილს, ვხვდები – ასეთი პასუხისმგებლობისთვის ჯერ მზად არ ვართ“.



**„ჩემთვის შვილების გაჩენა შემოქმედებაა, თუმცა ამ ეტაპზე ჩვენი შემოქმედება მუსიკას უკავშირდება. ისე, მოსავლელად, სათამაშოდ და „რა საყვარელია“-ს საძახებლად გვყავს ძაღლი, რომელიც ჩვენი ურთიერთობის ტოლია“**

უფრო ხშირად გავაკეთოთ ერთობლივი ნამუშევრები.

**თქვენს ახალ ერთობლივ პროექტზე – PHONOTHEK-ზე მოგვიყევით.**

ნ.ს. PHONOTHEK – არ არის კომერციული პროექტი, DARK AMBIENT-ის ჟანრია. თითოეული კომპოზიცია ფილმის საუნდტრეკს უფრო ჰგავს. პროექტის ფარგლებში სულ 30 კომპოზიცია გავაკეთეთ, თუმცა პირველ ალბომში LOST IN FOG რვა კომპოზიცია შევიდა. ალბომი აშშ-ში გამოიცა და ძალიან დიდი წარმატებით გაიყიდა შტატებში, ევროპაში და მათ შორის საქართველოშიც. კალიფორნიულ-შვედური ლეიბლი, რომლითაც ალბომი გამოვიდა, ამ ჟანრში ყველაზე წარმატებულია. მივიღეთ შემოთავაზება, პროექტის ფარგლებში გაგვეკეთებინა მეორე ალბომიც. დაახლოებით ოთხ თვეში მზად გვქონდა რვა ახალი კომპოზიცია, რომელიც საქართველოში, ჩვენს სტუდიაში ჩავწერეთ. ახლა უკვე მსოფლიო მასშტაბით იყიდება მეორე ალბომიც.

**როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?**

ნ.ს. იმისათვის, რომ ხელოვანმა რაიმე ღირებული შექმნას, ბევრი ახალი ემოცია სჭირდება. შთაბეჭდილებების დაგროვება ყველაზე მნიშვნელოვანი პროცესია. საქართველოში, როცა შენ გარშემო არაფერი ხდება და ყველაფერი ყოველდღიურობაში გადადის, რთულია რაღაც გადმოსცე. შესაბამისად, აღარც მე მაქვს იდეა, სურვილი ან ენერგია, რომ სიმღერით რაიმე ახალი გავაკეთო.

ზ.შ. საცხოვრებლად ამერიკაში გადასვლას ვგეგმავთ. მომავალ წელს, ამ დროს, წესით უკვე იქ ვიქნებით. მიმდინარეობს წინასწარი მოლაპარაკებები. გვინდა, რომ ნინამ ახალი პროექტი გააკეთოს, რომელიც არ იქნება „ნინა სუბლატი“. H

---

**ტექსტი**: ზურა მახარაშვილი
**ფოტო**: ირაკლი პირველი
**სტილი**: თეონა ელიზბარაშვილი
**ჩაცმულობა**: AVTANDIL
**მაკიაჟი**: ნათია რაზმაძე
**ლოკაცია**: MUSEUM HOTEL TBILISI


GEOX
RESPIRA
ჯეოქსი
სუნთქავს
თქვენი კომფორტისთვის
თბილისი: ვაჟა-ფშაველას გამზ. 26; ც. დადიანის 7 ს/ც "ქარვასლა"; აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ ს/ც "თბილისი მოლი"; ბათუმი: მ. აბაშიძის 13
www.icr.ge
დაპატენტებულია იტალიაში



# ირინა შეიკი & ბრედლი კუპერი
## პირველი შვილის მშობლები გახდნენ

**ბრედლი კუპერი** და **ირინა შეიკი** პირველი შვილის მშობლები გახდნენ. მიუხედავად იმისა, რომ პატარამ ჩვენს სამყაროში მარტის ბოლოს შეამოაბიჯა, წყვილმა სიახლე მხოლოდ აპრილის თვეში გაახმაურა. ეს არავის უკვირს იმიტომ, რომ 2015 წლიდან მოყოლებული, ბრედლი და ირინა ოსტატურად ახერხებენ პაპარაცებისგან თავის დაძვრენასა და პირადი სივრცის შენარჩუნებას.

გულშემატკივრებმა შეიკის ორსულობის ამბავიც მხოლოდ მაშინ გაიგეს, როცა 30 წლის მოდელი Victoria’s Secret Fashion Show-ზე მოზრდილი მუცლით გამოჩნდა. მას შემდეგ ათასი ჭორი გავრცელდა – ამბობდნენ, რომ წყვილი ერთმანეთს დაშორდა და ირინას შვილი მარტოს უნდა აღეზარდა; იმასაც ამტკიცებდნენ, ბრედლიმ საცოლეს უღალატა და სხვა ქალზე გაცვალაო. საბოლოოდ, აღმოჩნდა, რომ ისინი ისევ ერთად არიან, თავს ძალიან ბედნიერად გრძნობენ და პატარა გოგონასთან ერთად ახალ ცხოვრებას იწყებენ.

რაოდენ წარმოუდგენელიც უნდა იყოს, ცნობილი ამბავია, რომ შეიკი ბუნებით მეოჯახეა და შინაურ მყუდროებას ყველაზე მეტად აფასებს. ერთხელ მოდელმა HELLO!-სთან საუბარშიც აღნიშნა, რომ საკუთარი ბუდის აშენებაზე ოცნებობდა: ***„ჩვენ ჩვენი ოჯახებისთვის ვარსებობთ. ძალიან გამიმართლა, რომ საოცრად ერთიან, შეკრულ ოჯახში გავიზარდე. ჩემს მშობლებს ერთმანეთი 20 წლის წინ შეუყვარდათ და მათი ურთიერთდამოკიდებულება ჩემთვის დღემდე სამაგალითოა“***.

რუსმა ლამაზმანმა აღიარა, რომ თავადაც სურდა ვინმეზე ასე გულმოდგინედ ეზრუნა: ***„მთავარია, გვერდით სწორი ადამიანი გყავდეს. ჩემმა დამ შვილი 22 წლის ასაკში გააჩინა და ეს მისთვის დროული იყო. მე კი იანვარში 31-ის ვხდები და ვფიქრობ, სწორედ ახლაა დედობისთვის შესაფერისი მომენტი“***.

მოკლედ, აშკარაა, რომ ბავშვის გაჩენით ირინას სანუკვარი ოცნება ახდა – მას შინ უკვე ორი ყველაზე ძვირფასი ადამიანი ჰყავს და თავს ყველაზე ბედნიერ ქალად მიიჩნევს. იმედია, ქორწილის თარიღსაც მალე გვამცნობენ და პატარა გოგონასთან ერთად საჯაროდ გამოჩნდებიან. მანამდე კი შეგახსენებთ, რომ კუპერისა და შეიკის რომანი ორი წლის წინ დაიწყო და მას შემდეგ სამაგალითოდ ვითარდება.

ტექსტი: ელენე მარგველაშვილი. ფოტო: GETTY IMAGES.

# SOPHIE VILLY
## ახალი ალბომი PLANET A და ამერიკული ტურნე



18 აპრილს ქართველმა მუსიკოსმა და კომპოზიტორმა **Sophie Villy**-მ რიგით მესამე სტუდიური ალბომი – **Planet A** გამოუშვა. მომღერლის სიტყვებით, ახალი ნამუშევარი წინა ალბომებისგან საგრძნობლად განსხვავდება. ***„ახალ განზომილებას მივაგენი. ამ ალბომში სხვა განწყობა და სულიერი მდგომარეობა ტრიალებს. ბედ-ნიერების განცდა მეუფლება, რადგანაც ეს ჩემთვის ყველაზე საინტერესო ორწლიანი სამუშაო პროცესი იყო. ხმაზე მუშაობის დიდი გამოცდილება მივიღე და მიხარია, რომ ამ ალბომით ჩემს ცხოვრებაში ახალი ეტაპი იწყება“***, – ამბობს HELLO!-სთან საუბარში სოფი.

კომპოზიციები **Swim On** და **Reveal ნიკა მაჩაიძესთან – a.k.a Nikakoi**-სთან ერთად ჩაიწერა, რამაც თრიფ-ჰოპის, ალტერნატიული როკისა და ელექტრონული მუსიკის საინტერესო შერწყმა მოგვცა. სოფის ვოკალს პირველსავე ბგერიდან იცნობთ, და სწორედ ეს ინდივიდუალურობა გამოარჩევს მას, როგორც მომღერალს.

ახალი ალბომის მხარდასაჭერად დისკის პრეზენტაცია და ტურიც იგეგმება. ეს ყველაფერი სტარტს ნიუ-იორკში აიღებს. 5 მაისს მანჰეტენზე მდებარე ლეგენდარულ **Rockwood Music Hall**-ში **Sophie Villy Planet A** პირველ კონცერტს ჩაატარებს. ჯამში დაგეგმილია 5 კონცერტი, მათ შორის – ფილადელფიაშიც. ივნისში კი სოფი კიევის ყველაზე მასშტაბურ ფესტივალ **Atlas Weekend**-ზე დაუკრავს. რაც შეეხება ალბომის პრეზენტაციას თბილისში, იგი შემოდგომაზე იგეგმება.

ტექსტი: ლულუ კახიანი. ფოტო: ლუიზა ჩალათაშვილი.

LABORATOIRES
# LIERAC
PARIS

## მოწინავე დერმოკოსმეტიკა



„მჭირდება რომ ჩემი გული და გონება იყოს თანხვედრაში“

**Élodie Clouvel**

ოლიმპიური ვიცე – ჩემპიონი და
2016 წლის მსოფლიო ჩემპიონი
თანამედროვე ხუთჭიდში

# BODY-SLIM
**გასახდომი გლობალური საშუალება**

აღმოაჩინეთ აქტიური კოფეინის
კომპლექსის ანტი–ცელულიტური ძალა




# 50%
**მცირდება ცელულიტი**
**28 დღიანი**
**კურსის შემდეგ***

მყისიერად
ატონიზირებს კანს

მატებს სიგლუვეს კანს
14 დღის შემდეგ**

* კლინიკური კვლევა ჩატარებულია 32 მსურველ მოხალისეზე 28 დღიანი კურსით, დღეში ორი დატანით.
** კლინიკური კვლევა ჩატარებულია 32 მსურველ მოხალისეზე 28 დღიანი კურსით, დღეში ორი დატანით.

## შეიგრძენი შენი სილამაზის ძალა
#ჩემიძალალიერაკია

ჯიპისი GPC

**ექსკლუზიურად ჯიპისის სააფთიაქო ქსელში**



# მარტოსული, მაგრამ მხიარული
# კაილი მინოუგი
## სიყვარულზე, სიახლეებსა და ნასწავლ გაკვეთილებზე საუბრობს

მას შემდეგ, რაც მშობლიურ ავსტრალიაში განუმეორებელი ღიმილით გამოჩნდა, გულშემატკივრები დარწმუნდნენ, რომ **კაილი მინოუგის** გატეხილი გული კიდევ ერთხელ გამთელდა. 48 წლის შემსრულებლისა და 29 წლის ბრიტანელი მსახიობის – **ჯოშუა სასეს** სასიყვარულო ისტორია თებერვალში დასრულდა. ისინი დანიშნულები იყვნენ და ქორწილსაც კი გეგმავდნენ, მაგრამ ყველაფერი თვალის დახამხამებაში შეიცვალა.

როგორც კაილი ამბობს, ორწლიანი ურთიერთობიდან არცერთ წამს არ ნანობს, თუმცა დროის დაბრუნება რომ შეეძლოს, რომელიღაც გადაწყვეტილებებს აუცილებლად შეცვლიდა. ***„ჩვენი წარმოსახვა ხშირად განსხვავდება არსებული რეალობისგან“***, – აღნიშნავს ავსტრალიელი ვარსკვლავი, – ***„კარგი იქნებოდა, ზოგიერთ შემთხვევაში ჩემს ინსტინქტებს მივნდობოდი და გარკვეული რჩევები გამეთვალისწინებინა“***.

სხვადასხვა წყაროს ინფორმაციით, განშორება ღალატმა გამოიწვია – ჯოშუა ძალიან დაუახლოვდა ამერიკელ კოლეგას, რომელთან ერთადაც სერიალში No Tomorrow თამაშობდა. სასოწარკვეთისა და მოსალოდნელი დეპრესიისგან თავი რომ დაეღწია, კაილი კარიერულ ცხოვრებაზე გადაერთო და ახალ ალბომზე მუშაობა განახლებული შემართებით დაიწყო. ერთ-ერთ ინტერვიუში მინოუგმა აღნიშნა, რომ გულისტკივილი უკეთესი სიმღერების დაწერაშიც კი დაეხმარა: ***„ეს რამდენიმე თვე უზომოდ სტრესული და საინტერესო იყო, რაც ძალიან დამეხმარა შემოქმედებით საქმიანობაში. ამ მხრივ აშკარად განვვითარდი. მინდა, სიყვარული და ჩემი ემოციური მდგომარეობა ყველას გავუზიარო და ჩემი ახალი ალბომიც სწორედ ამ მიზანს ემსახურება“***.

ავსტრალიაში ჩასულმა კაილიმ გახალისება გადაწყვიტა და ამაში სასტუმროს მომსახურე პერსონალიც დაიხმარა. ოთახში შესულმა მომღერალმა დაინახა, როგორ წმენდდა ფანჯრებს „ჰაერში დაკიდული“ სიმპათიური მამაკაცი. მინოუგმა არ დააყოვნა და მასთან ერთად მხიარული სამახსოვრო ფოტოები გადაიღო, შემდეგ კი სურათები Instagram-ზე გამოაქვეყნა და ამაყად დაწერა: ***„სიდნეიში იმაზე მეგობრულად დამხვდნენ, ვიდრე მოველოდი. ჰაჰ!“***

მოკლედ, კაილი მინოუგმა ცხოვრების ახალი ეტაპი წარმატებით, აქტიურად და სანიმუშო შემართებით დაიწყო. მუსიკალური ალბომი კი, რომელზეც მომღერალი გაი ჩემბერსთან, რიჩარდ სტანარდთან, კარენ პულსა და რობი უილიამსთან ერთად მუშაობს, 2017 წლის ბოლომდე გამოქვეყნდება.

ტექსტი: HOLLY NESBITT-LARKING. ფოტო: INSTAGRAM, GETTY IMAGES.



# ელი გულდინგი
## ახალი რომანის დეტალები

არც ისე დიდი ხნის წინ ელი გულდინგისა და მისი პირადი მწვრთნელის – **ბობი რიჩის** რომანზე საუბრობდნენ. თუმცა მას შემდეგ, რაც მომღერალი **კასპარ ჯოპლინგთან** ერთად შენიშნეს, ჭორების ობიექტი შეიცვალა და მუსიკოსის აციმციმებული თვალებიც გულშემატკივართა ყურადღების ცენტრში მოექცა.

მუქ ლურჯ ქურთუკში გამოწყობილი ელი ნიუ-იორკის ქუჩებში შეყვარებულთან ხელჩაკიდებული დასეირნობდა და არაფრად დაგიდევდათ იმას, რომ პაპარაცები მის ბედნიერებას დაუფარავად აფიქსირებდნენ. ყველასთვის აშკარა იყო, რომ წყვილი თავს შესანიშნავად გრძნობდა და ერთმანეთის კომპანიით ტკბებოდა.

როგორც ამბობენ, 30 წლის ელიმ და 24 წლის კასპარმა ერთმანეთი კარაოკე-ბარში გაიცნეს. მათი შეხვედრა გასულ თვეში, მეგობრების დახმარებით შედგა და მალევე განვითარდა. გარშემომყოფთა თქმით, მათი რომანი ძალიან უბრალო და საყვარელია: ***„ერთად რამდენჯერმე გამოჩნდნენ. აშკარად ეტყობათ, რომ ერთმანეთი ძალიან მოსწონთ“***.

**კასპერ ჯოპლინგი** ნიუ-იორკში, Sotheby-ს თანამედროვე ხელოვნების განყოფილებაში მუშაობს. ელის მსგავსად, მასაც ძალიან უყვარს ვარჯიში და ფიტნეს-ინსტრუქტორის საქმიანობასაც ხშირად ითავსებს.

როგორც ჩანს, ელიმ საბოლოოდ დააღწია თავი იმ რთულ პერიოდს, რომელიც ერთი წლის წინ დუგი პოინტერთან განშორებამ გამოიწვია. ბრიტანელი მომღერალი ამბობს, რომ ყოფილ შეყვარებულთან დღემდე კარგ ურთიერთობას ინარჩუნებს.



ტექსტი: KATHRYN WILSON. ფოტო: GETTY IMAGES

HAIRLINE
INTERNATIONAL

# თმის აღდგენითი მედიცინის სამკურნალო სამეცნიერო ცენტრი

# Scientific Center For Hair Transplantation

HAIRLINE INTERNATIONAL
რევაზ ლაღიძის ქ. 8, თბილისი
+ 995 322 30 00 30
www.hairline.ge



ამ საოცარმა პენტჰაუზმა წყვილს საშუალება მისცა ინტერიერი ორიგინალურად მოეწყოთ. გაფორმებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ენდი უორჰოლის ნამუშევრებსა და პოპარტის სხვა ნიმუშებს.

ნიუ-იორკული პენტჰაუზის მასპინძელი

# ტომი ჰილფიგერი

## საყვარელ ცოლთან ერთად ბედნიერი ქორწინების საიდუმლოსა და ცხოვრებისეულ ისტორიებს გვიზიარებს





„მეგობრობა და პატივისცემა – სწორედ ესაა ჩვენი ბედნიერი ოჯახის საიდუმლო"

საკულტო დიზაინერი ტომი ჰილფიგერი და მისი მეუღლე დი Ossie Clark-ის ვინტაჟურ სამოსში პოზირებენ. ისინი ნიუ-იორკში მდებარე Plaza Hotel-ის XVIII-XIX სართულებზე ცხოვრობენ და ყოველდღე ტკბებიან ცენტრალური პარკისა და მანჰეტენის ცათამბჯენების თვალწარმტაცი ხედებით (ქვევით).



ტომი ჰილფიგერი ამერიკული ოცნების ნამდვილი განსახიერებაა. 9-შვილიან ოჯახში გაზრდილ ბიჭუნას ადრეულ ასაკშივე დაუდგინეს მწვავე დისლექსია, რამაც სკოლის მოსწავლის ყველანაირი თვითშეფასება მიწასთან გაასწორა. ბავშვს ეგონა, რომ ვერაფერს მიაღწევდა. სწორედ ამ შეგრძნებამ შეაძლებინა ბიზნესის მწვერვალები დაეპყრო და საკულტო დიზაინერი გამხდარიყო.

ოცნებით, ხედვითა და თავდადებული შრომით შეიარაღებულმა ტომიმ რამდენიმე მილიარდად შეფასებული გლობალური ბრენდი შექმნა, რომელიც ტრიუმფების, გამოწვევებისა და საოცარი წარმატებების ტრამპლინად იქცა. სწორედ ეს ისტორიაა მოყოლილი ჰილფიგერის მემუარებში, რომელსაც AMERICAN DREAMER: MY LIFE IN FASHION AND BUSINESS ჰქვია.

მეორე ცოლს – დი ოკლეპოს, სენ-ტროპეში შემთხვევით გადაეყარა. შეხვედრა სიყვარულის სრულყოფილ ისტორიაში გადაიზარ- ▶



**ტომის უნდოდა ბინას Plaza Hotel-ის 1960-იანი წლების გლამური შეენარჩუნებინა – ელეგანტური მისაღები ოთახი, კიბითა და უორჰოლის პრინტებით (ზევით – გრეის კელი; ქვევით – ბიძა სემი) ამის ნათელი მაგალითია**



და, თუმცა მათი ექვსი შვილის გაერთიანება მარტივი ამოცანა ნამდვილად არ იყო. ყველაფერი პატარა სებასტიანის დაბადებამ მოაგვარა, რომელიც ახლა უკვე შვიდი წლისაა. მისი არსებობით გამოწვეულმა მოულოდნელმა სიხარულმა ორივე მხარის წარმომადგენლები ერთ დიდ ოჯახად აქცია. ამას ისიც დაემატა, რომ ბავშვს აუტიზმი დაუდგინდა. ტომი და დი აქტიურად ჩაერთვნენ შესაბამის აქტივობებში და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს აუტისტთა უფლებების დამცველი ჯგუფის – AUTISM SPEAKS-ის არსებობასა და განვითარებაში. სულ ცოტა ხნის წინ დიზაინერი ქველმოქმედებისთვის სპეციალური პრიზითაც დაჯილდოვდა. მიუხედავად იმისა, რომ უკვე 65 წლისაა, ტომი მოზღვავებულ ენერგიას არ უჩივის და ენთუზიაზმით ერთვება ფოტოსესიებსა და ტელეინტერვიუებში.

ნიუ-იორკში მდებარე PLAZA HOTEL-ის პენტჰაუზი პირველი სახლია, რომელიც ჰილფიგერმა და მისმა 50 წლის მეუღლემ ერთად „აიშენეს“. მათ სხვა მშვენიერი ვილებიც აქვთ, მაგრამ ეს „ბუდე“ განსაკუთრებულად უყვართ. ფანჯრებიდან ცენტრალური პარკის, ყინულის მოედნისა და ცა-



თამბჯენების დაუვიწყარი ხედები იშლება. ოთახებში იშვიათი და უძვირფასესი ხელოვნების ნიმუშებია თავმოყრილი. ატმოსფერო უჩვეულოდ უშუალო, თბილი და შინაურულია, რაც თითოეულ სტუმარს საოცარ კომფორტს უქმნის. სწორედ ამ გარემოში უზიარებენ ტომი და დი HELLO!-ს თავიანთ ისტორიებსა და ბედნიერი ქორწინების საიდუმლოს.

**ტომი, რამ გადაგაწყვეტინათ, რომ ავტობიოგრაფიის დაწერის დრო იყო?**

ტ.ჰ. იდეა ყოველთვის მქონდა, მაგრამ ამას უფრო 70-80 წლის ასაკისთვის ვვარაუდობდი. მეგონა მემუარების წერა ჩემი უკანასკნელი პროექტი იქნებოდა. შემდეგ უეცრად შემიპყრო შიშმა, რომ შეიძლება ყველაფერი დამვიწყებოდა. ამიტომ გადავწყვიტე საქმე მანამ გამეკეთებინა, სანამ მეხსიერება ჯერ კიდევ კარგ მდგომარეობაში მქონდა.

**წიგნში რამდენად დაწვრილმანდით?**

ტ.ჰ. ყველაფერი ძალიან დაწვრილებით მაქვს აღწერილი, იმიტომ, რომ ძალიან მინდა ეს წიგნი ჩემმა შვილიშვილებმა წაიკითხონ და ჩემ შესახებ ყველა დეტალი შეიტყონ. მემუარები გულწრფელად და უშუალოდ უნდა დაიწეროს. პიტერ ნობლერი ძალიან დამეხმარა ყველაფრის გადმოცემაში.

**ყველაზე მეტად რომელი მომენტების მოყოლა გაგიჭირდათ?**

ტ.ჰ. მამაჩემი ძალიან მკაცრი მშობელი იყო, წარმოუდგენლად მაღალი სტანდარტებით. ვერასოდეს მივაღწიე იმას, რომ ჩემით კმაყოფილი ყოფილიყო. როცა ვუთხარი, ბიზნესის დაწყება მინდა-მეთქი, არც ეს მომიწონა. მგონი სწორედ მისი დამოკიდებულება დამეხმარა, ჩემი სიმართლე დამემტკიცებინა. 1969 წელს მქონდა მხოლოდ 150 დოლარი, საოცარი მონდომება და რწმენა, რომ ახალგაზრდებს ავიყოლიებდი. მამაჩემს სწამდა, რომ მხოლოდ სრულყოფილი განათლებით შეიძლებოდა ცხოვრების ▶



**„დიდი დრო და ძალისხმევა დაგვჭირდა, ეს ორი სართული რომ გაგვეერთიანებინა და ერთ ბინად გვექცია“**

სასადილო ოთახის კედლებზე ძველი დროის ვარსკვლავების შავ-თეთრი ფოტოებია გაკრული. ბევრი მათგანი შოტლანდიელ ფოტოგრაფ ჰარი ბენსონს ეკუთვნის. აქვეა სპეციალური ბარიც. წყვილმა ჯერ კიდევ მშენებარე სახლი 2007 წელს შეიძინა.



მოწყობა. მე კი თავიდანვე მეოცნებე ვიყავი და გაკვეთილებზე ჩემს სამყაროში ვუჩინარდებოდი ხოლმე – წარმოვიდგენდი, რა შეიძლებოდა გამეკეთებინა იმისთვის, რომ ქვეყნიერება უფრო ლამაზი გამხდარიყო. სწორედ ამ მომენტების გახსენება გამიჭირდა ყველაზე მეტად. ზოგადად, წიგნის დაწერა ძალიან რთული იყო.

**დი, თქვენ რას ფიქრობთ ამ წიგნზე?**

**დ.თ.** ძალიან მიხარია, რომ ტომი თავისი ამერიკული ოცნების დაუჯერებელ ისტორიას სხვებსაც უზიარებს. მისთვის თეფშით არაფერი მიურთმევიათ და ეს შემთხვევა ჯადოსნურ ცხოვრებისეულ ისტორიად მხოლოდ მისმა რწმენამ, სურვილმა და თავგანწირულმა შრომამ აქცია. ამ წიგნში ისეთ რაღაცებზე საუბრობს, მანამდე არასოდეს რომ არ უსაუბრია.

**ტომი, რომელმა მომენტმა მოახდინა ყველაზე დიდი გავლენა თქვენს კარიერაზე?**

**ტ.ჰ.** ჩემი ბიზნესი დაიძრა, მაგრამ ცოტა ხანში გამოცდილების ნაკლებობა დაგვწამეს და ფაქტობრივად, გავკოტრდით.

**რა გასწავლათ ამ გამოცდილებამ?**

**ტ.ჰ.** ის, რომ მამაჩემი ნაწილობრივ მართალი იყო. მე დისლექსიით ვიყავი დაავადებული. დიაგნოზი სკოლაში დამისვეს. ძალიან მიჭირდა კითხვა და ყოველთვის მეშინოდა, რომ ჩავფლავდებოდი. გაკოტრებამ მთლიანად შეცვალა ჩემი დამოკიდებულებები – გადავწყვიტე, ფეხზე ხელახლა წამოვმდგარიყავი, ყველაფერი ნულიდან დამეწყო და TOMMY HILFIGER-ის ბრენდისთვის გზა გამეკვალა.

**რა მიგაჩნიათ ბრენდის წარმატების მთავარ ფაქტორად?**

**ტ.ჰ.** ჩვენ გლობალურად განვსაზღვრავთ ცხოვრების სტილს. გარდა ამისა, მიმაჩნია, რომ ხელმისაწვდომობა ჩვენი წარმატების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია.

**მოგვიყევით ჯიჯი ჰადიდზე, რომელთან ერთადაც ცნობილი Capsule Collection შექმენით...**

**ტ.ჰ.** ჯიჯი ის გოგოა, ყველა ამერიკელი რომ ინატრებდა მეგობრად და მეზობლად. იგი საოცარი შემთხვევაა – ქალური და თან საოცრად შემტევი, გაბედული. პირველად 2015-ში ვითანამშრომლეთ – ჩემი ბრენდის 30 წლის იუბილეზე. ჩვენებაზე ჯიჯი დაუვიწყარი იყო. ძალიან გონიერი, მხიარული და თავმდაბალია, რაც მასთან ურთიერთობას საოცრად ამარტივებს. ▶

**დი შესასვლელში Novis-ის ჭრელი საღამოს კაბით პოზირებს. მის გვერდით ჟან-მიშელ ბასკიას უსათაურო ნამუშევარია. „ვიფიქრე, რომ ეს ნიღაბი სახლს დაამშვენებდა, იმიტომ, რომ წითელ, შავ და რუხ ფერებშია გადაწყვეტილი“, – აღნიშნავს ტომი, – „მართლა საუცხოო ნამუშევარია“.**





მთავარ საძინებელ ოთახს მდიდრული იერი აქვს. მასში მარმარილოს საბაზანო ოთახი, გამოსაცვლელი, და უზარმაზარი კარადაა გაერთიანებული.

მისი სამხრეთ-კალიფორნიული სტილით მოვიხიბლე და გაერთიანება შევთავაზე. სწორედ ასე შევქმენით მისი სუნამო THE GIRL. ყველაფერში სრულად იყო ჩართული. დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ ჯიჯის ბრწყინვალე მომავალი ექნება.

**როგორ ფიქრობთ, Tommy Hilfiger-ის ბრენდი ისევ მოწინავე პოზიციებისკენ მიიწევს?**

**ტ.ჰ.** აშკარაა, რომ ვიზრდებით და წინ მივდივართ. ძალიან დიდ ყურადღებას ვუთმობთ სოციალურ ქსელებს, მედიას, და ვცდილობთ ჩვენი ტექნოლოგიები მაქსიმალურად განვავითაროთ. სწორედ ამის გამოხატვა გვინდოდა ჩვენს ბოლოდროინდელ შოუზე, რომლის მთავარი მესიჯი იყო – SHOW NOW, BUY NOW! ცხოვრება საოცრად შეიცვალა. ახალგაზრდების მოთხოვნები დაუყოვნებლივ უნდა დაკმაყოფილდეს. მოდაში ახალი სტილია – „დააკლიკე“ და იყიდე!

**სხვა რომელ ბრენდებს გამოარჩევდით?**

**ტ.ჰ.** ჩემი აზრით, Ralph Lauren-ი ამერიკული ▶







„ძალიან მომწონს უორჰოლის „მერილინ მონრო“ და „გრეის კელი“

დი უორჰოლის „მერილინ მონროსთან“ პოზირებს. ტომი მხატვარს 1980-იანი წლების დასაწყისში შეხვდა. „სახელოსნოში წამიყვანა და თავისი ნამუშევრები გამაცნო“, – იხსენებს ჰილფიგერი, – „მაშინ მათი შეძენის საშუალება არ მქონდა“.

მოდის სტანდარტების დამფუძნებელია. ვაღმერთებ BURBERRY-ს, KARL LAGERFELD-ს, TOM FORD-სა და რასაკვირველია – VALENTINO-ს. თითოეული მათგანის წინსვლასა და წარმატებას ძალიან დიდ პატივს ვცემ.

**რამეს ხომ არ ნანობთ?**

**ტ.ჰ.** არა. შეცდომებისგან ბევრი რამ ვისწავლე. თუ ამ შეცდომებს არ დავუშვებდი, ამდენის სწავლასაც ვერ მოვახერხებდი.

**თქვენი სახლი ნამდვილი საოცრებაა. დი, რამდენი ხანია აქ ცხოვრობთ?**

**დ.ო.** ეს სახლი 2007 წელს ვიყიდეთ. მაშინ ჯერ კიდევ მშენებლობის პროცესში იყო. აქ ცხოვრება ორი წლის შემდეგ დავიწყეთ. ისე, PLAZA HOTEL 1901 წელს აშენდა და ბოლო სართულები მომსახურე პერსონალისთვის იყო განკუთვნილი. დიდი დრო და ძალისხმევა დაგვჭირდა, ორი სართული რომ გაგვეერთიანებინა და ერთ ბინად გვექცია. ამას ისიც ემატებოდა, რომ შენობა ნიუ-იორკის ერთ-ერთ ღირსშესანიშნაობად მიიჩნევა, რაც კიდევ უფრო მეტ რეგულაციასთანაა დაკავშირებული. მოკლედ, ეს ის „ბუდეა“, რომელიც ერთად ავიშენეთ. დაუვიწყარი პროცესი იყო. PLAZA HOTEL-ის საშუალებით, ყოველდღე საოცარი ისტორიების მოწმეები ვხდებით.

**ბინის გაფორმების პროცესში რამდენად იყავით ჩართულნი?**

**დ.ო.** ძალიან ჩართულნი ვიყავით. ზევით ერთი პატარა სასაუზმე ოთახი გვაქვს, ▶



**„ჯიჯი ის გოგოა, ყველა ამერიკელი რომ ინატრებდა მეგობრად და მეზობლად. ის საოცარი შემთხვევაა – ქალური და თან საოცრად შემტევი“**



ტომი, როგორც ყოველთვის, საქმიანობაშია ჩართული (მარცხნივ) და „გონიერ, მხიარულ და თავმდაბალ“ ჯიჯი ჰადიდისთან ერთად მუშაობს. ზევით: დიზაინერი მეუღლესთან ერთად ყავისფერ დივანზე ისვენებს. კედელზე ენდი უორჰოლის Cowboys And Indians-ის პრინტებია გაკრული.



რომელიც ელოიზას სახლად ვაქციეთ. ეს ის გოგონაა, რომელიც კეი ტომპსონის მოთხრობის თანახმად სწორედ PLAZA-ში ცხოვრობდა. ოთახის გასაფორმებლად წიგნის ილუსტრატორი – ჰილარი ნაიტი მოვიწვიეთ. კედლებზე ჩვენი შვილებიც არიან. ელოიზა კი ყველაფერშია ჩამალული. პროცესი ძალიან სახალისო იყო.

**სადაც უნდა გაიხედო, ყველგან ხელოვნების საოცარი ნიმუშებია. ტომი, რომელი გიყვართ ყველაზე მეტად?**

**ტ.ჰ.** უნდა ვაღიარო, რომ ბასკიას ნიღაბი ჩემი ფავორიტია. ყველაზე ლამაზი მგონია. ასევე ძალიან მომწონს ენდი უორჰოლის „ლიზ ტეილორი“. არანაკლებ მშვენიერია მისი „მერილინ მონრო“ და „გრეის კელი“. ყველა ჩვენი კოლექციის ნაწილია.

**ტომი, თქვენ უკვე ელის შვილის – ჰარლის ბაბუა ხართ. როგორი გრძნობაა?**

**ტ.ჰ.** შესანიშნავი! ის ამქვეყნად ყველაზე საოცარი პატარა გოგონაა. მისი ყურება გულს მითბობს და მიჩუყებს. ასეთივე შეგრძნება მიჩნდება, როცა ვხედავ, რა ბედნიერია ჩემი ქალიშვილი.

**დი, თქვენ და ტომიმ ქველმოქმედებისთვის სპეციალური პრიზი მიიღეთ...**

**დ.ტ.** დიახ, ეს დიდი პატივი იყო, მაგრამ სიტყვის მომზადებისას საშინლად ვინერვიულე. AUTISM SPEAKS-ის საქმიანობა ჩემთვის, ტომისა და ჩვენი შვილებისთვის წარმოუდგენლად მნიშვნელოვანია.

**რამდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებთ ქველმოქმედებას?**

**ტ.ჰ.** ქველმოქმედებას განსაკუთრებულად დიდ ყურადღებას ვაქცევთ. როცა ასეთი იღბლიანი ხარ და ცხოვრებაში ასე გიმართლებს, ▶



სებასტიანის (ქვევით, მშობლებთან ერთად) საძინებელი ოთახი მეზღვაურის თემაშია გაფორმებული. ტომი ყურადღებით ათვალიერებს თავის ახალ წიგნს American Dreamer: My Life in Fashion and Business (მარჯვნივ). ის ბიბლიოთეკის კუთხეშია მოკალათებული. წიგნის თაროები, რომლებსაც New York Times-ის წარწერა ამშვენებს, ოთახის კედლებშია ჩაშენებული.






ფოტოები: BFA.COM. WIREIMAGE

„როცა ცხოვრებაში ასე გიმართლებს, ვალდებულიც კი ხარ, გასცე და შენი სიმდიდრე სხვებსაც გაუზიარო“





ვალდებულიც კი ხარ, გასცე და შენი სიმდიდრე სხვებსაც გაუზიარო. ადამიანების დახმარება საოცრად დიდ სიამოვნებას გვანიჭებს და მიგვაჩნია, რომ ეს ჩვენი ცხოვრების წესია.

**რა არის თქვენი ბედნიერი ქორწინების საიდუმლო?**

**ტ.ჰ.** მეგობრობა და პატივისცემა – ეს ყველაზე მთავარია. **H**

---

**ტექსტი**: TAMARA BECKWITH
**ფოტო**: KATE MARTIN
**სტილი**: STACEY JONES
**ვარცხნილობა**: RICARDO ROJAS AT JMPR
**მაკიაჟი**: KATRINA BORGSTROM

## „ვაღმერთებ BURBERRY-ს, TOM FORD-ს, KARL LAGERFELD-სა და რასაკვირველია – VALENTINO-ს“



**პაწაწინა სასაუზმე ოთახი „ელოიზას“ ილუსტრატორის – ჰილარი ნაიტის მიერაა გაფორმებული. საბავშვო მოთხრობის თანახმად, პატარა გოგონა სწორედ Plaza Hotel-ში ცხოვრობდა. მარცხენა ფოტოზე ტერასიდან გადაშლილი ულამაზესი ხედი ჩანს.**





**სილამაზის სალონი** - ონიაშვილის ქ. 31, **ირინა** - გამსახურდიას გამზ. მე-2 კვ., მე-11 კორპუსი, **სტატუსი** - პეკინის 31, **ქალთა ბედნიერება** - გამსახურდიას გამზ. 7, აღმაშენებლის გამზ. 120, აღმაშენებლის გამზ. 95, **დერმა** - ყაზბეგის გამზ. 25ა, **ბაგათელი** - ფალიაშვილის ქ. 5, **ლა ჟოლი** - ყაზბეგის გამზ. 4

# „დემოკრატიის ლაბორატორია“ და TAXIFY

## ახალი საგანმანათლებლო პროექტით გაერთიანდნენ



კურსებს, რომლებიც ტექნოპარკში ტარდება, 32 ახალგაზრდა ესწრება. ბოლო ეტაპზე ისინი ერთად შექმნიან პროდუქტს, რომელიც „ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის“ სივრცეში გამოიფინება. თითოეულ მონაწილეს კი შესაბამისი სერთიფიკატი გადაეცემა. „სასწავლო კურსი სამხედრო მოსამსახურეების შვილებისთვის“ „ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრთან“, „ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსა“ და თავდაცვის სამინისტროსთან პარტნიორობით ხორციელდება.

საქართველოში განხორციელებულ მნიშვნელოვან პროექტთა სიას კიდევ ერთი საგანმანათლებლო პროექტი შეემატა. **„დემოკრატიის ლაბორატორიის“** ორგანიზებით, ასევე **TAXIFY**-ს ინიციატივითა და ფინანსური მხარდაჭერით, ქართველი გმირების შვილებისთვის სპეციალური სასწავლო კურსები შეიქმნა. **„დემოკრატიის ლაბორატორიის“** დამფუძნებლის – **ნინო ბოჯგუას** თქმით, ეს ინიციატივა ერთჯერადი არ არის: ***„ჩვენი ყველა პროექტი, და მათ შორის „სასწავლო კურსი სამხედრო მოსამსახურეების შვილებისთვის“, ერთ მიზანს ემსახურება – ახალგაზრდები გაააქტიუროს და ჩართოს სოციალურ ცხოვრებაში, რაც მათ ახალი უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და უფრო დემოკრატიული საზოგადოების შექმნაში დაეხმარება. გვეამაყება, რომ TAXIFY-მ კიდევ ერთი საინტერესო, შემეცნებითი, ინოვაციური და სახალისო პროექტი განგვახორციელებინა“***.

2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული და დაჭრილი სამხედრო მოსამსახურეების შვილები სამი თვის განმავლობაში სამ სხვადასხვა მიმართულებაზე სწავლობენ.

პროექტი ოფიციალურად 27 იანვარს გაიხსნა, რის შემდეგაც მონაწილეები სასურველი სფეროების მიხედვით სხვადასხვა ჯგუფში გადანაწილდნენ. სასწავლო პროცესი თებერვალში დაიწყო და მაისის ბოლომდე გაგრძელდება. **ირაკლი ზანთარიამ** – **TAXIFY**-ს გენერალურმა მენეჯერმა, HELLO!-ს კიდევ ერთი სასიამოვნო დეტალი გაუმხილა: ***„ჩვენმა პარტნიორმა მძღოლებმა პროექტში ჩართვის სურვილი გამოთქვეს და ყოველთვიურად გარკვეულ თანხას რიცხავენ. TAXIFY-ში მიგვაჩნია, რომ განათლება საუკეთესო სამომავლო ინვესტიციაა. სწორედ ამიტომ შევარჩიეთ ეს მიმართულება და ბავშვები, რომლებსაც ჩვენი წახალისება და მხარდაჭერა სჭირდებოდათ“***. H



**ტექსტი:** ელენე მარგალიტაშვილი. **ფოტო:** „დემოკრატიის ლაბორატორია“.

ფორუმი BY ახალი ნათება

ავეჯი განათება აქსესუარები



VONDOM®

OUTDOOR FURNITURE







/ForumNL

თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე–12 კმ.
ბათუმი, ხიმშიაშვილის #1

2 20 24 24

www.newlight.ge

# 30 დღე

## ახალი ამბების დასტა



**მერაბ ნინიძე** კანის 70-ე კინოფესტივალზე „ოქროს პალმის რტოს“ მოსაპოვებლად იბრძოლებს. კორნელი მუნდრუცუს ფილმი „იუპიტერის მთვარე“ კინოინდუსტრიის ყველაზე პრესტიჟული კონკურსის მთავარ სექციაში მოხვდა, ქართველი მსახიობი კი ამ ნამუშევარში მთავარ პერსონაჟს განასახიერებს. სურათთან ერთად, პრიზისთვის კიდევ 17 ფილმი იბრძოლებს. მათ შორისაა სოფია კოპოლას ახალი ნამუშევარიც, რომელშიც მთავარ როლებს ნიკოლ კიდმანი და კირსტენ დანსტი ასრულებენ.



**უჩა ნანუაშვილმა** 2016 წლის ანგარიში წარმოადგინა. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობა შეაჯამა. 843-გვერდიან დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სახალხო დამცველის აპარატს პრობლემა რამდენიმე კონკრეტული მიზეზის გამო ექმნებოდა. მათ შორის უჩა ნანუაშვილი შინაგან საქმეთა სამინისტროსა და თბილისის საქალაქო სასამართლოსგან ინფორმაციის შეზღუდვას გამოყოფს. ვრცელი ანგარიშის წაკითხვა სახალხო დამცველის შესაბამის ვებგვერდზე შეგიძლიათ.




**TBILISI OPEN AIR** 16, 17 და 18 ივნისს გაიმართება. ორგანიზატორების ცნობით, მუსიკალურ ფესტივალში 50-მდე არტისტი მიიღებს მონაწილეობას. მათ შორის Archive, Leningrad, Anathema და სხვა ქართველი თუ უცხოელი მუსიკოსებიც იქნებიან. მასშტაბური და პოპულარული ღონისძიება ისევ ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე გაიმართება. შეგახსენებთ, რომ Tbilisi Open Air ყოველწლიურად იმართება და მელომანებს ღია ცის ქვეშ ცოცხალი მუსიკით უმასპინძლდება.



**ნანა ეკვთიმიშვილისა** და სიმონ გროსის ნამუშევარს „ჩემი ბედნიერი ოჯახი“ ლეჩეს ევროპული კინოფესტივალის მთავარი ჯილდო – „ოქროს ზეთისხილის ხე“ გადაეცა, რითაც საუკეთესო ფილმის ტიტული მიიღო. სურათი საუკეთესო საოპერატორო ნამუშევრის ნომინაციაშიც დააჯილდოვეს. ასევე, ქართველ რეჟისორებს კინოკრიტიკოსთა საერთაშორისო გაერთიანების – FIPRESCI-ს პრიზი გადაეცათ. შეგახსენებთ, რომ „ჩემი ბედნიერი ოჯახის“ სადისტრიბუციო უფლებები NETFLIX-ს ეკუთვნის, ქართული პრემიერა კი წლის ბოლომდე იგეგმება.




**WINGS FOR LIFE** საქართველოში წელსაც გაიმართება. მიუხედავად 2016 წლის ბოლოს გავრცელებული განცხადებისა, მსოფლიო მარათონს ქართველები წელსაც შეუერთდებიან და 7 მაისს, საქართველოს დროით 15:00 საათზე, სირბილს დაიწყებენ. საწყისი წერტილი ისევ ყვარლის გზატკეცილზე, ლოპოტას ტბის გადასახვევთან იქნება. მარათონში მონაწილეობის საფასური 30 ლარია. ტრადიციისამებრ, შემოსული თანხა სრულად მოხმარდება ზურგის ტვინის დაზიანებათა კვლევას.



**მონიკა ბელუჩი** კანის 70-ე კინოფესტივალის წამყვანი იქნება. საიუბილეო ღონისძიება 17-დან 28 მაისის ჩათვლით გაიმართება და კინოინდუსტრიის გამორჩეულ წარმომადგენლებს კიდევ ერთხელ უმასპინძლებს. ფესტივალის თავმჯდომარე ამჯერად ესპანელი რეჟისორი პედრო ალმადოვარი იქნება. აღსანიშნავია, რომ მონიკა ბელუჩის დაჯილდოების ცერემონიალი 2003 წელსაც მიჰყავდა. 2006 წელს მან ჟიურის წევრის მოვალეობები შეითავსა. 2000, 2002 და 2008 წლებში კი „ბონდის გოგონა“ კინოფესტივალს მონაწილე მსახიობის სტატუსით დაესწრო.

ფოტოები: ელენე მარგალიტაშვილი



# ლაშა ტალახაძე
## მსოფლიო რეკორდსმენი გახდა

**ხორვატიაში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე ქართველმა სპორტსმენმა 217 კილოგრამი ასწია, რითაც ატაცში არსებული ყველა რეკორდი მოხსნა. საქართველოს ძალოსანთა ფედერაციის ინფორმაციით, ამავე ჩემპიონატის მესამე ადგილი ირაკლი თურმანიძეს ერგო, რომელმაც პოზიცია 201 კილოგრამის აწევით მოიპოვა. შეგახსენებთ, რომ 2016 წელს ლაშა ტალახაძემ ოლიმპიური ოქროს მედალი მიიღო და იმავე წელს ევროპის ჩემპიონატშიც გაიმარჯვა. იგი +105 კგ. წონით კატეგორიაში ასპარეზობს.**






**ანიტა რაჭველიშვილი** პირველ სოლოალბომს გამოუშვებს. ქართველმა მეცოსოპრანომ სიახლე საკუთარ ვებგვერდზე გაახმაურა და ისიც აღნიშნა, რომ კომპოზიციებს Sony Classical-თან თანამშრომლობით გააერთიანებს. ახალი ალბომი RAI National Symphony Orchestra-სთან ერთად ჩაიწერება. შეგახსენებთ, რომ ანიტა რაჭველიშვილმა საერთაშორისო აღიარება „კარმენით“ მოიპოვა. უახლოეს მომავალში ქართველი სოპრანო პარიზელი და შვეიცარიელი მსმენელების წინაშე წარდგება.



**აკა სინჯიკაშვილი** წმინდა ნიკოლოზის ორდენით დაჯილდოვდა. საქართველოს პრეზიდენტმა ჯილდო მას პირადად გადასცა და გაწეული ქველმოქმედებისთვის მადლობა გადაუხადა. „აკაკი სინჯიკაშვილი ქველმოქმედების იდეის პოპულარიზაციისა და ადამიანებისთვის გაწეული უანგარო დახმარებისთვის დაჯილდოვდა“, – აღნიშნა გიორგი მარგველაშვილმა. ორდენის მფლობელმა მადლობა საჯაროდ გადაიხადა და დასძინა, რომ ხალხთან ერთად კიდევ ბევრი საქველმოქმედო პროექტის განხორციელებას აპირებს.



**ჯუდ ლოუ** ახალგაზრდა ალბუს დამბლდორის პერსონაჟს განასახიერებს. „ჰარი პოტერის“ გახმაურებულ წინარეისტორიაში Fantastic Beasts and Where to Find Them, რომელიც ცნობილ მოვლენებამდე 70 წლით ადრე განვითარებულ ამბებს მოგვითხრობს, მსახიობი ყველაზე დიდებული ჯადოქრის როლში მოგვევლინება. სიუჟეტში იგი ტრანსფიგურაციის პროფესორი იქნება. ნამუშევრის პრემიერა 2017 წლის ნოემბერში იგეგმება.



**გივი ბერიკაშვილი** 83 წლის ასაკში გარდაიცვალა. სიკვდილის მიზეზი ფილტვების ანთების გართულება გახდა. მსახიობს კინოსა და თეატრში შესრულებული სხვადასხვა როლით იცნობდნენ. იგი საქართველოს სახალხო არტისტი, კოტე მარჯანიშვილისა და იპოლიტე ხვიჩიას სახელობის, და „წლის საუკეთესო მამაკაცის“ პრემიების ლაურეატი გახლდათ. სხვადასხვა დროს მუშაობდა რუსთავისა და სოხუმის თეატრებში, რის შემდეგ პროფესიული საქმიანობა კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში დაასრულა.



მარცხნიდან: ეკა, ტასო და მარიტა. უკან: ნოდო და ჭეჭი.

# პირადი ცხოვრების გულახდილი დეტალები

# კეიტ მიდლტონი

## დედობის გამოწვევებზე საუბრობს

კემბრიჯის ჰერცოგინია გულშემატკივრებსა და მედიის წარმომადგენლებთან ყოველთვის გულახდილი და უშუალოა. თუმცა, დედობის გამოწვევებსა და სირთულეებზე ასე გულწრფელად აქამდე არასოდეს უსაუბრია. ამბობს, რომ შვილების აღზრდა საოცარ ენერგიას, მოთმინებასა და დაუღალავ შრომას მოითხოვს და ისიც, ისევე, როგორც ყველა დედა, ხშირად ხვდება ხოლმე „ემოციურ კარუსელზე“. ორი შვილის მშობელი ჯორჯსა და შარლოტაზე ზრუნვას საყვარელ საქმიანობად მიიჩნევს, თუმცა აღნიშნავს: „დედად ყოფნა ყველაზე მშვენიერი და საპატიო გამოცდილებაა. თუმცა, ამავდროულად დიდი გამოწვევაც გახლავთ. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი დამხმარე მყავს, მაინც უამრავ სირთულეს ვაწყდები. იმ დედებზე ვფიქრობ ხოლმე, რომლებიც შვილებს მარტოები ზრდიან. ვერაფერი მოგამზადებს იმ წარმოუდგენლად შრომატევადი გამოცდილებისთვის, რასაც დედობა ჰქვია. ყველაფერი თავისთავად ხდება. ყოველ ღამით იცვლები, იზრდები. საკუთარ თავს დამოუკიდებელ ინდივიდად კი არა, უპირველესად, დედად აღიქვამ. შენთვის არ არსებობს წესების წიგნი და ისიც არ იცი, რა არის სწორი თუ არასწორი – უბრალოდ, მაქსიმუმს აკეთებ, რათა ოჯახზე იზრუნო. ჩვენ, დედები, ხშირად მოვიკოჭლებთ საკუთარი თავის რწმენაში და გვგონია, რომ ბევრ შეცდომას ვუშვებთ“.

### დედების ელჩი

პრინცესა შარლოტას მაისში ორი წელი უსრულდება, პრინცი ჯორჯი კი უკვე სამი წლისაა. მათი დედიკო გამუდმებით ცდილობს სხვა მშობლებსაც დაეხმაროს, გამოცდილება გაუზიაროს და მათ გასამხნევებლად ქველმოქმედებასაც მიმართოს. ამის ერთ-ერთი დასტურია Best Beginnings-ის ფარგლებში გამართული საქველმოქმედო ღონისძიება, რომელსაც უამრავი მომავალი ან უკვე შემდგარი დედა დაესწრო. შეხვედრა Heads Together-თან პარტნიორობით გაიმართა. ეს უკანასკნელი კი კეიტის, უილიამისა და ჰარის ერთობლივი ინიციატივითაა შექმნილი და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე არსებული სტიგმების მსხვრევას ემსახურება. „ათიდან ორი ქალი ფსიქიკური აშლილობით იტანჯება. ეს შემთხვევები განსაკუთრებულად ხშირდება ორსულობისა და ბავშვის გაჩენის შემდგომ პერიოდში. დედები ბედნიერების შეგრძნებას კარგავენ და იზოლაციისკენ მიდრეკილება უჩნდებათ“, – აღნიშნა მიდლტონმა ღონისძიების მონაწილეებთან საუბრისას, – „ასეთ დროს ქალები საკუთარ თავში იკეტებიან და უარყოფით შეგრძნებებს სრულ სიჩუმეში ებრძვიან. ცუდად ყოფნას ვერ აღიარებენ, იმიტომ, რომ კრიტიკისა და სირცხვილის ეშინიათ. ჰგონიათ, რომ იდეალური მშობლები უნდა იყვნენ და სხვებსაც და საკუთარ თავსაც ატყუებენ, ▶

„ვერაფერი მოგამზადებს იმ წარმოუდგენლად შრომატევადი გამოცდილებისთვის, რომელსაც დედობა ჰქვია“



პრინცესა შარლოტას მაისში ორი წელი უსრულდება, პრინცი ჯორჯი კი უკვე სამი წლისაა. მათი დედიკო გამუდმებით ცდილობს სხვა მშობლებსაც დაეხმაროს, გამოცდილება გაუზიაროს და მათ გასამხნევებლად ქველმოქმედებასაც მიმართოს. ამის დასტურია **Best Beginnings**-ის ფარგლებში გამართული საქველმოქმედო ღონისძიება, რომელსაც უამრავი მომავალი ან უკვე შემდგარი დედა დაესწრო.







ემოციური სიტყვით გამოსვლის შემდეგ, კემბრიჯის ჰერცოგინიამ დედებსა და მათ ოჯახებს გულდასმით მოუსმინა.

## ელისონ ბაუმი: „ჰერცოგინიას აქ ყოფნა განსაკუთრებული მხარდაჭერაა. გვჯერა, რომ ყველაფერს უკეთესობისკენ შევცვლით“

თითქოს დედობის ყველა წამით ტკბებიან. რასაკვირველია, დედად ყოფნა ჯადოსნური შეგრძნებაა, მაგრამ ამ პროცესის სტრესულ მხარესა და სირთულეებზეც უნდა ვსაუბრობდეთ. დანაშაული არ არის, თუ შვილის აღზრდისას დაბრკოლებებს ვაწყდებით, ვითრგუნებით და დახმარებას ვსაჭიროებთ“.

კემბრიჯის ჰერცოგინიამ სხვებსაც მოუწოდა დედების გამხნევებისკენ: „მათი პასუხისმგებლობა უსაზღვროა და თავს არ ზოგავენ იმისთვის, რომ ოჯახებზე იზრუნონ. უპირობო სიყვარულს, მზრუნველობასა და თანადგომას ბავშვები სწორედ დედებისგან სწავლობენ. ჩვენ კი რამენაირად უნდა შევძლოთ და მშობლები მეტად დავაფასოთ იმ შეუფასებელი საქმისთვის, რომელსაც შვილების აღზრდა ჰქვია“.

### ცვლილებების სათავეში

Eponine London-ის დახვეწილ, თეთრ-წითელ ტანისამოსში გამოწყობილმა ჰერცოგინიამ დედობის მნიშვნელობაზე ლონდონის „სამეფო კოლეჯშიც“ (Royal College of Obstetricians and Gynaecologists) ისაუბრა. ის Best Beginnings-ის კიდევ ერთი პროექტის – Out of the Blue-ს სესიას დაესწრო. აღნიშნული კამპანია მოიცავს ფსიქიკური აშლილობის თემატიკაზე გადაღებული ფილმების ჩვენებას, რომელიც მშობლებსა და ბავშვებში სწორი დამოკიდებულებების ფორმირებას ემსახურება. მათი ნახვა უფასო აპლიკაციის – Baby Buddy-ს საშუალებითაა შესაძლებელი. კეიტს ფილმებში მონაწილე დედები პირადად შეხვდნენ და საკუთარ მდგომარეობაზე ესაუბრნენ. როგორც ჯესიკაუერნმა გაგვიმხილა, ჰერცოგინიამ ჩახუტებაც არ დაიშურა და ჯონს – მის მეუღლეს, გულაჩუყებულმა უთხრა: „მაპატიეთ, მაგრამ მხოლოდ ხელის ჩამორთმევა საკმარისი არ იქნება. უნდა ჩაგეხუტოთ“.

მიდლტონმა დამსწრეებს გაუმხილა, რომ დედობა მისთვისაც ისეთივე შრომატევადი და რთული გამოწვევაა, როგორიც დანარჩენებისთვის, და მიუხედავად ბევრი დამხმარისა, სხვა დედების გამოცდილებას ისიც სრულად იზიარებს. კეიტმა გულისყურით მოუსმინა ყველა მონაწილეს და თითოეული მათგანი შეძლებისდაგვარად გაამხნევა.

ღონისძიების ბოლოს, ელისონ ბაუმმა – Best Beginnings-ის დამფუძნებელმა და ხელმძღვანელმა, ჰერცოგინიას განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა ქველმოქმედებაში ჩართულობისთვის და ჯორჯისა და შარლოტას სამაგალითო დედას საჯაროდ მიმართა: „თქვენი აქ ყოფნა განსაკუთრებული პატივია. მთელი გულით გიხდით მადლობას თანადგომის, ქველმოქმედებისა და Best Beginnings-ის კამპანიებში მონაწილეობისთვის. ჯერჯერობით ცოტანი, მაგრამ ძალიან ამაყები ვართ და გვჯერა, რომ ყველაფერს უკეთესობისკენ შევცვლით“. H

**ტექსტი**: TRACY SCHAVERIEN
**ფოტო**: GETTY IMAGES

*მეტი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებგვერდებს bestbeginnings.org.uk/out-of-the-blue და headstogether.org.uk.*



„ჰერცოგინიას აქ ყოფნა განსაკუთრებული მხარდაჭერაა. გვჯერა, რომ ყველაფერს შევცვლით“ – ელისონ ბაუმი



Delfy
ლოტუსი
აფაქიძის ქ. 11
თბილისი
+995 322 903 803
delfycosmetics.com
DelfyCosmetics
Delfycosmetics
Delfy
LONDON MAKE-UP



### ბავშვობიდან ბავშვებამდე

# კემბრიჯის ჰერცოგინია

## ორშვილიანი დედის ხუთი საუკეთესო თვისება

ყველა თანხმდება იმაზე, რომ დედობა ძალიან რთულია. ეს „პროფესია“ კიდევ უფრო რთულდება, როცა საქმე პატარა პრინცსა და პრინცესას ეხება. კეიტი ალბათ ვერასოდეს წარმოიდგენდა, რომ შვილებს მილიონობით ადამიანის თვალწინ აღზრდიდა და ამდენივე ადამიანს მოხიბლავდა თავისი სიმშვიდით, ყურადღებითა და ყველა იმ უნარით, რომელიც იდეალურ მშობელს სჭირდება. ჰერცოგინია მსოფლიოს საუკეთესო დედის ტიტულს ბევრი მიზეზის გამო იმსახურებს. HELLO! კი ხუთ მთავარ მიზეზს გაგაცნობთ...



### 1 ჯორჯი და შარლოტა ყოველთვის პირველ ადგილზე არიან

კეიტი მუდამ შვილებთან ყოფნას ამჯობინებს. ცოტა ხნის წინაც, როცა კემბრიჯის ჰერცოგი ოფიციალური ვიზიტით პარიზს სტუმრობდა, შემდეგ კი მეგობრებთან ერთად შვეიცარიის მთებში სრიალებდა, ჰერცოგინია შინ იყო და ბავშვებთან ერთად გატარებული წუთებით ტკბებოდა. უილიამი სიამაყით აღნიშნავს ხოლმე, რომ მისი ცოლი „საოცარი მეორე ნახევარი და იდეალური დედაა“. გარდა ამისა, მიდლტონი იდეალურად ახერხებს, პირად ცხოვრებას სამეფო ოჯახის მოვალეობები შეუთავსოს და დედოფალ ელისაბედს საქმეები მაქსიმალურად შეუმსუბუქოს. შვილებს კი საქმიანობის დროსაც არ ივიწყებს და ყოველთვის, როცა შანსი ეძლევა, ჯორჯსა და შარლოტაზე საუბრობს. აშკარაა, რომ კეიტი იმ დედებს არ განეკუთვნება, რომლებსაც ოჯახსა და კარიერას შორის საჭირო ბალანსის პოვნა უჭირთ.



ჰერცოგინია შვილებთან ერთად ხშირად სტუმრობს პლაჟებს, ზოოპარკებსა და სათამაშო მოედნებს

## 2 კეიტი ყველაფერში ჩართულია

მაშინ, როდესაც კეიტი საქმეებს აგვარებს, ბავშვები საყვარელ ძიძასთან – მარია ტურიონთან ერთად დასეირნობენ და დაცვის წევრების ყურადღებით სულაც არ წუხდებიან. ჯორჯის საყვარელი საქმიანობა ველოსიპედით სეირნობაა, შარლოტასი კი – ძმის დევნა. კეიტი მაქსიმალურად ცდილობს მათ შეუერთდეს ხოლმე და პატარ-პატარა სიურპრიზები მოუწყოს. შვილებთან ერთად ხშირად სტუმრობს პლაჟს, ზოოპარკსა თუ სათამაშო მოედანს. სხვა მზრუნველი დედების მსგავსად, კეიტიც მზარეულობს და ბავშვებს ჯანსაღი საკვებით ამარაგებს. ამავდროულად, მუდმივად აკონტროლებს მათი ძილის რეჟიმს. როცა შინ არ არის, პატარებს ვიდეოზარით ეკონტაქტება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მიდლტონი მაქსიმალურად ცდილობს მშობლების მაგალითი გაიმეოროს – შვილებს არ მოაკლდეს და ჯორჯსა და შარლოტას სტაბილური, ნორმალური და თბილი მოგონებებით სავსე ბავშვობა აჩუქოს. ამას მისი სიტყვებიც ადასტურებს: „***ვიცი, რომ ძალიან გამიმართლა – ჩემმა მშობლებმა და მასწავლებლებმა სრულყოფილი, დაცული და მშვენიერი ბავშვობა მისახსოვრეს. მათი დამსახურებით, ყოველთვის ვიცოდი, რომ ყველას შეეძლო ჩემი შეყვარება, დაფასება და მოსმენა***“.

## 3 ჰერცოგინია სხვა დედებსაც ეხმარება

ჰერცოგინია ყოველთვის ეხმარება იმ მშობლებს, რომლებიც დიდი გამოწვევების წინაშე დგანან. როცა ერთ-ერთ ღონისძიებაზე კერი კნეპტონის ისტორია მოისმინა (საუბარია დედაზე, რომლის შვილსაც სკოლაში ასპერგერის სინდრომის გამო დასცინოდნენ), კეიტმა თავი ვეღარ შეიკავა, ჩაეხუტა და უთხრა: „როგორც დედას, არ შემეძლო არ ჩაგხუტებოდით“. იმ დედებს კი, რომლებსაც Anna Freud National Centre for Children and Families-ში შეხვდა და ფსიქიკური ჯანმრთელობის მნიშვნელობაზე ესაუბრა, გულწრფელად მიმართა: „***დედობა ძალიან რთულია. ყველა იმ ისტორიისა და გამოცდილების მიუხედავად, რომელიც თქვენს ცხოვრებაში იყო და რომელმაც ფსიქიკა შეგირყიათ, თქვენ მაინც შეძელით, საოცარი დედები ყოფილიყავით. ყოველგვარი მხარდაჭერის გარეშე ამის მოხერხება ნამდვილი გმირობაა***“. ▶



კეიტი ხშირად ხვდება მშობლებს, რომლებსაც გამხნევება განსაკუთრებულად სჭირდებათ. ის მათთვის არც თბილ სიტყვებს იშურებს და არც ჩახუტებებს.



„ჩემმა მშობლებმა სიკეთის, პატივისცემის, პატიოსნებისა და გულწრფელობის მნიშვნელობა მასწავლეს“

## 4 ის არ ივიწყებს მთავარს

პატარა პრინცი და პრინცესა უკვე რამდენჯერმე გამოჩნდნენ საჯაროდ და მსოფლიოს გარშემო უამრავი ადამიანის გული მოიგეს. ყველას ახსოვს სამეფო ოჯახის მოგზაურობა კანადაში, სადაც დაძმა საზოგადოებაში გაერია და მშვენივრად გაერთო. განსაკუთრებულ კადრად რჩება პატარა უფლისწულისა და ბარაკ ობამას შეხვედრაც. მიუხედავად იმისა, რომ ხალათში იყო გამოწყობილი და ოფიციალურობის განწყობაზე სულაც არ ბრძანდებოდა, ჯორჯმა მანერები მაინც არ დაივიწყა და ამერიკის პრეზიდენტს ღირსეულად ჩამოართვა ხელი. აშკარაა – კეიტი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ შვილები კარგ, ზრდილობიან, კეთილ და კულტურულ ადამიანებად აღზარდოს. ამავე მიზნით, ბავშვებთან ერთად ხშირად სტუმრობს ხოლმე კეროლ და მაიკლ მიდლტონებს – ადამიანებს, რომლებმაც კემბრიჯის ჰერცოგინიას სრულყოფილი ბავშვობა აჩუქეს. კეიტი აღნიშნავს: ***„ჩემმა მშობლებმა სიკეთის, პატივისცემის, პატიოსნებისა და გულწრფელობის მნიშვნელობა მასწავლეს და ამით მთელი ჩემი ცხოვრება განსაზღვრეს. მე და უილიამი ვცდილობთ რომ შვილებს ანალოგიური ვასწავლოთ და მოვამზადოთ იმ დიდი გამოცდისთვის, რომლის ჩაბარებაც წლების შემდეგ თვითონ მოუწევთ***“.

## 5 კეიტი სხვა ბავშვებზეც ზრუნავს

ჰერცოგინია მხოლოდ თავის შვილებზე კი არა, სხვა ბავშვებზეც ზრუნავს და მათ სხვადასხვა საქველმოქმედო კამპანიით ეხმარება. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს პატარების ფსიქიკურ მდგომარეობასა და გონებრივ განვითარებას. სწორედ ამ საკითხების ირგვლივ შეიქმნა კეიტის, უილიამისა და ჰარის ერთობლივი წამოწყება Best Beginnings, Anna Freud National Centre for Children და Families and Action for Children. მიდლტონი დიდ დროს უთმობს მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს და მათთან ერთად ხატვაზე, ნამცხვრების გამოცხობასა და სხვა მსგავს აქტივობებზე არასოდეს ამბობს უარს. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს განათლებასაც და პატარებს წიგნებს ხმამაღლა უკითხავს. ***„ხშირად მეკითხებიან, რატომ ვარ ამ თემით განსაკუთრებულად დაინტერესებული. პასუხი მარტივია – ყველა ბავშვი იმსახურებს კარგად ცხოვრების შანსს***“, – ამბობს კეიტი. **H**




ტექსტი: EMILY NASH. ფოტო: GETTY IMAGES.



ყველაზე პოპულარული
ანიმაციური გმირები ახლა
უკვე თქვენი პატარების
ჰიგიენაზეც ზრუნავენ
my LITTLE PONY
детское жидкое МЫЛО
EQUESTRIA GIRLS
ДЕТСКИЙ ШАМПУНЬ 2В1
ВОЛШЕБНАЯ РАДУГА
ДЕТСКАЯ ГЕЛЬ-ПЕНА
ЗЕМЛЯНИЧНЫЙ ФЕЙЕРВЕРК
ДЕТСКИЙ ШАМПУНЬ 2в1
GBC
MY LITTLE PONY-ის
პროდუქციის ოფიციალური
დისტრიბუტორი საქართველოში შპს GBC
+995 322 212 228
www.gibici.ge
info@gibici.ge
* პროდუქცია იკითხეთ სააფთიაქო ქსელებსა და ჰიპერმარკეტებში



### ერთი დღის 25 დეტალი

# პიპა მიდლტონი

## მეფური ქორწილისთვის ემზადება



პიპა მიდლტონი საქორწილო დღესასწაულის ბოლო დეტალებს აგვარებს – 20 მაისს ის თავის „ზღაპრულ პრინცს“, ფინანსისტ ჯეიმს მეთიუსს გაჰყვება ცოლად, და უფროსი დის მსგავსად, სამაგალითო ოჯახს შექმნის.

ბერკშირში გამართულ საზეიმო ცერემონიალს უამრავი სტუმარი დაესწრება და მათ შორის, რასაკვირველია, ცნობილი სახეებიც იქნებიან. ყურადღების ცენტრში მოექცევიან პატარძლის დისშვილები – პრინცი ჯორჯი და პრინცესა შარლოტა, რომლებიც ფორმალურ როლებს შეითავსებენ და დეიდას საკურთხეველთან მიაცილებენ. ყველას აინტერესებს, გამოჩნდება თუ არა წვეულებაზე პრინცი ჰარის შეყვარებული – მსახიობი მეგან მარკლი, რომელთანაც უილიამის ძმას უკვე ცხრათვიანი რომანი აკავშირებს.

მოკლედ, პიპა მიდლტონის ქორწილი ბევრ სიურპრიზს გვპირდება. ვარაუდობენ, რომ პატარძლის კაბის დიზაინერი ვიქტორია ბექჰემი იქნება. სხვა დეტალები კი HELLO!-სთვის უკვე ცნობილი და დადასტურებულია...





## ეშერის ბრილიანტი

ჯეიმსმა პიპას ხელი ჯერ კიდევ გასული წლის ივლისში სთხოვა. ბეჭედმა, რომელმაც მიდლტონის თითი დაამშვენა, მაშინვე მონუსხა გულშემატკივრები. მომავალმა ნეფემ საპატარძლოსთვის არტ-დეკოს სტილში გაკეთებული სამკაული შეარჩია და, როგორც ამბობენ, მასში 200 000 დოლარზე მეტი გადაიხადა. ბეჭედს ეშერების ორკარატიანი ბრილიანტის თვალი ამშვენებს, რომელიც შედარებით მცირე ზომის ბრილიანტებითაა მოოჭვილი.

## ეკლესია



ბედნიერმა წყვილმა ფიცის დადება წმინდა მარკოზის ეკლესიაში გადაწყვიტა. მიუხედავად იმისა, რომ ბერკშირის ეს ტაძარი ვესტმინსტერის სააბატოს მასშტაბებს დიდად ჩამოუვარდება, პიპა და ჯეიმსი ფიქრობენ, რომ იდეალური ადგილია ისეთი ინტიმური და ჰარმონიული სიტუაციის შესაქმნელად, როგორიც ცერემონიისთვის სურთ. ეკლესია მე-13 საუკუნეშია აშენებული და ამჟამინდელი სახე 1857 წელს ჩატარებული რეაბილიტაციის შემდეგ მიიღო.

## მეჯვარეები



პიპა მსოფლიოს ყურადღების ცენტრში ჯერ კიდევ 2011 წელს მოექცა – მაშინ მან საკურთხეველთან უფროსი და მიაცილა და დედმამიშვილი სამეფო ოჯახს „გადააბარა“. ამჯერად მეჯვარის როლს ყველაზე პატარა პრინცესა – შარლოტა მოირგებს. ის დეიდას წინ წარუძღვება და ბილიკზე ლამაზ ყვავილებს მოუფენს. უკვე აშკარაა, რომ 2 წლის გოგონა ყველა სხვა სტუმარს გადაფარავს და დიდხანს დარჩება გულშემატკივართა ყურადღების ცენტრში.



## კაბა

ეს ის დეტალია, რომელსაც ყველაზე დიდი ყურადღება ექცევა. 33 წლის პიპამ რჩევისთვის ლონდონის ტოპდიზაინერს – Giles Deacon-ს მიმართა. ყველას ეგონა, რომ კაბას სწორედ ის შეკერავდა, თუმცა პროგნოზი შეიცვალა, როცა Jacques Azagury-მ ჰერცოგინიას დას თავისი დიზაინი შესთავაზა. ეჭვი კეიტ მიდლტონის ფავორიტზე – Jenny Packham-ზეც ჰქონდათ, თუმცა ბოლო ვერსიად მაინც ვიქტორია ბექჰემი განიხილება. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ საქორწინო ცერემონიაზე გაირკვევა.




## ყვავილები

პიპას მიაჩნია, რომ თაიგული ქორწილის დამაგვირგვინებელი დეტალია. საბედნიეროდ, მისი „ბედნიერი დღე“ იმ პერიოდშია დაგეგმილი, როცა ინგლისი ყვავის და დედოფლებს ყვავილების ყველაზე მრავალფეროვან არჩევანს სთავაზობს. ჰერცოგინიას უმცროსი და რამდენჯერმე შენიშნეს ჩელსიში მდებარე Lavender Green Flowers-ში, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი თაიგული და საქორწილო დეკორაციები პიონების, ლილიებისა და ვარდების ასორტიმენტით გაფორმდება.

## ენგელფილდი



წმინდა მარკოზის ეკლესია ენგელფილდის ტერიტორიაზე მდებარეობს. საოცარი პეიზაჟებისა და სილამაზის გამო, ეს ადგილი ხშირად ყოფილა დიდი მოვლენების ეპიცენტრი. აქ ბევრი ტელესერიალი და ფილმია გადაღებული. მათ შორისაა „ოსკაროსანი“ The King's Speech-იც. ბოლოდროინდელი შემთხვევებიდან კი აღსანიშნავია Netflix-ის დრამა The Crown, რომელიც დედოფლის ისტორიას გვიამბობს. ენგელფილდის სახელგანთქმული სასახლე ცნობილი მილიონერის – რიჩარდ ბენიონის ოჯახს ეკუთვნის.



## ჯორჯი

დეიდის ქორწილში ჯორჯი თითქმის ოთხი წლის იქნება და ღირსეულად შეასრულებს „ბეჭდების ბიჭის“ საპატიო მოვალეობებს. კემბრიჯის ჰერცოგისა და ჰერცოგინიას პირველმა შვილმა აქამდეც ბევრჯერ დაამტკიცა, რომ ოფიციალურ შეხვედრებზე შეუძლია თავდაჭერილი და საოცრად მოწესრიგებული იყოს. იმედია, პატარა უფლისწული მაყურებლებს ამჯერადაც გააოცებს მისაბაძი ქცევით და ბეჭდებს დანიშნულების ადგილამდე მშვიდობიანად მიიტანს.



## ჰარი

ჰარი და პიპა სწორედ ის ადამიანები არიან, რომლებმაც კემბრიჯის ჰერცოგი და ჰერცოგინია საკურთხეველთან მიაცილეს. მაშინ უკვე ნათელი იყო, რომ კეიტის უმცროსი დის ქორწილზე პრინცს საპატიო მოსაწვევი შეხვდებოდა. ხალხს ის უფრო აინტერესებს, გამოჩნდება თუ არა სტუმრებში მეგან მარკლი – ამერიკელი მსაიობი, რომელიც უკვე ცხრა თვეზე მეტია, ჰარის შეყვარებულის სტატუსს ატარებს. პასუხი, სავარაუდოდ, დადებითია, იმიტომ, რომ წყვილი ერთად უკვე დაესწრო ორიოდე თვის წინ იამაიკაზე გამართულ ქორწილს.

## მოსაწვევები




იღბლიანმა სტუმრებმა წინასაქორწილო მოსაწვევები ჯერ კიდევ საშობაო პერიოდში, საახალწლო მილოცვებთან ერთად მიიღეს. ახალი მოსაწვევები კი გზაშია და ნელ-ნელა ყველა რჩეულ ადრესატთან იგზავნება. პიპა დედამისთან ერთად რამდენჯერმე ეწვია Mount Street Printers-ს, რაც იმას ნიშნავს, რომ ბარათები საოცრად დახვეწილი, ხარისხიანი და ელეგანტური იქნება. აღსანიშნავია, რომ სწორედ აქ დაიბეჭდა 2011 წლის სამეფო ქორწილის მოსაწვევებიც.



## ჯო მილოი

ეს ის ქალბატონია, რომელიც 12 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ვიქტორია ბექჰემის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურსა და დიზაინერის პიარკამპანიებს. ვიკიმ სწორედ მისი დამსახურებით დააღწია თავი პოპვარსკვლავის იარლიყს და მოდის პატივსაცემ დიზაინერად გადაიქცა. ჯო მილოი ამჯერად პიპას ქორწილის დაგეგმვითაა დაკავებული და ყველაფერი, რასაც სტუმრები ნახავენ, ამ ქალბატონის ნახელავი იქნება. ▶





## 11 ჰერცოგინია

რასაკვირველია, პიპას ქორწილში კეიტი ერთ-ერთ მთავარ როლს შეასრულებს და პატარძალ დაზე არანაკლებ ყურადღებასაც დაიმსახურებს. მეჯვარეობა, როგორც უკვე გითხარით, პატარა შარლოტას დაუთმო, თავად კი საყვარელი დის ნაბიჯებს საპატიო სტუმართა რიგებიდან დააკვირდება. ჰერცოგინია წინასაქორწილო სამზადისში თავიდან ფეხებამდეა ჩართული და პიპას მთელი გულით გულშემატკივრობს. ვარაუდობენ, რომ კეიტი ცერემონიალზე სიტყვითაც გამოვა.



## 12 ლეიკ-დისტრიქტი

ეს ის ადგილია, სადაც საქორწილო აურზაური დაიწყო. პიპა და ჯეიმსი დასასვენებლად უმშვენიერეს ლეიკდისტრიქტს სტუმრობდნენ. ბუნებაში სეირნობისას მეთიუსმა მოულოდნელი შეკითხვა დასვა. როგორც აღმოჩნდა, მიდლტონებთან მას ყველაფერი ჰქონდა შეთანხმებული და ახლა მხოლოდ საყვარელი ქალის პასუხს ელოდა. გულაჩუყებულმა პიპამ თანხმობა ყოველგვარი ყოყმანის გარეშე განაცხადა.



## 13 პატარძლის დედა

ცნობილია, რომ კეროლ მიდლტონი, რომელსაც პიპასა და კეიტთან განსაკუთრებულად ახლო ურთიერთობა აქვს, ძალიან ორგანიზებულია და ყველაფრის მოგვარებაში უშუალოდაა ჩართული. სწორედ მან დაგეგმა მიღების ცერემონია, რომელიც პატარძლის მშობლიურ სახლში გაიმართება. ვინაიდან კეიტის ქორწილში მას Catherine Walker-ის ლურჯი კაბა ამშვენებდა, ვარაუდბენ, რომ ყოველთვის ელეგანტური კეროლის არჩევანი ამჯერადაც საოცრად დახვეწილი და გემოვნებიანი იქნება.

**ჰერცოგინია წინასაქორწილო სამზადისში თავიდან ფეხებამდეა ჩართული და პიპას მთელი გულით გულშემატკივრობს. ვარაუდობენ, რომ კეიტი ცერემონიალზე სიტყვითაც გამოვა**



## 14 თაფლობისთვე

მიუხედავად იმისა, რომ ხელისგულზე მთელი დედამიწა აქვთ გადაშლილი და პლანეტის ნებისმიერი წერტილისკენ გამგზავრება შეუძლიათ, პიპა და ჯეიმსი ირჩევენ ადგილს, რომელიც მათ მყუდროებასა და პირად სივრცეს უზრუნველყოფს. სავარაუდოდ, წყვილი St Barts-ის ოჯახურ სასტუმროში დაბინავდება. აქ მდიდრული ვილები პირდაპირ პლაჟზეა განლაგებული, პეიზაჟი კი ნამდვილ სამოთხეს ჰგავს. ასეთი გარემო ხმაურიანი ქორწილის შემდეგ იდეალური თაფლობისთვის გარანტიას იძლევა.

## 15 საკურთხეველი

ჯადოსნური სიტყვების წარმოთქმაში ნეფესა და დედოფალს წმინდა მარკოზის სახელობის ეკლესიის მღვდელი – ნიკ უაინ-ჯონსი დაეხმარებათ. ის წყვილს მანამდეც შეხვედრია და სამეფო ოჯახის წარმომადგენლებშიც დიდი პატივისცემით სარგებლობს.



## 16 წვეულების ორგანიზატორი

პიპა წვეულებების ცნობილი ორგანიზატორია. ამ თემას 2012 წელს მან წიგნიც (Celebrate) მიუძღვნა. საპატარძლომ ყველაფერი იცის სადღესასწაულო ეტიკეტსა და კულინარიულ ნორმებზე. ასევე, ერთ-ერთი მთავარი ფიგურაა მშობლების მიერ დაარსებულ კომპანიაში Party Pieces. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საქორწილო სუფრის გაწყობაში, ინტერიერისა და ექსტერიერის გაფორმებასა და საგაზაფხულო მენიუს შედგენაში ის უშუალოდ ჩაერთვება.




## 17 დედოფალი

2011 წელს, პრინც უილიამისა და კეიტ მიდლტონის ქორწილში, დედოფალ ელისაბედს განსაკუთრებული ადგილი ეკავა. მისი უდიდებულესობა ყურადღების ცენტრში იყო და თითოეული სტუმრის მიმართ განსაკუთრებულ კეთილგანწყობას იჩენდა. მიუხედავად იმისა, რომ პიპას დედოფალთან ძალიან კარგი ურთიერთობა აქვს, ქორწილს ელისაბედი არ დაესწრება. ▶





## 18 მიღება




მიდლტონების ოჯახს მშვენიერი სახლი აქვს იმისათვის, რომ განსაკუთრებულ სტუმრებს შესაფერისად უმასპინძლოს. პიპამ გადაწყვიტა მიღების ცერემონიალი მშობლიურ ეზოში გამართოს. ექვს მილიონ დოლარად შეფასებული სახლი დები მიდლტონების საყვარელი ადგილია, რაც მაშინაც დადასტურდა, როცა კეიტმა ახალშობილი ჯორჯი პირდაპირ ბერკშირში წაიყვანა. უზარმაზარი მამული მაისში გამართული წვეულების საწყისი წერტილი გახდება.



## 22 ტიტული

მას შემდეგ, რაც 2008 წელს პიპას მომავალი მამამთილი ჰაილენდის უზარმაზარი ტერიტორიის მფლობელი გახდა, ის ცნობილი მემამულეა. ტიტული მემკვიდრეობით სწორედ ჯეიმსს გადაეცემა, პიპა მიდლტონი კი Glen Afric-ის დიასახლისი გახდება და შესაბამის წოდებასაც მოირგებს.



## 19 სპენსერ მეთიუსი

ჯეიმსის უმცროს ძმას დიდ ბრიტანეთში უკვე კარგად იცნობენ – ის პოპულარულ რეალითი-შოუში Made in Chelsea მონაწილეობდა. ამჯერად მისი გამოჩენა ნაკლებად ხმაურიანი იქნება და მაქსიმალურად შეეცდება მეფური ქორწილის პროტოკოლს მოერგოს. ცნობილია, რომ ძმებს ერთმანეთთან ძალიან ახლო ურთიერთობა აქვთ. ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ ცერემონიალზე სპენსერი ჯეიმსის მეჯვარედ გამოცხადდება.

## 23 შვეიცარი

შვეიცართა როლებს პიპას უმცროსი ძმა – 29 წლის ჯეიმსი, და მეთიუსის ბიზნესპარტნიორი – ედუარდ ჰორნერი შეასრულებენ. ისინი, როგორც ნეფე-პატარძლის ნდობით აღჭურვილი პირები, სტუმრებს პირველები შეეგებებიან და კუთვნილი ადგილებისკენ წარუძღვებიან.








## 20 უილიამი



პიპას კემბრიჯის ჰერცოგთან შესაშურად კარგი ურთიერთობა აქვს. უილიამი ხშირად აღნიშნავს, რომ მომავალი პატარძალი არაჩვეულებრივი დეიდაა და ჯორჯსა და შარლოტას იგი განსაკუთრებულად უყვარს. აშკარაა, რომ პატარა პრინცისა და პრინცესას მამა „გაზაფხულის დედოფლის" ერთ-ერთი ყველაზე დიდი გულშემატკივარი იქნება და სტუმართა სიაში საპატიო ადგილს დაიკავებს.

## 24 ისტორია

როგორც ცნობილია, ჯეიმსი მომავალ მეუღლეს ჯერ კიდევ ათი წლის წინ, კარიბის კუნძულებზე შეხვდა. „ნაპერწკალი" მაშინვე გაჩნდა, მაგრამ წლების განმავლობაში არ გაღვივებულა. ბედისწერამ მათი გზები ისევ გადაკვეთა და წყვილი სპორტის სიყვარულით გააერთიანა. 2015 წლიდან პიპასა და ჯეიმსის რომანი მსოფლიოს ყურადღების ცენტრში მოექცა.



## 21 ფიცი

პიპასა და ჯეიმსის ქორწილი კლასიკურ ინგლისურ ჩარჩოებში ჩაჯდება. ეს იმას ნიშნავს, რომ მაშინ, როდესაც პიპა შარლოტა მიდლტონი და ჯეიმს სპენსერ მეთიუსი ბეჭდებს გაცვლიან, მათ მიერ წარმოთქმული ფიციც ისეთივე ტრადიციული იქნება, როგორც ყველა სხვა დეტალი.



## 25 დედამთილი

ჯეიმსის დედას ჯეინი ჰქვია და იგი 69 წლისაა. დაიბადა ზიმბაბვეში და სანამ დევიდზე გათხოვდებოდა, სახვითი ხელოვნება საფუძვლიანად შეისწავლა. 21 წლის ასაკში ის უკვე კრისტიან დიორთან მუშაობდა. აქვს სტილის საოცარი შეგრძნება, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი საქორწილო LOOK-ი ფავორიტთა შორის აუცილებლად მოხვდება.







# ᲣᲑᲠᲐᲚᲝ ᲗᲐᲘᲒᲣᲚᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ

ყვავილების მაღაზია-სალონი და ივენთ კომპანია „ᲛᲝᲜᲢᲐᲒᲝ“

დ. გამრეკელის ქუჩა 20, თბილისი

ᲛᲝᲑ.: 551 06 33 22; FB: MonTa&Go მონტაგო; INSTAGRAM: montagoflowers

www.montago.ge; montagoflowers@yahoo.com



**სოფიკოს ბედნიერების „პორცია“ ოთხმაგია, ის სამი ბიჭისა და ერთი გოგონას ბებიაა**

მარცხნიდან მარჯვნივ: სოფიკო ნარჩემაშვილი, ნუკა კაციტაძე და ნანა ნებიერიძე

ახალგაზრდა, აქტიური და ლამაზი ბებიები

# ნანა ნებიერიძე, სოფიკო ნარჩემაშვილი და ნუკა კაციტაძე

## HELLO!-ს საკუთარ გამოცდილებას უზიარებენ



ნანა ამბობს, რომ მისთვის ეს მხოლოდ სტატუსია. უბრალოდ, თუ აქამდე თავს უვლიდა, ახლა ორმაგად პასუხისმგებელია ეს გააკეთოს – შვილიშვილის გამო.



## „ვფიქრობ, ქალი, რომელიც ბებია ხდება, ცხოვრებაში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ეტაპს გადის“

## ნანა ნებიერიძე

ორი წლისა და ხუთი თვის ალექსანდრე ბუბუტეიშვილი ნანა ნებიერიძის პირველი შვილიშვილია. ისევე, როგორც ყველაფერში, ბებიის როლშიც აქტიური და ენერგიულია. მაქსიმალურად ცდილობს ყველაფრის საქმის კურსში იყოს, რაც ალექსანდრეს აღზრდას ეხება. ერთად კითხულობენ, სეირნობენ, თამაშობენ ფეხბურთს, უყურებენ მულტფილმებს და ორცხობილებს აცხობენ. მოკლედ, ერთად აკეთებენ ყველაფერს, რაც აბედნიერებთ. ერთადერთი, რისი გაკეთებაც უჭირს, შვილიშვილის მიმართ სიმკაცრის გამოჩენაა. ამბობს, რომ არ უფიქრია იმაზე, როგორი ბებია იქნებოდა, მაგრამ რომც ეფიქრა, ვერ წარმოიდგენდა, ეს პერიოდი ასეთი შესანიშნავი თუ იქნებოდა.

„ვფიქრობ, ქალი, რომელიც ბებია ხდება, ცხოვრებაში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ეტაპს გადის. ყველა ბებიას ვურჩევდი იამაყონ იმით, რომ ჰყავთ პატარები, რომლებსაც შეუძლიათ უყვარდეთ ისინი – ისევე, როგორც მათ შვილებს უყვართ“.

ქალების დამოკიდებულება ასაკის მიმართ ცნობილია: ზოგიერთს უბრალოდ ეშინია სიტყვის – „ბებია“. ნანა ამბობს, რომ მისთვის ▶



**სოფიკოს მისთვის ყველაზე ძვირფას და საყვარელ ოთხ ადამიანს უსურვებს, უყვარდეთ გარშემომყოფები და აკეთონ სიკეთე**

„შეყვარებული რომ ხარ და დილით სანამ იღვიძებ, უკვე რომ რაღაც გიხარია, ხომ გახსოვთ ეს შეგრძნება? მერე უკვე კარგად რომ გამოიღვიძებ და ბედნიერი ხარ. აი, ასეთია ჩემი ყოველი დღე მას შემდეგ, რაც ეს პატარა ადამიანები მყავს“.

ეს მხოლოდ სტატუსია. უბრალოდ, თუ აქამდე თავს უვლიდა, ახლა ორმაგად პასუხისმგებელია ეს გააკეთოს – შვილიშვილის გამო. რაც საკუთარი ბებიის – გრაფინია რაზუმოვსკაიას შესახებ ყველაზე მკვეთრად ახსოვს, ის არის, რომ მან ასწავლა როგორი უნდა იყოს ქალი. ცოდნა, რომელიც ბებიისგან მიიღო, საკუთარ ქალიშვილს გადასცა და იმედი აქვს, ეს ჯაჭვი გაგრძელდება. შვილიშვილებს კი, უპირველესად, ურჩევდა, იყვნენ საკუთარი ქვეყნის პატრიოტები, სამართლიანები და მოწესრიგებულები.

## სოფიკო ნარჩემაშვილი

„შეყვარებული რომ ხარ და დილით სანამ იღვიძებ უკვე რომ რაღაც გიხარია, ხომ გახსოვთ ეს შეგრძნება? მერე უკვე კარგად რომ გამოიღვიძებ და ბედნიერი ხარ. აი, ასეთია ჩემი ყოველი დღე მას შემდეგ, რაც ეს პატარა ადამიანები მყავს“.

ბედნიერების „პორცია“ მისთვის ოთხმაგია – სოფიკო ნარჩემაშვილი 7 და 4 წლის ნიკოლოზ და თენგო-ილია კავაძეების, და ტყუპების – წლისა და 5 თვის სალომე და გიორგი გოცაძეების ბებიაა. პატარა ასაკის მიუხედავად, მსგავსების გარდა, ტყუპების ხასიათის განსხვავებული თვისებების დანახვაც მარტივია. ორივეს დიდი ცისფერი თვალები აქვს და ერთმანეთს საერთოდ არ ჰგვანან. გიორგი ძალიან ცელქი და მოუსვენარია, სალომე – დინჯი და ფრთხილი. როგორც თვითონ ამბობს, უფროსი შვილიშვილების აღზრდაში დიდი წვლილი არ მიუძღვის. უკრაინაში ცხოვრობდა და თბილისში ხშირად ვერ ჩამოდიოდა. მიაჩნია, რომ ძალიან ჭკვიანი და კარგად გაზრდილი ბიჭები არიან, რისთვისაც მათი დედის მადლიერია.

თენგო-ილიას ძალიან უყვარს, როცა ბებიას სამზარეულოში ეხმარება და მისგან დავალებებს იღებს. ნიკოლოზი ყველაზე ჭკვიანი და სერიოზულია. არ უყვარს, როცა ბავშვივით ექცევიან. ის და ბებია მეგობრები არიან. რა თქმა უნდა, სამ ბიჭს შორის ერთი გოგონა ყველაზე მეტადაა განებივრებული, რასაც თავადაც არაჩვეულებრივად გრძნობს. სალომეს ხშირად ბებოს ამსგავსებენ და სოფიკოსთვის ეს ყოველთვის ძალიან სასიამოვნო მოსასმენია. უნდა, რომ მისი შვილიშვილები მუდამ სიკეთეს ხედავდნენ, რაც ჩვენს დროში არც ისე მარტივია. მისთვის ყველაზე ძვირფას და საყვარელ ოთხ ადამიანს უსურვებს, უყვარდეთ გარშემომყოფები, აკეთონ სიკეთე და გამოადგნენ ქვეყანას.

## ნუკა კაციტაძე

ნუკა კაციტაძე ყველაზე სერიოზული, წლისა და 4 თვის ბიჭუნას – შოთიკო ქრისტესაშვილის ბებიაა. ათი თვის განმავლობაში ისინი ერთად ცხოვრობდნენ. შესაბამისად, პირველი დღიდან მუდმივად აკვირდებოდა საკუთარ შვილიშვილს. ჯერ კიდევ იმ დროიდან, როდესაც შოთიკო 2-3 თვის იყო, ზუსტად ხვდებოდა, რა მოსწონდა მას და რა არა. ბებიის სტატუსი ძალიან მოსწონს. არ არის მათ რიცხვში, ვისაც თითოეული წლის მატების ეშინია. ალბათ სწორედ ასეთი მიდგომის გამო, მისი ფოტოების ნახვისას იფიქრებთ, რომ წლები უბრალოდ არ ემატება.

„ამის არ მეშინია. ასაკი ყველას გვემატება. მთავარია ყველაფერს პოზიტიურად შეხედო, კარგს დააკვირდე; იმას, ვინ გამოიყურება უკეთ, ვინ უფრო კარგ გუნებაზეა. რა თქმა უნდა, მეგობრები დაახლოებით ჩემი ასაკის მყავს, მაგრამ ახალგაზრდებთანაც მაქვს ურთიერთობა, მათთანაც ვმეგობრობ და ეს ძალიან მსიამოვნებს. მაინტერესებს მათი ხედვა, მიმართულებები, რომლებიც ჩვენზე უკეთ იციან. მაინტერესებს ყველაფერი, რაც შეიძლება მათგან გავიგო, და ასე ვეწევი მათ“.

საკუთარი ბებიისგან ყველაზე კარგად ორი კონკრეტული რეცეპტი ახსოვს: დილაობით, მძინარეს თაფლიან წყალს ასმევდა, გაღვიძებისას კი ვანილით შეზავებულ ბრინჯის ფაფას ახვედრებდა. მაშინ ძალიან არ მოსწონდა, მაგრამ დღეს ეს ამბები და არომატი ყველაზე დიდ სითბოსთან არის დაკავშირებული. სწორედ ამიტომ, თვითონაც იგივეს აკეთებდა საკუთარი შვილებისთვის და უნდა მომავალში შოთიკოც ასე გაანებივროს. დღეს მათ ▶



„ბებიის სტატუსის არ მეშინია. ასაკი ყველას გვემატება. მთავარია ყველაფერს პოზიტიურად შეხედო“




ნუკა კაციტაძე ყველაზე სერიოზული, წლისა და 4 თვის ბიჭუნას – შოთიკო ქრისტესაშვილის ბებიაა. ათი თვის განმავლობაში ისინი ერთად ცხოვრობდნენ.

ურთიერთობაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი მუსიკას უჭირავს. ერთად უკრავენ როიალზე და უსმენენ სხვადასხვა ჩანაწერს. როგორც ყველა ბებიისა და შვილიშვილის ურთიერთობაში, ზღაპრების წიგნი აქაც აუცილებელი კომპონენტია. როცა ცოტა დრო გავა და სერიოზული ბიჭი კიდევ უფრო სერიოზული იქნება, ბებიას უნდა, რომ რეპერტუარის გარდა სპექტაკლებიც ერთად აირჩიონ და თეატრში ერთმანეთის განუყრელი კომპანიონები იყვნენ. **H**


**ტექსტი**: მაკო მჭედლიშვილი
**ფოტო**: გურამ მურადოვი
**სტილი**: თეონა ელიზბარაშვილი
**ჩაცმულობა**: KETI CHKHIKVADZE, GVANTSA JANASHIA
**მაკიაჟი**: BEAUTY EXPRESS
**ვარცხნილობა**: NATALI
**ლოკაცია**: HOTEL COSTE




**ნუკასა და შოთიკოს ურთიერთობაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი მუსიკას უჭირავს, ერთად უკრავენ როიალზე და უსმენენ სხვადასხვა ჩანაწერს**





WELLA PROFESSIONALS-ის, LONDA PROFESSIONAL-ისა და NIOXIN-ის
ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში

Profline Cosmetics
პროფლაინ კოსმეტიქსი

ვ. დოლიძის ქ. 46

032 229 58 00

facebook.com/WellaProfessionalsStudioGeo



# LION-ის ვარსკვლავი დევ პატელი ახალი შეყვარებულით ამაყობს

მიუხედავად იმისა, რომ სასიყვარულო ურთიერთობაში ჯერ მხოლოდ პირველ ნაბიჯებს დგამენ, **დევ პატელი** და ავსტრალიელი მსახიობი **ტილდა კობემ-ჰერვი** თავიანთი ისტორიით უკვე ძალიან ამაყები არიან. „უნებლიე მილიონერის“ შეყვარებული კამერების წინ პირველად „წინასაოსკარო“ წვეულებაზე დევის დედასთან ერთად გამოჩნდა. ბევერლი-ჰილსში გამართულ საღამოზე წყვილი ერთმანეთს არ შორდებოდა და ლოსანჯელესის ქუჩებშიც ხელჩაკიდებული დააბიჯებდა.

მაყურებელი ტილდას BBC3-ზე ნანახი სერიალიდან **BARRACUDA** იცნობს. დევ პატელს პირველად ინდოეთში, **HOTEL MUMBAI**-ს გადაღებებზე შეხვდა. იანვარში შეყვარებულები უკვე პაპარაცულ ფოტოებში ჩნდებოდნენ. მათ ხშირად ხედავდნენ რესტორნებში, ქუჩებსა და მაღაზიებშიც. სწორედ 22 წლის რჩეული დაეხმარა დევს ღიმილისა და კარგი განწყობის შენარჩუნებაში მაშინ, როცა 26 წლის მსახიობმა მეორეხარისხოვანი როლის შესრულებისთვის „ოსკარის“ ჯილდო დათმო. დღეს უკვე აშკარაა, რომ დევი და ტილდა ერთმანეთს აბედნიერებენ და საკუთარ ურთიერთობასაც დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

ცნობისათვის: დევს მანამდე რომანი მსახიობ **ფრიდა პინტოსთან** ჰქონდა. 2014 წელს, ექვსწლიანი ურთიერთობის შემდეგ, პატელმა განაცხადა, რომ გრძნობებისგან „შესვენების აღებასა“ და კარიერაზე ორიენტირებას აპირებდა. „არდადეგები“ თითქმის სამ წელიწადს გაგრძელდა. როგორც **THE MIRROR**-ს მსახიობის ახლობელმა გაუმხილა, „ახალი რომანი მოულოდნელად დაიწყო, მაგრამ რაც მთავარია, დევი თავს ძალიან ბედნიერად გრძნობს“.

შეგახსენებთ, რომ **დევ პატელი** 2008 წელს გადაღებულ კინოჰიტში **SLUMDOG MILLIONAIRE** მონაწილეობდა, რითაც სახელი მთელ მსოფლიოში გაითქვა. ფილმმა ამერიკული კინოაკადემიის რვა ჯილდო დაიმსახურა. ბოლოდროინდელი კარიერული წარმატებებიდან კი გამოირჩევა მისი როლი 2016 წლის ნამუშევარში **LION**. სარუ ბრიერლის საკულტო პერსონაჟის განსახიერებით, მსახიობმა **„ოქროს გლობუსის“**, **„კრიტიკოსთა რჩეულისა“** და **„ოსკარის“** ნომინაციები, ასევე **BAFTA**-ს ჯილდო დაიმსახურა. გასულ თვეში ვარსკვლავს 27 წელი შეუსრულდა.







**ტექსტი:** ელენე მარგალითაშვილი. **ფოტო:** GETTY IMAGES.


I am
GAP
PORTRAIT OF AN AMERICAN SUMMER 2017
თბილისი მოლი, აღმაშენებლის ხეივანი მე-16კმ/TBILISI MALL, 16KM AGHMASHENEBELI ALLEY

# KAHABERI CLOTHING

## გატრენდებული სამოსი და ყაბალახების მოდა



ყაბალახი, სხვადასხვა ვარცხნილობის მქონე ფაფახის ხაზი, აბრეშუმის თავსაბურავები და ბაბუის პორტრეტდატანილი მაისურები – ამ ყველაფერს ერთად თავი მომღერალმა კახაბერ ცისკარიძემ საკუთარი სამოსის ხაზში მოუყარა და საზოგადოებას საგაზაფხულოდ გააცნო. სამოსის ხაზის გაკეთების იდეა მისივე ჩაცმის სტილიდან წამოვიდა. სურდა კომფორტული და განსხვავებული LOOK-ები სხვებისთვისაც გაეზიარებინა. ჯერჯერობით ლიმიტირებული კოლექცია გამოუშვა. ეს უკანასკნელი იმის ხაზგასმას ისახავს მიზნად, რომ ქართული კულტურა ყოველთვის ევროპულ სტანდარტებთან ახლოს მდგომად მიიჩნეოდა. ამავეს დამტკიცებას ცდილობს არტისტი თავისი მუსიკითაც, რომელსაც ელექტრო-ფოლკი ეწოდა და შემსრულებლის პირად დამსახურებად ითვლება.

კახაბერის ამ მიმართულებით საქმიანობის მთავარ იდეას სხვადასხვა ნიჭიერ და საინტერესო არტისტთან თანამშრომლობა წარმოადგენს. სამოსის ხაზის შექმნის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ სხვადასხვა სფეროში მოღვაწე არტისტთა ერთმანეთთან დაკავშირების კულტურის დამკვიდრება გახლავთ. ამ მულტიკულტურული იდეის მატარებელია ბრენდის შესახებ შექმნილი ვიდეორგოლიც, რომელიც ქართველ და უცხოელ პროფესიონალთა თანამშრომლობით დამზადდა. ამ უკანასკნელის რეჟისორები DAVID WEST-ი და დავით ძოწენიძე არიან. კლიპში კუბელი მოდელი და მოცეკვავე – INDIRA REYES-ი მონაწილეობს.

კახაბერმა ინდირა რამდენიმე წლის წინ, სომხეთში გაიცნო. საქართველოში საცხოვრებლად გადმოსვლის შემდეგ, მოცეკვავემ კახაბერისგან საინტერესო შემოთავაზება მიიღო. სამოსის ხაზთან დაკავშირებით თანამშრომლობის გარდა, უახლოეს მომავალში დღის სინათლეს კიდევ ერთი პროექტი იხილავს, სადაც ქართული ელექტრო-ფოლკის დამფუძნებელი ისევ კუბელ მოცეკვავესთან ითანამშრომლებს.

სამომავლოდ, არტისტი „ხანუმების“ სპეციალური ხაზის შექმნასაც გეგმავს, რაც უშუალოდ ქალებისთვის იქნება განკუთვნილი, თუმცა ნამდვილად იცის, რომ ეს ყველაფერი საქართველოს პოპულარიზაციას მოხმარდება.

**როგორ გაჩნდა ბრენდის შექმნის იდეა?**
**კ.ც.** უნიკალური სტილი, რომელიც მე მაქვს, მსურდა სხვებისთვისაც გამეზია- ▶

„მე მგონი უკვე აღარავის უკვირს, რომ საინტერესო აღმოჩენებს ვაკეთებ ხოლმე. არც ისაა სიახლე, რომ ახალგაზრდა და ნიჭიერ არტისტებთან ხშირად ვთანამშრომლობ. ესეც ერთ-ერთი ახალი პროექტია, რომელმაც დღის სინათლე იხილა და ამით ყველაფერი არ მთავრდება“.

„ჯერჯერობით საცდელი კოლექცია გამოვუშვით, თუმცა ყველაფერი მზადაა იმისთვის, რომ ბრენდი მასიურ წარმოებაში ჩაეშვას“





კახაბერმა ინდირა რამდენიმე წლის წინ, სომხეთში გაიცნო. საქართველოში საცხოვრებლად გადმოსვლის შემდეგ, მოცეკვავემ კახაბერისგან საინტერესო შემოთავაზება მიიღო.

**კახაბერის ამ მიმართულებით საქმიანობის მთავარ იდეას სხვადასხვა ნიჭიერ და საინტერესო არტისტთან თანამშრომლობა წარმოადგენს**

რებინა. ჯერჯერობით საცდელი კოლექცია გამოვუშვით, თუმცა ყველაფერი მზადაა იმისთვის, რომ ბრენდი მასიურ წარმოებაში ჩაეშვას. ამ ეტაპზე დეტალები ჯერ კიდევ დაზუსტების პროცესშია, მაგრამ მალე ჩამოვყალიბდებით იმასთან დაკავშირებითაც, თუ რა ფორმით მოხდება ჩემი ბრენდის მასობრივ მომხმარებლამდე მიტანა.

**სად აღმოაჩინეთ ინდირა?**

**კ.ც.** მე მგონი უკვე აღარავის უკვირს, რომ საინტერესო აღმოჩენებს ვაკეთებ ხოლმე. არც ისაა სიახლე, რომ ახალგაზრდა და ნიჭიერ არტისტებთან ხშირად ვთანამშრომლობ. ესეც ერთერთი ახალი პროექტია, რომელმაც დღის სინათლე იხილა და ამით ყველაფერი არ მთავრდება. ჩვენ კიდევ არაერთ საინტერესო თანამშრომლობას ვგეგმავთ. პროექტის პრეზენტაციაზეც ჩემი ბევრი მეგობარი შეიკრიბა – ადამიანები, ვისთან ერთადაც უკვე მითანამშრომლია, ან ვგეგმავ რაიმე საერთო პროდუქტის შექმნას. H

---

**ტექსტი**: ნინუცა მაისურაძე
**ფოტო**: იკა პირველი
**სტილი**: თეონა ელიზბარაშვილი





**სამომავლოდ, არტისტი „ხანუმების“ სპეციალური ხაზის შექმნასაც გეგმავს, რაც უშუალოდ ქალებისთვის იქნება განკუთვნილი**




# გამოიწერეთ ფასდაკლებით

**HELLO! GEORGIA**

**38₾** *ერთი წლით*

DHL

**ადგილზე მიტანის უფასო სერვისით**
**HELLO!**
**თქვენს ოჯახებს ყოველთვე ესტუმრება!**

ჟურნალის გამოწერის მსურველებმა დარეკეთ: **+995 322 98 03 98**
ან მოგვწერეთ ელექტრონულ მისამართზე: **info@hellomagazine.ge**

**ფასდაკლებები და პრივილეგიები ეხებათ მხოლოდ 6 და 12 თვიან გამომწერებს.** შემოთავაზება მორგებულია ბეჭდურ ჟურნალზე და არ ვრცელდება HELLO!-ს ელექტრონულ ვერსიაზე. გამომწერები მუდმივად მიიღებენ განახლებულ ინფორმაციას ჟურნალში წარმოდგენილი ამა თუ იმ პროდუქტისა და მომსახურების შესახებ. **დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ელექტრონულ მისამართზე: info@hellomagazine.ge**

# HELLO! lifestyle



სინდი ბრუნამ პარიზის მოდის კვირეულისთვის CHIC სპორტული სტილი მოირგო.



1



2



3



6




5



4



7

SHOPPING

# GET THE LOOK!

**სინდი ბრუნამ** პარიზის მოდის კვირეულზე სეზონის ყველა ცხელი ტრენდის საკმაოდ ეფექტური კომბინაცია წარმოგვიდგინა. ფრანგმა მოდელმა ნაქარგებიანი დენიმის ქურთუკთან შავი **Boyfriend**-ჯინსის შარვალი და პრინტებიანი მაისური მოირგო, რომელსაც შავი კეპი და პასტელის ცისფერი კედები შეუხამა. **CHIC** სპორტულ სტილს, ლოგოებს, სლოგანებზე აქცენტსა და ვინტაჟური სტილის დენიმს აშკარად ეტყობოდა **VETEMENTS**-ის ესთეტიკის გავლენა.

**1.** შავი კეპი **H&M** 23₾ **h&m.com**; **2.** ჯინსის ქურთუკი პრინტებით **BERSHKA** 129₾; **3.** სათვალე კრისტალებიანი ჩარჩოთი **TOPSHOP** 53₾; **4.** შავი კლატჩი თვლების დეტალებით **ZARA** 99₾; **5.** მაისური პრინტებით **STRADIVARIUS** 55₾; **6.** ჯინსის მაღალწელიანი შარვალი **TOPSHOP** 165₾; **6.** ცისფერი კედები ბაფთით **JOSHUA SANDERS** 700₾ **farfetch.com**

**ტექსტი:** თათია ლაშაური. **ფოტო:** GETTY IMAGES.



NARCISO RODRIGUEZ S/S 2017

MARCHESA S/S 2017

MARC JACOBS S/S 2017



**ZARA**
კლატჩი ჯაჭვებიანი საკიდით
59₾



**TOPSHOP**
„დაცემული“ ფაქტურის გრძელი კაბა ამოღებული გულით
177₾



**TOPSHOP**
წელში გამოყვანილი კოქტეილის კაბა
480₾



**TOPSHOP**
ვერცხლის საათი და რკალისებრი სამაჯური
105₾

FASHION

# Shades of Metallic

მეტალიკის აქცენტები ბოლო წლებში მყარად რჩება მოდური ტენდენციების სიაში და თანაბარი რაოდენობით გვხვდება პოდიუმსა და ქუჩის მოდაში. იცვლება სილუეტები და სტილი, თუმცა ბრჭყვიალა ფაქტურები თანაბრად მოდურია როგორც სამოსში, ასევე აქსესუარებსა და სამკაულებში

თუ გასულ სეზონებზე მეტალიკის შეხამება კონტრასტულ პასტელის ფერებთან და პრინტებთან იყო მოდური, ამჯერად პოდიუმი თავიდან ბოლომდე ბრჭყვიალა ფაქტურით შექმნილმა სამოსმა დაიპყრო – **CAROLINA HERERA** და **MARCHESA** ამ ფაქტურის გრძელ, ე.წ. „დაცემული“ ფაქტურის საღამოს კაბებს გვთავაზობენ. სექსუალურ ფორმებსა და ფემინურ აქცენტებს უსვამს ხაზს **NARCISO RODRIGUEZ**-ი, **VERSACE** კი მეტალიკის ფაქტურის თამამ მინიკაბებს გვთავაზობს.



**ELOSHI**
მეტალისფერი
შლაქსის შარვალი
180₾



**KARL LAGERFELD**
ვერცხლისფერი ქურთუკი
მასიური „ელვებით“
1 500₾
**net-a-porter.com**



**ZARA**
მაღალყელიანი ბლუზა
კონტრასტული ფაქტურით
89₾



**ISA ARFEN**
მეტალისფერი მინი
ქვედაბოლო
1 145₾
**net-a-porter.com**



**ZARA**
სვიტერი განიერი
მკლავებით
79₾



**STRADIVARIUS**
ვერცხლისფერი
ზურგჩანთა
ჯიბით
55₾





**MAISON MARGIELA**
ფეხსაცმელი მეტალისფერი
ფარფლებითა და
ორიგინალური ქუსლით
3 300₾
**net-a-porter.com**



**ZARA**
ვერცხლისფერი
კლასიკური
ფეხსაცმელი
44₾



**STRADIVARIUS**
მბზინვარე ვერცხლისფერი
მოკასინები მსხვილ ქუსლზე
119₾



**CAROLINA HERRERA S/S 2017**

**PACO RABANNE S/S 2017**

**BALMAIN S/S 2017**

**VERSUS VERSACE S/S 2017**

**SHARON WAUCHOB S/S 2017**



**ACCESSORIZE**
ვერცხლისფერი სამაჯური ორმაგი რკალით
20₾



**TOPSHOP**
მეტალის ვერცხლისფერი საყურე
15₾



**VERSUS**
ბლუზა ლომისთავებიანი ელემენტებით
800₾
**net-a-porter.com**



**MISS SELFRIDGE**
Off The Shoulder სტილის კომბინეზონი



**ZARA**
ფარფლებიანი წითელი შარვალი
199₾



**ALEXANDER MCQUEEN**
აბრეშუმის წითელი პერანგი ბაფთიანი შესაკრავით
2 200₾
**farfetch.com**



DALOOD S/S 2017

BALMAIN S/S 2017

JEREMY SCOTT S/S 2017

FASHION

# Red Spring

განურჩევლად სეზონისა, წითელი ყოველთვის უკონკურენტოა ყველაზე სექსუალურ და თვალშისაცემ ფერებს შორის. ტონი, რომელიც გამორჩეულად ეფექტურია ჟოლოსფერთან და მეტალიკის ტონებთან კომბინაციაში, ამ გაზაფხულზე და თქვენ წარმოიდგინეთ – მომავალ შემოდგომასა და ზამთარში, ბეჟთან შეხამებულიც საოცრად მოდური იქნება

თუმცა ყველაზე დახვეწილი მაინც **HEAD TO TOE** წითელი სამოსია – ამ კუთხით კი წამყვანმა მოდის სახლებმა ამ სეზონზე ნამდვილად გაგვანებივრეს – **BALMAIN**-მა მკვეთრი წითელი გრაფიკული კომბინეზონები და მკაცრი გეომეტრიული ფორმებით ინსპირირებული კაბები შემოგვთავაზა. ტყავისა და ნაზი შიფონის კონტრასტულ სინთეზზე გაამახვილა აქცენტი **DIOR**-მა, **CHRISTIAN SIRIANO**-მ კი ყურადღება ავანგარდულ სილუეტებს დაუთმო.



CHRISTIAN SIRIANO
S/S 2017

GIVENCHY
S/S 2017

CHRISTIAN DIOR
S/S 2017

BALMAIN
S/S 2017

**AVTANDIL**
კოტონის წითელი
გაშვებული პერანგი

**ELOSHI**
ფულეს წითელი
ჟილეტი
390₾
**farfetch.com**

**MISS SELFRIDGE**
წელში გამოყვანილი
კოქტეილის წითელი
კაბა

**TOPSHOP**
წითელი მიდიკაბა
ამოღებული ზურგით
175₾

**DORATEYMUR**
ხავერდის
დაბალძირიანი
ფეხსაცმელი
797₾
**net-a-porter.com**

**ALEXANDER MCQUEEN**
წითელი ტყავის ჩანთა
მაგნიტიანი შესაკრავითა და
ბრენდის ინიციალებით
1 700₾
**net-a-porter.com**



JABA DIASAMDZE S/S 2017

JENNY PACKHAM S/S 2017

GIAMBATTISTA VALLI S/S 2017

SAINT LAURENT S/S 2017

**ANOUKI**
ზურმუხტისფერი
გამჭვირვალე
შარვალი
490₾

**TOPSHOP**
ცისფერი კაბა ბრეტელიანი
სარჩულით
200₾

**ZARA**
გრძელი შავი
კაბა გულზე
ორნამენტებით
79₾

**CARAVANA**
დაწნული ტყავის
ქამარი
237₾
**net-a-porter.com**

**AVTANDIL**
ღია ვარდისფერი
ქვედაბოლო პრინტებით
500₾



**TOPSHOP**
ცისფერი მინიკაბა
არშიებით
65₾



**ELOSHI**
ორგანზის პერანგი
ბრჭყვიალა
დეტალებით
380₾



**ZARA**
რკალებით შექმნილი
საყურე
49₾



**ALICE&OLIVIA**
სათვალე ორნამენტებიანი
ჩარჩოთი
674₾
**net-a-porter.com**

FASHION

# The Naked DRESS

## კიმ კარდაშიანისა და რიანას საყვარელი საფირმო Nude კაბები უკვე Casual სტილად გადაიქცა

გამჭვირვალე ფაქტურებისგან შექმნილი სამოსი, ვარსკვლავებთან ერთად, უკვე თქვენც შეგიძლიათ მოირგოთ, თანაც – საკმაოდ თამამად. ბევრისათვის ვულგარული და ზედმეტად სექსუალური სტილი ყოველდღიური ჩაცმულობის ნაწილი გასული სეზონის ჩვენების დამსახურებით გახდა. **DIOR**-მა **შიფონისა და ორგანზის დელიკატურ კაბებს** ყოველდღიური საცვლები შეუხამა, **LANVIN**-მა კი გვირჩია, რომ **გამჭვირვალე მკვეთრი ფერის სამოსი** შიშველ სხეულზე მოვირგოთ.



LANVIN
S/S 2017



MARC JACOBS
S/S 2017



CHRISTIAN DIOR
S/S 2017



FENDI
S/S 2017



SIMONE ROCHA
S/S 2017



**MARIAM GVASALIA**
გამჭვირვალე ყელიანი
ბლუზა გაშვებული
მკლავებით
450₾

FASHION

# მოდური დეკონსტრუქცია

## მოსაზრება იმის შესახებ, რომ მოდა მუდმივად ცვალებადი, თუმცა ერთი და იგივე ტენდენციების მონაცვლეობაა, სეზონიდან სეზონამდე მყარდება

ყოველდღიურ Casual-სამოსს დიზაინერები ყოველთვის სძენენ ახალ სიცოცხლეს და ახალი დეტალებისა თუ ორიგინალური შტრიხების დახმარებით სულ სხვაგვარ ელფერსა და დანიშნულებას სძენენ. ამ სეზონზე, მსგავსი გარდასახვისა და ექსპერიმენტის „მსხვერპლი“ ყველა ქალბატონის გარდერობში არსებული **კლასიკური პერანგი** გახდა.  ძირითადად აკადემიურ და კორპორაციულ სტილთან ასოცირებადი ნივთი ამ გაზაფხულზე ახალი ფორმებისა და სილუეტების ინსპირაციად იქცა და დიზაინერებმაც დეკონსტრუქციის უამრავი მაგალითი შემოგვთავაზეს – უსწორმასწორო ჭრები, ასიმეტრიული საყელო და შერეული პრინტები, არასტანდარტული მხრები და ცალი მკლავი – პერანგების არჩევანი 2017 გაზაფხულისთვის საკმაოდ ორიგინალური და მრავალფეროვანია.



**AVTANDIL**
დეკონსტრუქციული პერანგი ვერცხლისფერი ზოლებით
400₾



**AVTANDIL**
თეთრი გრძელი პერანგი ფერადი პრინტით
170₾




**TOPSHOP**
საათი ცისფერი ტყავის სამაჯურით
255₾



**ELIZABETH AND JAMES**
ღია ცისფერი პერანგი თეთრი საყელოთი და მანჟეტებით
745₾
**net-a-porter.com**



**MONSE**
დეკონსტრუქციული პერანგი ლურჯი და თეთრი ზოლებით
2 500₾
**net-a-porter.com**



ANOUKI S/S 2017


MONSE
S/S 2017
DIANA KVARIANI
S/S 2017
DALOOD
S/S 2017
MONSE
S/S 2017
DKNY
S/S 2017
TAKO MEKVABIDZE
S/S 2017
LAKO BUKIA
S/S 2017
ამ სეზონზე კლასიკური, დიდი
ზომის თეთრი პერანგების ჩაცმა
საგაზაფხულო კაბის სტილში
შეგიძლიათ

FASHION

# *Head Over Heels*

ამ სეზონზე ფეხსაცმლის მოდური ტენდენციები მთლიანად ორიგინალური ქუსლების გარშემო ტრიალებს. ფორმისა და ზომის ვარიაციებთან ერთად, დიზაინერებმა ქუსლის ფუნქცია ყოველდღიური მოხმარების ნივთებსაც შეუთავსეს – დემნა გვასალიამ ჯერ კიდევ რამდენიმე სეზონის წინ შექმნა შუზი-წინდა, რომელსაც ქუსლის ნაცვლად სანთებელა ჰქონდა მიმაგრებული, MAISON MARGIELA-მ კი ტყავის ფეხსაცმელს, ქუსლის ნაცვლად, პლასტმასის ერთჯერადი ჭიქა მოარგო

## *FUNKY Heels*



**PRADA**
ფეხსაცმელი ცილინდრის ფორმის გამჭვირვალე ქუსლით
1 690₾
**net-a-porter.com**



**DOLCE & GABBANA**
საზაფხულო ტყავის სანდლები ანანასის ფორმის ქუსლით
4 500₾
**net-a-porter.com**



**MARIAM GVASALIA**
მეტალისფერი შუზი ლურჯი ქუსლითა და თასმებით
500₾



**THOM BROWNE S/S 2017**



**SIMONE ROCHA S/S 2017**



GUCCI
S/S 2017



**GUCCI**
ლურჯი ფეხსაცმელი
მეტალის დეტალებითა და
ბამბუკის წვრილი ქუსლით
2 000₾
**farfetch.com**

# *KITTEN Heels*



**TOPSHOP**
ტყავის დაბალქუსლიანი
წითელი ჩექმა-წინდა
240₾



CELINE
S/S 2017



ANYA
HINDMARCH
S/S 2017



**ELOSHI**
ცისფერი ქოში მრგვალი
ქუსლით
480₾

# *ROUNDED Heels*



**MAISON MARGIELA**
ტყავის ფირუზისფერი შუზი
მასიური ქუსლით
998₾
**net-a-porter.com**



**PIERRE HARDY**
ტყავის ფერადი სანდლები
ორიგინალური ქუსლით
1 900₾
**farfetch.com**



DRIES VAN
NOTEN
S/S 2017

FASHION

# IDEAS for Prom

მაისში საბანკეტო სეზონი ოფიციალურად გაიხსნება და ცხადია, ეს ყველაფერი HELLO!-ს მოდის ექსპერტთა ყურადღების მიღმა ვერ დარჩება. წლევანდელი „ოსკარის“ „წითელი ხალიჩის“ ყველაზე გამორჩეული და დასამახსოვრებელი LOOK-ები და მათი შედარებით დემოკრატიული თუ ხელმისაწვდომი ანალოგები ჟურნალის Fashion რედაქტორმა სწორედ ჩვენი მკითხველისთვის შეარჩია

## ემა სტოუნი

„ოსკაროსანი“ მსახიობისა და LA LA LAND-ის მთავარი გმირის **GIVENCHY**-ის კაბა და მთლიანი სტილი საბანკეტო LOOK-ისთვის იდეალური ვარიანტია. კრისტალებით, ორნამენტებითა და ფოჩებით გაწყობილი მკვეთრი ოქროსფერი მეტალიკის კაბა Old School ჰოლივუდის სტილში ერთდროულად კლასიკურიცაა და საოცრად თანამედროვეც. მსგავსი თვალშისაცემი ფაქტურები უხდება როგორც მინი, ასევე გრძელ და გაშვებულ კაბებს. რაც შეეხება სამკაულსა და აქსესუარებს – ეცადეთ ყველაფერი ოქროსფრის მონოქრომულ ტონებში შეარჩიოთ.





ტყავის ოქროსფერი კლატჩი ბაფთიანი შესაკრავით
**JODIE BOW**



ოქროს საყურე ბრილიანტის თვლებით
**TEJEN**



ოქროსფერი MAXI კაბა დახურული ყელითა და კრისტალებით
**MISS SELFRIDGE**



მძივებით გაწყობილი კაბა Off The shoulder მხრებით
**QUIZ**



თვალის მკვეთრი ოქროსფერი „ჩრდილი“ მაქსიმალური მბზინვარებისთვის
**SEPHORA**



ოქროსფერი ფეხსაცმელი სარტყელითა და მსხვილი ქუსლით
**TOPSHOP**



# რუტ ნეგა

წლევანდელი ცერემონიალის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული LOOK-ი ქალის როლის საუკეთესო როლის შესრულებისთვის „ოსკარზე“ წარდგენილ მსახიობ რუტ ნეგას ეკუთვნოდა. **VALENTINO**-ს „დაცემული“ ფაქტურის წითელი კაბა გრძელი მკლავებითა და დეკოლტესა და ყელზე მაქმანების ელემენტებით, სადა და კლასიკურთან ერთად, საოცრად დახვეწილი და სექსუალურიც გახლდათ. წითელი ნებისმიერ შემთხვევაში მომგებიანი ფოტოგენური ფერია, რომელიც სწორად შერჩეული ფეხსაცმლისა და სხვა დეტალების დახმარებით, კიდევ უფრო ეფექტური ხდება. ნეგას „საოსკარო“ LOOK-ი საოცრად კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეგიძლიათ საკმაოდ მარტივად, თმის თვალშისაცემი აქსესუარების დახმარებით კიდევ უფრო დახვეწოთ თქვენი სტილი.



თმის წითელი ქვებით
გაწყობილი აქსესუარი
**ROSANTICA**



კოქტეილის წითელი
მინიკაბა ოქროსფერი
ქამრით
**MISS SELFRIDGE**



ბრჭყვიალა იისფერი
კლატჩი
**JIMMY CHOO**



წელში გამოყვანილი კაბა
შიშველი მხრებით
**MISS SELFRIDGE**



მაქმანებიანი გაშვებული
კაბა კლასიკურ სტილში
**DOLCE&GABBANA**



მკვეთრი წითელი ტუჩსაცხი
მქრქალის ეფექტით
**MAC**



ატლასის კოპლებიანი
სანდალი წვრილ ქუსლზე
**CHARLOTTE OLYMPIA**



www.facebook.com/ioverdegeo

IO VERDE

ვერტიკალური
ბაღი

ახალი სიტყვა ინტერიერის დიზაინში



# HELLO! beauty

## BODY & FACE

ლამაზი სხეული · მოხდენილი ფორმები · ჯანსაღი სახის კანი & თმა

BEAUTY

# კრემების ანა-ბანა

ალბათ სხვა ქალბატონებთან ერთად თქვენც ხშირად გაგჩენიათ შეკითხვა, რა დანიშნულება იმალება BB, CC და DD კრემებს მიღმა. თავის მოვლის ტენდენცია, რომელიც ბოლო წლებში საკმაოდ პოპულარული გახდა, ჯერ კიდევ ბევრისთვის რჩება ამოუხსნელ საიდუმლოდ

სწორედ ამიტომ, HELLO!-მ ჩვენი მკითხველისთვის მარტივი და სახალისო გზამკვლევი შეადგინა, რათა ამ ჯადოსნური დანიშნულების პროდუქციის მოხმარება უფრო გაგიმარტივდეთ. Alphabet კრემები პირველად კორეაში გამოჩნდა და ელვის სისწრაფით დაიპყრო ჰოლივუდელი ვარსკვლავებისა და A-list ვიზაჟისტების გული. საკმაოდ კომპლექსური დანიშნულებისა და ეფექტის პროდუქტი მალევე აღმოჩნდა მილიონობით ქალბატონის კოსმეტიკურ ჩანთაში, თანაც – სამუდამოდ.

**BB** – სამეულში ყველაზე პოპულარული კრემი რამდენიმე მნიშვნელოვანი ბენეფიტით გამოირჩევა. მზისგან დამცავ ეფექტთან ერთად, კანის სიგლუვესა და დატენიანებასაც ითავსებს და თქვენი ბუნებრივი ტონის ერთგვაროვან ეფექტზეა პასუხისმგებელი.

**CC** – ტრიოში ყველაზე ღია შეფერილობის კრემი საკმაოდ ეფექტური კორექტორია და კანზე დეფექტების დამალვას ძალზე ოსტატურად ახერხებს. თუ აკნეს ლაქები, სახეზე არასასურველი სიწითლე და თვალის ჩაშავებული უპეები თქვენც გაწუხებთ, მაშინ CC კრემი სწორედ თქვენთვისაა.

**DD** – წინამორბედი ორის ჰიბრიდის პრინციპზე შექმნილი ახალი თაობის პროდუქტი BB და CC კრემების ეფექტების სინთეზია, თუმცა მისი ძირითადი დანიშნულება ანტი-ეიჯ ნიშნებთან ბრძოლაა. ახალი თაობის კრემი, კანის ტონის დაბალანსებასთან ერთად, მიმიკურ თუ ასაკობრივ ნაოჭებსაც გაგიქრობთ.




შეფერადებული კრემი ფარავს ლაქებს და სიწითლეს კანზე. პირველი BB კრემი, რომელიც მოქმედებს ზედაპირზე, ღრმად აღწევს კანში და უზრუნველყოფს მყისიერ, ხანგრძლივ ხავერდოვნებასა და ბუნებრივ ფერს
**LIERAC**
**GPC**

მკრთალი შეფერილობის BB კრემი კანის ერთგვაროვანი და გლუვი ტონისათვის
**LOREAL**
**MAGIC SKIN BEAUTIFIER**

DD კრემი, რომელიც მავნე გარემო ფაქტორებისგან დაგიცავთ და თქვენს კანს ლიფტინგის ეფექტსაც მიანიჭებს
**DECLOR DD DAILY DEFENSE**
**HIGH PROTECTION**

DD კრემი ინოვაციური ფორმულით თქვენს კანს ჯანსაღ იერს მიანიჭებს. მსუბუქი და დნობადი შეფერადებული ტექსტურა თანაბრად ნაწილდება კანზე, იცავს და უნარჩუნებს ხავერდოვნებას ქალაქის დაბინძურებულ გარემოში
**NUXE**
**GPC**

CC კრემი კანის დატენიანებისა და იდეალური კორექციისთვის – მზისგან დამცავი ინტენსიური ფორმულითა და შესანიშნავი ფიქსაციით
**CLINIQUE MOISTURE**
**SURGE CC CREAM**

მრავალფუნქციური BB კრემი სასიამოვნო ტექსტურით, ყველაზე ინოვაციური პროდუქტია დეკორატიული კოსმეტიკის კუთხით და კანის ხანგრძლივი დროით დატენიანებასა და ერთგვაროვანი ტონის მინიჭებას უზრუნველყოფს
**DR. RENAUD**
**GPC**



*Alphabet კრემები პირველად კორეაში გამოჩნდა და ელვის სისწრაფით დაიპყრო ჰოლივუდელი ვარსკვლავებისა და A-list ვიზაჟისტების გული*



BEAUTY

# Behind the Mask

თუ A-List ვარსკვლავების Instagram-სა და სოციალურ ქსელებს თვალს აქტიურად ადევნებთ, მარტივად გამოიცნობთ, რომ ჰოლივუდში Sheet ნიღბების ნამდვილი ბუმია. ᲙᲘᲛ ᲙᲐᲠᲓᲐᲨᲘᲐᲜᲘ, ᲕᲘᲥᲢᲝᲠᲘᲐ ᲑᲔᲥᲰᲔᲛᲘ და ᲙᲠᲘᲡᲘ ᲢᲔᲘᲒᲔᲜᲘ იდეალურ სახის კანსა და ჯანსაღ სტრუქტურას სწორედ ამ სასწაულმოქმედ პროდუქტს უმადლიან

*არ დაგავიწყდეთ, რომ ნიღბის მოხსნის შემდეგაც, თქვენი კანი იმდენადაა გაჟღენთილი საჭირო ვიტამინებითა და ჯადოსნური ინგრედიენტებით, რომ სიღრმისეული დატენიანების პროცესი თავისთავად, დამოუკიდებლად მიმდინარეობს*

კანის დატენიანებისა და გამოცოცხლებისთვის განკუთვნილი Smart ნიღბები შესანიშნავი საშუალებაა იმ შემთხვევაში, თუ „წითელი ხალიჩის“ ან სხვა მნიშვნელოვანი წვეულებისთვის ემზადებით, ასევე ხანგრძლივი ფრენის შემდეგ გადაღლილობა სახეზეც გეტყობათ და ფორმის დაბრუნება ელვის სისწრაფით, სულ რაღაც 15 წუთში გსურთ. მარტივად რომ გითხრათ, ეს პროდუქცია იდეალურია საქმიანი ქალბატონებისთვის – მათთვის, ვისაც კანის მოსავლელად დიდი დრო არ რჩებათ და სასურველი შედეგის მიღება მოკლე ხანში სურთ.

Sheet ნიღბები თქვენი კანისთვის იგივეა, რაც უზმოზე მირთმეული ჭიქა წყალი. დამატენიანებელი და გამაჯანსაღებელი საშუალებებით გაჯერებული ნაჭერი, რომელიც თერმულადაა შეფუთული, სუფთა კანზე 15 წუთით უნდა მიიკრათ, რის შემდეგაც შეგიძლიათ ჩვეული დამატენიანებელი პროდუქცია და მაკიაჟი წაისვათ.

არ დაგავიწყდეთ, რომ ნიღბის მოხსნის შემდეგაც, თქვენი კანი იმდენადაა გაჟღენთილი საჭირო ვიტამინებითა და ჯადოსნური ინგრედიენტებით, რომ სიღრმისეული დატენიანების პროცესი თავისთავად, დამოუკიდებლად მიმდინარეობს.

HELLO!-მ ქალბატონებისთვის მოიძია საუკეთესო Sheet ნიღბები, რომლებიც კანის დატენიანებასა და დაღლილობის კვალის გაქრობასთან ერთად, თვალის ქვემოთ სიშავესა და შეშუპებასაც მოგიხსნით და მომენტალურ, გლუვ და ჯანსაღ Boosting-ის ეფექტს მოგანიჭებთ.

## DRY MASKS




მშრალი ტექსტურის ნიღაბი კანის დატენიანებისა და ლიფტინგის ყველაზე სწრაფი საშუალებაა
**CHARLOTTE TILBURY INSTANT MAGIC FACIAL DRY SHEET MASK**




ინტენსიური აღმდგენი ნიღაბი, რომელიც თვალის გარშემო შეშუპებებსა და ნაოჭებს გაგიქრობთ
**NANETTE DE GASPE RESTORATIVE TECH STILE EYE MASQUE**




მშრალი ნიღაბი ხელის მტევნებზე კანის ტონის გაუმჯობესებისა და სიგლუვისათვის
**NANETTE DE GASPE YOUTH REVEALED HANDS**

## WET MASKS




ნიღაბი ლიფტინგისა და დატენიანების მომენტალური ეფექტით
**RODIAL PINK DIAMOND LIFTING FACE MASK**




კიტრის ექსტრაქტზე დამზადებული ნიღაბი გამაგრილებელი, დამამშვიდებელი და დამატენიანებელი ეფექტით
**PETER THOMAS ROTH, CUCUMBER GEL MASK**



სახის კონტურების გამომკვეთი და დამატენიანებელი ნიღაბი
**SUQQU FACE STRETCH MASK**




ნიღაბი ორმაგი ფენით, რომელიც სახლის პირობებში სპათერაპიის ეკვივალენტია
**STARSKIN, NOURISHING DOUBLE LAYER TECHNOLOGY MASK**







თუ სახეზე უძილობისა და გადაღლილობის კვალი გემჩნევათ, მაშინ ეს ნიღაბი სწორედ თქვენთვისაა
**FACE INC REVITALISING & SKIN ENERGISING MASK**

გელის ტექსტურის კომპლექსური ნიღაბი, რომელიც სახეზე მთელი ღამის განმავლობაში უნდა გაიჩეროთ, თქვენს კანს საოცრად გლუვ ეფექტს მიანიჭებს
**SHISEIDO, IBUKI BEAUTY SLEEPING MASK**




ბუნებრივი მინერალებით გამდიდრებული ტალახის სტრუქტურის ნიღაბი თქვენს კანს გლუვ და ერთგვაროვან ეფექტს მიანიჭებს
**SEPHORA MUD MASK PURIFYING & MATTIFYING**



მსგავსი ტიპის კრემების უმთავრესი საიდუმლო სხეულზე თანაბრად და ერთგვაროვნად გადანაწილებაა, რათა თავიდან აიცილოთ აჭრელება და კანზე ლაქების გაჩენა, შედეგად კი შოკოლადისფერი ბუნებრივი რუჯის ეფექტი მიიღოთ




თუ თქვენს კანზე ღია და ბუნებრივი ტონის ნამზეურის ეფექტი გსურთ, მაშინ ეს პროდუქტი სწორედ თქვენთვისაა **ST. TROPEZ TANNING ESSENTIALS SELF TAN CLASSIC BRONZING MOUSSE**




ორგანულ ბაზაზე დამზადებული კრემი ბუნებრივი რუჯის ეფექტისთვის **BEAUTY BY EARTH DYE FREE NATURAL SUNLESS SELF TANNER FOR BRONZER AND GOLDEN TAN**






ავტორუჯი ნაზი, სასიამოვნო ტექსტურითა და ინტენსიური, მომენტალური ეფექტით
**NUXE SUN SILKY SELF BRONZING BODY LOTION, GPC**




მუსის ტექსტურიანი ავტორუჯი ყველაზე ინტენსიური და ხანგრძლივი ტონისთვის
**ST. TROPEZ TANNING ESSENTIALS SELF TAN DARK BRONZING MOUSSE**




ინოვაციური ფორმულა – შხაპის გელი, რომელიც ნამზეურის ეფექტსაც განიჭებთ
**ST. TROPEZ TANNING ESSENTIALS IN SHOWER GRADUAL TAN**

სახის კანისთვის განკუთვნილი ლოსიონი, რომელიც თქვენს კანს აჭრელების გარეშე მიანიჭებს ერთგვაროვანი რუჯის ეფექტს
**NUXE AUTO-BRONZANT FACE, GPC**




ავტორუჯი, რომელიც შოკოლადისფერ ტონს მოგანიჭებთ და თავიდან აგაცილებთ აჭრელებას
**BANANA BOAT SUMMER COLOR SELF TANNING LOTION**

# BEAUTY

# გაირუჯეთ თამამად

თუ წვეულებაზე დაუგეგმავად გიწევთ წასვლა, გარუჯვას ვერ ასწრებთ და ნამზეურის გარეშე საყვარელი კაბის მორგება არ გსურთ, მაშინ Self Tanner კრემები სწორედ თქვენთვისაა

ეს არის მზის სხივების, სოლარიუმისა და დაფერვის ეფექტური ალტერნატივა, რომელიც ბოლო წლებში საკმაოდ აქტუალური გახდა. Self Tanner კრემები, მოსახერხებელთან ერთად, საკმაოდ სწრაფი და კომფორტულიცაა. შინ მოხმარების სხვადასხვა ტიპის კრემები და სპრეები, რომლებიც თქვენი კანის ბუნებრივი ტონის მიხედვით უნდა შეარჩიოთ, სასურველი ინტენსივობის ნამზეურის ეფექტს მომენტალურად მოგანიჭებთ.

მსგავსი ტიპის კრემების უმთავრესი საიდუმლო სხეულზე თანაბრად და ერთგვაროვნად გადანაწილებაა, რათა თავიდან აიცილოთ აჭრელება და კანზე ლაქების გაჩენა, შედეგად კი შოკოლადისფერი ბუნებრივი რუჯის ეფექტი მიიღოთ. თანამედროვე Self Tanner-ები დამატენიანებლის ფუნქციასაც წარმატებით ითავსებენ და კანის სიგლუვესა და მბზინვარებაზეც ეფექტურად ზრუნავენ. HELLO!-ს სილამაზისა და თავის მოვლის ექსპერტებმა ჩვენი მკითხველისთვის ავტორუჯის ეფექტის მქონე საუკეთესო პროდუქცია შეარჩიეს.




კოსმეტიკური საშუალებების კომპლექტი იდეალური ნამზეურისთვის – ნაზი ექსფოლიატორი, ავტორუჯი და ინტენსიური დამატენიანებელი
**KARDASHIAN RANGE OF SUNLESS SELF TAN TANNING LOTION CREAM STEP 1, 2 & 3**




სახისა და ტანის რძე ინტენსიური, ჯანსაღი და ერთგვაროვანი ავტორუჯისთვის
**GERMAINE DE CAPUCCINI BEAUTIFUL TAN, NATALI**






BEAUTY

# ნაოჭებთან ბრძოლის კომპლექსური მეთოდი

ზედაპირული ნაოჭები, კანის მოდუნება და სტრუქტურის გაუარესება ასაკის მატების თანმხლები ბუნებრივი მოვლენებია, რომლებიც ქალბატონებს და მამაკაცებს თანაბრად აწუხებთ, თუმცა უმეტესმა მათგანმა არ იცის, რომ ამ პრობლემის მოგვარება საკმაოდ მარტივად და ეფექტურად შეიძლება

ცხადია, წარმოუდგენელია დროის შეჩერება და ახალგაზრდული იერის სამუდამოდ შენარჩუნება, თუმცა შესაძლებელია თქვენს კანზე ზრუნვა ეფექტური პრევენციული და გამაახალგაზრდავებელი თერაპიების დახმარებით, რათა მაქსიმალურად დიდი ხნით შეინარჩუნოთ ჯანსაღი, გლუვი კანი და თავდაჯერებულობა.

ნაოჭებისა და დაბერების ნიშნების პირველი და ყველაზე დაუძინებელი მტერი ჰიალურონის მჟავაა. კანის გამაახალგაზრდავებელი ინოვაციური საშუალება შიდა შრეებში ბუნებრივი ბალანსის აღდგენაში დაგეხმარებათ და ახალგაზრდულ იერსაც მარტივად, ხანმოკლე დროში დაგიბრუნებთ.

ანტი-ეიჯ თერაპიებში წამყვანი გერმანული ბრენდი **MERZ AESTHETICS** კომპლექსურ და საოცრად ეფექტურ შემავსებელს – **BELOTERO HYDRO**-ს წარმოგიდგენთ, რომელიც ცხადია ჰიალურონის მჟავითაა გამდიდრებული. ამ უნიკალური პროდუქტისა და გლიცეროლის კომბინაციით, თქვენი კანი ორმაგ დატენიანებასთან ერთად, მომენტალური გაჯანსაღების ეფექტსაც განიცდის. ინექციის მთავარი უპირატესობა ის გახლავთ, რომ ჰიალურონის მჟავა, რომელიც ფილერის დახმარებით თქვენს კანში ინტეგრირდება, აბსოლუტურად სუფთაა და იდენტურია იმ ჰიალურონთან, რომელსაც თქვენი კანი ბუნებრივად შეიცავს.

***„ფარმადეპოს“*** *აფთიაქი, ესთეტიკური კაბინეტი*
*ი. აბაშიძის ქ. 41, თბილისი*
*ტელ.: 0322 145 000; მობ.: 577 477 903*




# რადიო ,,ფორტუნა‘‘
# ოქროს სტანდარტი FM-ზე



BEAUTY

# სწრაფი დეტოქსის თერაპია

ჯანმრთელი სხეული, კარგი განწყობა და ცხოვრების ჯანსაღი სტილი წარმოუდგენელია ნატურალური პროდუქტების, ბუნებრივი ინგრედიენტებით შედგენილი დეტოქს-პროგრამების თუ თერაპიების გარეშე

თანამედროვე ადამიანს მავნე გარემო ფაქტორების, კვების არასწორი რაციონისა და სტრესის წყალობით ხშირად აღენიშნება ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები. სწორედ ამიტომ, HELLO!-ს სილამაზისა და თავის მოვლის ექსპერტებმა თქვენთვის ნატურალური და ეკოლოგიურად სუფთა დეტოქს-პროგრამები შეადგინეს – იდეალური ჯანმრთელობისა და განწყობისთვის.








**ᲓᲔᲢᲝᲥᲡ ᲛᲘᲥᲡᲘ** — ეს არის უნიკალური კომბინაცია, რომელიც მრავალძარღვას გამწმენდ ძალას, სელის თესლის ვიტამინურ კომპლექსსა და ჭინჭრის გამაძლიერებელ თვისებებს აერთიანებს. დეტოქს-ფხვნილის ყოველდღიური მოხმარება წმენდს ორგანიზმს ტოქსინებისგან, არეგულირებს ნივთიერებათა ცვლას, აუმჯობესებს გუნება-განწყობას, მატებს სიმხნევესა და ენერგიას. გახსოვდეთ, რომ ჯანმრთელობა კომპლექსური საზომია. სარგებელი პროდუქტისგან იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თქვენ დაკავდებით ცხოვრების აქტიური სტილით და შეარჩევთ კვების ჯანსაღ რაციონს. მიიღეთ დღიურად 1 ჩაის კოვზი – წყალთან, იოგურტთან, წვენთან ან სმუზისთან ერთად.









**ᲛᲐᲢᲩᲐᲡ ᲩᲐᲘ** — ფხვნილის სტრუქტურის იაპონური მწვანე ჩაი იდეალური ანტიოქსიდანტია. უამრავი სასარგებლო ელემენტით გაჯერებული პროდუქტი შეუცვლელია დაავადებების პრევენციისა და წნევის ნორმალიზებისთვის. მატჩა ასევე მკვეთრად აუმჯობესებს კანის ხარისხსა და სტრუქტურას, განიჭებთ სიგლუვეს და ებრძვის დაბერების ნიშნებს. მიიღეთ ყოველდღე. რეკომენდებულია 2 გრამი ფხვნილის 250 მლ თბილ წყალში გახსნა.

**ᲡᲞᲘᲠᲣᲚᲘᲜᲐᲡ ᲤᲮᲕᲜᲘᲚᲘ**

მტკნარი წყლის მწვანე სპირალის ფორმის წყალმცენარე, რომელიც ნატურალურ პიგმენტს – ქლოროფილს შეიცავს. იდეალურია იმუნიტეტის გაძლიერებისა და სიჯანსაღისთვის. წყალმცენარე დეტოქს-პროგრამაში ფხვნილის სახით გამოიყენება. ყოველდღიურად რეკომენდებულია დაახლოებით 5 გრ სპირულინას მოხმარება, თუმცა – წყლის მიღების რეჟიმის კონტროლით. ასევე შესაძლებელია მისი დამატება კეფირში, იოგურტში, წვენებში, პასტაში, სოუსებსა და შინ გამომცხვარ ორცხობილებში.

**ORGANIKA**
*+ 995 595 04 50 04; www.organika.ge*

**ᲢᲔᲥᲡᲢᲘ**: ᲗᲐᲗᲘᲐ ᲚᲔᲟᲐᲨᲕᲘᲚᲘ. **ᲤᲝᲢᲝ**: ORGANIKA.GE.



BEAUTY

# Operation Bikini

## ზამთარში მომატებული ზედმეტი კილოგრამების დაკლება სწორედ ის პრობლემაა, რომელიც გაზაფხულის სეზონზე ქალბატონების უმეტესობას აწუხებს

საზღვაო სეზონამდე ფიზიკური ფორმის მოწესრიგება ცხადია საკმაოდ შრომატევადი და რთული პროცესია, თუმცა HELLO!-ს რჩევების გათვალისწინებით, წონაში კლება და სხეულის გაჯანსაღება სულ აღარ მოგეჩვენებათ მიუღწევად ოცნებად.

**Germaine de Capuccini**-ს 5-კვირიანი ინტენსიური გასახდომი კურსის საკუთარ თავზე გამოცდა, მსოფლიოს გარშემო ყველაზე ექსკლუზიურ და ეგზოტიკურ სპა-სასტუმროებთან ერთად, ახლა უკვე საქართველოშიც შეგიძლიათ.

ანტიცელულიტურ თერაპიას, რომელსაც სპაპროცედურებისა და შინ მოხმარების უნიკალური პროდუქციის კომბინაცია განსაკუთრებით ეფექტურს ხდის, მილიონობით ქალბატონი ანდობს საკუთარ სხეულსა და სიჯანსაღეს. 20-ზე მეტი აქტიური ნივთიერების დახმარებით წონაში კლება, გარშემოწერილობის შემცირება და კანის გამკვრივება საკმაოდ კომპლექსურად და ეფექტურად მიმდინარეობს, თანაც ყოველგვარი დისკომფორტის გარეშე.

**Germaine de Capuccini** ანტიცელულიტური მასაჟისა და სპეციალური „გადახვევების" საოცრად ეფექტურ კომბინაციას გვთავაზობს, რაც ცხიმების ინტენსიურ წვასა და სხეულის გამკვრივებასთან ერთად, ორგანიზმიდან მავნე ნივთიერებების გამოდევნასაც უზრუნველყოფს. ამ ყველაფერს ერთვის შინ მოხმარებისთვის განკუთვნილი პროდუქცია, რათა სპათერაპიისგან მიღებული შედეგი უფრო გამყარდეს და დიდი ხნითაც შენარჩუნდეს. შედეგად კი, 5 კვირაში იდეალურ, მკვრივ და სექსუალურ Bikini Body-ს მიიღებთ!

***სპა „ნატალი"***
*კოსტავას 67, თბილისი*

***THE BILTMORE HOTEL TBILISI***
*რუსთაველის 29, თბილისი*

***სასტუმრო „RIXOS ბორჯომი"***
*მეტეხის 16,ბორჯომი*

***სასტუმრო „SHERATON ბათუმი"***
*რუსთაველის 26, ბათუმი*




ანტიცელულიტური კორექციის ზეთი, რომელიც აქტიური ინგრედიენტების მეშვეობით ცელულიტს შლის და კანს აკორექტირებს. ამავე დროს ატენიანებს სხეულს და აუმჯობესებს კანის სტრუქტურას
**GERMAINE DE CAPUCCINI PERFECT FORMS - TOTAL FIT**

ზეთი, რომელიც ინოვაციური ფორმულის წყალობით სხეულის გამკვრივებაში დაგეხმარებათ
**GERMAINE DE CAPUCCINI FIRMING AND REDUCING OIL BOOSTER**




პროდუქტი, რომელიც უზრუნველყოფს სხეულიდან ტოქსინების გამოდევნასა და სისხლის მიმოქცევის გაუმჯობესებას
**GERMAINE DE CAPUCCINI LIPO ACTIVE RENEWING WRAP**







მცენარეულ ექსტრაქტებზე დამზადებული გასახდომი ჩაი იდეალური დეტოქს – საშუალებაა, რომელიც ორგანიზმის გაჯანსაღებას უწყობს ხელს
**GERMAINE DE CAPUCCINI ADD+ NUTRIENTS CELLU DREN COMPLEX**




BENITO

BENITO
–Urban
–Light
–Play
–Covers

Etere Agency

+995 577 12 22 08

www.benito.com





მეთიუ მაკკონაჰი



ჯონ ტრავოლტა

*თმის ცალკეული უბნებიდან გამელოტებულ და მეჩხერ ადგილებში ტრანსპლანტაცია ერთადერთი და ყველაზე ეფექტური მეთოდია სიმელოტის ნებისმიერი სტადიის სამკურნალოდ*

BEAUTY

# დაემშვიდობეთ თმის ცვენას!

გარკვეული ასაკის შემდეგ, მამაკაცთა უმეტესობას თმის ინტენსიური ცვენა აღენიშნება. საკმაოდ გლობალური პრობლემიდან, რომელიც სხვა ვარსკვლავებთან ერთად ჯუდ ლოუს და დევიდ ბექჰემსაც აწუხებთ, მხოლოდ ერთადერთი გამოსავალი არსებობს – თმის გადანერგვა

HELLO!-მ ჯენტლმენებისთვის საკმაოდ დელიკატური საკითხის ძალიან მარტივი, სწრაფი და ეფექტური გადაჭრის ხერხი მოიძია და ექსპერიმენტში ტელეწამყვანი და მსახიობი **მირიან ჯეჯელავაც** აიყოლია. თმის გადანერგვა ჰოლივუდელ ჯენტლმენებს შორის საკმაოდ პოპულარული პროცედურაა. **მეთიუ მაკკონაჰი**, **ჯონ ტრავოლტა** და სხვა უამრავი ვარსკვლავი სწორედ ამ მეთოდის წყალობით ინარჩუნებენ ახალგაზრდულ იერსა და სექსუალური მამაკაცის სტატუსს.

თუ თმა ცვენის საწყის ეტაპზეა, რეკომენდებულია კონსერვატიული მკურნალობა, რათა არ მოხდეს პროცესის პროგრესირება, მაგრამ თუ პაციენტი კარგავს 50%-ზე მეტ თმას ან წარმოიქმნება გამელოტებული უბნები, აუცილებელი ხდება თმის გადანერგვა. არსებობს მამაკაცური ტიპის თმის ცვენის 7 ხარისხი, თუმცა თითოეული მათგანი ექვემდებარება თმის გადანერგვას. თმის ცალკეული უბნებიდან გამელოტებულ და მეჩხერ ადგილებში ტრანსპლანტაცია ერთადერთი და ყველაზე ეფექტური მეთოდია სიმელოტის ნებისმიერი სტადიის სამკურნალოდ. გადანერგილი თმა სრულიად ჯანსაღი, სრულფასოვანია, და ზრდას 2-3 თვის შემდეგ იწყებს, ექვემდებარება შეჭრას, შეღებვას, და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია – გამორიცხულია გადანერგილი თმის ცვენა. თმის გადანერგვა ამბულატორიული პროცედურაა, ხორციელდება ადგილობრივი ანესთეზიის პირობებში, აბსოლუტურად უმტკივნეულოდ, ყოველგვარი გვერდითი მოვლენების გარეშე. პროცედურა, რომლის ხანგრძლივობა გადანერგილი თმის რაოდენობაზეა დამოკიდებული, საშუალოდ 2-დან 6 საათამდე გრძელდება და ძალიან ხანმოკლე სარეაბილიტაციო პერიოდს მოითხოვს.

***HAIRLINE INTERNATIONAL***
*რევაზ ლაღიძის ქ. 8, თბილისი*
*+ 995 322 30 00 30*
***www.hairline.ge***




**დიანა პაპასკირი**
პლასტიკური ქირურგი
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი




**მირიან ჯეჯელავამ თმის გადანერგვის „უნაკერო" მეთოდით ყოველგვარი ხაზოვანი ნაწიბურების გარეშე შეივსო გამეჩხერებული უბნები, თანაც სრულიად უმტკივნეულოდ – ერთ პროცედურაში.**



BEAUTY

# 3 ნაბიჯი იდეალური თმისთვის

ალბათ ხშირად გიფიქრიათ, როგორ ახერხებენ ჰოლივუდელი ლამაზმანები მუდმივად იდეალური ფორმა ჰქონდეთ შენარჩუნებული, განსაკუთრებით მოვლილი და ჯანსაღი იერი კი ყოველთვის მათ თმასა და ვარცხნილობას ჰქონდეს

გაზაფხულზე, როდესაც თანდათანობით საზღვაო სეზონისთვის ვიწყებთ მზადებას და დღის წესრიგში გარუჯვასა და სხეულის მოვლასთან ერთად თმის ხარისხზე ზრუნვაც დგება, აუცილებელია საკუთარი თავი ჯადოსნური და მართლაც ინოვაციური პროცედურებით გავანებივროთ. მოვლილი და ჯანსაღი თმის გარეშე ხომ ვერცერთი ქალბატონი იქნება ბოლომდე თავდაჯერებული საკუთარ მომხიბვლელობაში.

HELLO! ამჯერად თმის 3-საფეხურიან ჯადოსნურ **TREATMENTS**-ს წარმოგიდგენთ, რომლის დახმარებით მოკლე და სრულიად კომფორტული სალონური პროცედურის შემდეგ თქვენი თმა საოცრად ჯანსაღი, მბზინვარე და ხავერდოვანი გახდება.

**OLAPLEX** თმის მოვლის მსოფლიო დონის ბრენდია, რომელიც მოლეკულურ დონეზე ზრუნავს ქიმიური, თერმული და მექანიკური ფაქტორების შედეგად დაზიანებულ თმაზე.

საწყისი ეტაპი თმაზე ინტენსიური ნიღბის წასმაა, რომელიც ბუნებრივ თუ შეღებილ თმას ღრმად ატენიანებს და მომენტალურად აჯანსაღებს. ნიღაბი ასევე იდეალურია თმის საღებავთან კომბინაციაშიც – თუ თმის შეღებვა დაზიანებების გარეშე გსურთ და გინდათ თმის სტრუქტურა და ხარისხი მავნე ზემოქმედებისგან დაიცვათ.

მეორე საფეხური მიღებული ეფექტის გაუმჯობესებისა და შენარჩუნებისთვის განკუთვნილი ნიღაბია, რომელსაც თმაზე პირველი ეტაპის პროდუქციის ჩამობანის შემდეგ ვისვამთ.

დასკვნითი ნაწილი შინ მოხმარების ნიღაბია, რომელიც მაქსიმალური ეფექტისთვის ნოტიო თმაზე ნახევარი საათი უნდა გაიჩეროთ, ეს ყველაფერი კი კვირაში ერთხელ უნდა გაიმეოროთ.

1



2







3






**ვივი**, სტილისტი
*სილამაზის ლაბორატორია*
***SAKURAMI***

BEAUTY

# Spring Fling

საგაზაფხულოდ, მოდური სურნელი პირდაპირ უკავშირდება აყვავებულ ხეებსა და ეგზოტიკურ ყვავილებს. სწორედ ამიტომ, ახალ სეზონზე წამყვანი პარფიუმერული ბრენდები არომატების განახლებულ სპექტრს გვთავაზობენ. დელიკატური, სექსუალური, გრილი თუ გამოკვეთილი – HELLO!-მ თქვენთვის ტროპიკული მცენარეებისა და საუცხოო ყვავილების თავბრუდამხვევი სურნელით გაჟღენთილი მოდური სუნამოები შეარჩია




სუნამო ვარდებისა და პიონების მკვეთრი არომატით
**Valentina Pink**
**VALENTINO**

ანჯელინა ჯოლის საყვარელი სუნამო ვანილისა და ლავანდის არომატით
**Mon guerlain**
**GUERLAIN**

პიონების, ტროპიკული ხილისა და კედრის სურნელოვანი კომბინაცია
**Daisy Kiss**
**MARC JACOBS**

ლიმიტირებული გამოცემის სუნამო – ხისა და ყვავილების არომატით
**Bamboo**
**GUCCI**

ნეროლისა და ჟასმინის დელიკატური კომბინაცია
**Love story**
**CHLOE**



syoss
სიოს სალონპლექსი
აღდგენა და
დაცვა
დაზიანებისგან
თმა, როგორც სალონის სტუმრობის შემდეგ - ყოველ დღე
syoss
PROFESSIONAL PERFORMANCE
SALONPLEX
РЕСТАВРАЦИЯ ВОЛОС
01 ШАМПУНЬ
ДЛЯ ХИМИЧЕСКИ И МЕХАНИЧЕСКИ ПОВРЕЖДЕННЫХ ВОЛОС
Воссоздание поврежденных связей в структуре волоса
Восстановленные, сильные волосы
500 мл
syoss
PROFESSIONAL PERFORMANCE
SALONPLEX
РЕСТАВРАЦИЯ ВОЛОС
02 БАЛЬЗАМ
ДЛЯ ХИМИЧЕСКИ И МЕХАНИЧЕСКИ ПОВРЕЖДЕННЫХ ВОЛОС
Воссоздание поврежденных связей в структуре волоса
Восстановленные, сильные волосы
500 мл
სერტიფიცირებულია



DECOR

# „დიზაინის გაზაფხული“ მილანში

SALONE DEL MOBILE-მა სტარტი ტრადიციულად მილანში აიღო. ავეჯის სამყაროს ყველაზე გრანდიოზული მოვლენის ეპიცენტრად, უკვე 56-ედ, მოდის დედაქალაქი მილანი იქცა. გამოფენამ, რომელიც ინტერიერის დიზაინით დაინტერესებულ ადამიანთა სამოთხედ მიიჩნევა, კიდევ ერთხელ გააერთიანა ავეჯის საუკეთესო მწარმოებლები, დიზაინერები, და 400 000-მდე დამთვალიერებელი…



მილანში გამოფენილმა ნამუშევრებმა წელსაც უნაკლოდ გადმოსცეს ის ემოციები, რომლებიც შემქმნელებმა თავიანთ პროექტებში ჩააქსოვეს. აშკარაა, რომ ღონისძიება აღარ მიიჩნევა უბრალო „სავაჭრო გამოფენად“ და გაცილებით მნიშვნელოვანი, მრავლისმომცველი და კრეატიული შინაარსის მატარებელია.






გამოფენამ, რომელიც ინტერიერის დიზაინით დაინტერესებულ ადამიანთა სამოთხედ მიიჩნევა, კიდევ ერთხელ გააერთიანა ავეჯის საუკეთესო მწარმოებლები, დიზაინერები, და 400 000-მდე დამთვალიერებელი...

Salone del Mobile Milano 2017 მთლიანად განათებასა და სამუშაო თუ საცხოვრებელი სივრცის დიზაინს მიეძღვნა. პარალელურად, აღინიშნა Salone Satellite-ის 20 წლის იუბილეც. ახალგაზრდა დიზაინერთა კონკურსში ქართველი ვაკო დარჯანია მონაწილეობდა. მან ყავის მაგიდა, სანათი, კედლის საათი და Desk Organizer-ი წარმოადგინა, და HELLO!-სთან აღნიშნა, რომ შთაგონების წყარო Roy Lichtenstein-ის ნამუშევრები იყო. მისი დიზაინი მსოფლიოს საუკეთესო შემფასებლებმა მოიწონეს და დიდი მომავალი უწინასწარმეტყველეს. ვაკომ საინტერესო შეთავაზებებიც მიიღო.



**როგორც Salone del Mobile. Milano-ს პრეზიდენტმა – კლაუდიო ლუტიმ აღნიშნა, „ინტერიერის ფესტივალმა“ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმას, რომ იტალიისთვის ეს ღონისძიება უმნიშვნელოვანესია.**







როგორც Salone del Mobile Milano-ს პრეზიდენტმა – კლაუდიო ლუტიმ აღნიშნა, „ინტერიერის ფესტივალმა“ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმას, რომ იტალიისთვის ეს ღონისძიება უმნიშვნელოვანესია: „Salone del Mobile ინოვაციების ნამდვილი ატრაქციონია და საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა შეინარჩუნო მაღალი ხარისხი, ნოვატორის სტატუსი და რეპუტაცია. მხოლოდ მილანშია შესაძლებელი შემოქმედებითი, კრეატიული, შთამაგონებელი და სიახლეებისკენ მიდრეკილი დიზაინერების გაერთიანება და მათი იდეების საუკეთესო ფორმით გამოხატვა“.

მილანში გამოფენილმა ნამუშევრებმა წელსაც უნაკლოდ გადმოსცეს ის ემოციები, რომლებიც შემქმნელებმა თავიანთ პროექტებში ჩააქსოვეს. აშკარაა, რომ ღონისძიება აღარ მიიჩნევა უბრალო „სავაჭრო გამოფენად“ და გაცილებით მნიშვნელოვანი, მრავლისმომცველი და კრეატიული შინაარსის მატარებელია. Salone del Mobile Milano ადამიანებს ოცნებების ასრულებაში, მოგონებების შენახვაში, მომენტების შეგრძნებასა და საკუთარი ▶





დამოკიდებულებების გამოხატვაში ეხმარება და ეს, რასაკვირველია, გაცილებით მეტია, ვიდრე რიგითი გამოფენა.

გამართული ღონისძიებებიდან გამოირჩეოდა DeLightFul – განყოფილება, რომელიც მთლიანად განათებას, სახლის დიზაინსა და სამომავლო ტენდენციებს მიეძღვნა. აქვე უჩვენეს მატეო გარონეს მოკლემეტრაჟიანი ფანტასტიკური ფილმი, რომელიც იდეალურად შეერწყა არსებულ ატმოსფეროს. დიზაინი, სინათლე, მომავალი & ცხოვრება – გამოფენამ სწორედ ეს ოთხი კომპონენტი გააერთიანა. DeLightFul-ის მთავარი მიზანი იყო, ჰარმონიულად წარმოეჩინა ყოველდღიური ცხოვრების აუცილებელი ელემენტები და ემოციები ვიზუალურად გამოესახა. მან გააერთიანა სურვილები და საჭიროებები, საჯარო და პირადი სივრცეები, წარსული და მომავალი, ახალი ტექნოლოგიები და ძველებური კლასიკა... დამთვალიერებლებმა აქამდე უცხო, მაგრამ საოცრად შინაური სივრცე აღმოაჩინეს და თერაპიულ სამყაროში იმოგზაურეს. „ეს სცენარი ჩვენმა წარმოსახვამ შთაგვაგონა. გვინდოდა შეგვექმნა სამყარო, რომელიც ნახევრად ნამდვილი იქნებოდა, ნახევრად –





**Salone del Mobile Milano 2017**
**მთლიანად განათებასა და სამუშაო თუ საცხოვრებელი სივრცის დიზაინს მიეძღვნა. პარალელურად, აღინიშნა Salone Satellite-ის 20 წლის იუბილეც.**



> Salone del Mobile ინოვაციების ნამდვილი ატრაქციონია და საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა შეინარჩუნო მაღალი ხარისხი, ნოვატორის სტატუსი და რეპუტაცია

ვირტუალური, ცვალებადი და მრავალფეროვანი. გვსურდა ყოველდღიური საჭიროებები ერთ სივრცეში გაერთიანებულიყო, სიმყუდროვე კი ორ მთავარ კომპონენტს – დიზაინსა და განათებას შეექმნა“, – აღნიშნეს DeLightFul-ის დიზაინერებმა.

გამოირჩეოდა A Joyful Sense at Work-იც, რომელიც კრისტიანა კუტრონას დიზაინით შეიქმნა და სამუშაო სივრცის მომავალი წარმოადგინა. ინოვაციებით სავსე „მომავლის ოფისი“ ოთხ ინსტალაციაზე გაიშალა და საერთაშორისო არქიტექტურის სხვადასხვა კულტურული მახასიათებელი გააერთიანა.

შეგახსენებთ, რომ Salone del Mobile Milano თავდაპირველად იტალიური ავეჯის პოპულარიზაციისა და საერთაშორისო მასშტაბებზე გასვლისთვის შეიქმნა. ახლა კი, მსოფლიო თავად სტუმრობს ხოლმე ღონისძიებას. გაზაფხულის შუაგულში აქაურობა ხელგაშლილი ეგებება ყველა იდეას, ინოვაციას, შემოქმედებით ხედვასა თუ ტექნოლოგიურ მიღწევას. ორგანიზატორები ამ მოვლენას „დიზაინის გაზაფხულსაც“ კი უწოდებენ!

ცნობისთვის: წელს გამოფენილი ნამუშევრების დათვალიერება შეგიძლიათ ვებგვერდზე: www.salonemilano.it და შესაბამის სოციალურ ქსელებში.



**ტექსტი**: ელენე მარგალითაშვილი. **ფოტო**: SALONE DEL MOBILE.



TRAVEL

# HELLO! LOVES

გაზაფხული და ზაფხული ტურიზმის ყველაზე ცხელი სეზონებია. მანამ, სანამ გეზს სხვა ქვეყნებისკენ აიღებთ, აჯობებს საქართველო მოიაროთ. HELLO! გირჩევთ, მოგზაურობა თელავიდან, ბათუმიდან ან ქუთაისიდან დაიწყოთ. აქვე გაგაცნობთ იმ რჩეულ ადგილებს, რომლებსაც სწორედ ამ ქალაქებში ყოფნისას უნდა ეწვიოთ



## CAFÉ TIZZIANI & ROOF TOP GRILL RESTAURANT

ქუთაისში ყოფნისას, სავიზიტო ადგილთა სიაში აუცილებლად შეიტანეთ კაფე Tizziani, რომელიც სასტუმრო Best Western Kutaisi-ს პირველ სართულზე მდებარეობს. კაფეს საუზმეს მენიუ დაგეხმარებათ დილის იდეალურად დაწყებაში, მთელი დღის განმავლობაში კი სენდვიჩების, სალათების, წვნიანებისა და ტკბილეულის ყველაზე გემრიელ ასორტიმენტს გთავაზობენ. თუ ვახშმის მოწყობა განსხვავებულ გარემოში გსურთ, დიდი მანძილის გავლა არ მოგიწევთ – სასტუმროს ბოლო სართულზე ქუთაისში საუკეთესო Roof Top Grill რესტორანია განთავსებული. აქ გრილზე შემწვარი ხორცეულისა და თევზეულის ფართო ასორტიმენტია, რომელიც ქუთაისის თვალწარმტაც ხედებთან ერთად იდეალურ ადგილს ქმნის განსატვირთად და მეგობრებთან ერთად სასიამოვნო დროის გასატარებლად (***გრიშაშვილის ქ. 11***).



## ქუთაისის თეატრი

თუ ისტორიულ ადგილს ეძებთ და უკვე მოინახულეთ გელათის მონასტერი, ბაგრატის ტაძარი და სხვა მსგავსი ღირსშესანიშნაობები, მაშინ ნამდვილი ქუთაისური გამოცდილების დრო დგება. ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა პირველ მაყურებლებს ჯერ კიდევ 1861 წელს უმასპინძლა. ეს ის ადგილია, სადაც ბევრმა სახალხო არტისტმა გადადგა პირველი ნაბიჯები და თეატრის ამბებს კიდევ უფრო მეტი სიმდიდრე და მრავალფეროვნება შემატა. მოკლედ, ქუთაისური ვოიაჟი კიდევ უფრო საინტერესო და მრავალფეროვანი გახდება, თუ დაუვიწყარი ემოციებისა და შთაბეჭდილებების მისაღებად აღმაშენებლის მოედნისკენ გაეშურებით (***დ.აღმაშენებლის მოედანი 1***).



# BEST WESTERN KUTAISI HOTEL

ქუთაისში ჩასვლისთანავე, საუკეთესო დასარჩენი ადგილი უნდა მოძებნოთ. HELLO! გირჩევთ, გეზი ძველი ქუთაისისკენ აიღოთ და სასტუმრო Best Western Kutaisi-ში დაბინავდეთ. ეს სასტუმრო მყუდრო და თანამედროვე 45 ნომერს აერთიანებს, დიზაინში შეტანილი ეთნიკური ელემენტები კი ამ ქალაქის ისტორიის შეგრძნებაში გეხმარებათ და უშუალო, მეგობრული ატმოსფეროთი გიმასპინძლდებათ. სასტუმროს პირველ სართულზე მდებარე მყუდრო კაფე Tizziani-ში შეგიძლიათ გემრიელი კერძებით დატკბეთ ან ბოლო სართულზე განთავსებულ Roof Top Grill რესტორანს ეწვიოთ და ქალაქის შთამბეჭდავი ხედებით ისიამოვნოთ. საქმიან სტუმრებს კი სასტუმრო Best Western Kutaisi სამი უნივერსალური საკონფერენციო დარბაზის საუკეთესო შესაძლებლობებს სთავაზობს (***გრიშაშვილის ქ. 11***).







# ELYSIUM AESTHETIC CENTRE

„თქვენი სილამაზე თქვენი წარმატებისთვის“ – ასეთია ქუთაისელების საყვარელი Elysium-ის სლოგანი. ესთეტიკური სილამაზის ცენტრი, რომლის სახელწოდება ბერძნულიდან მომდინარეობს და „ლამაზ, ბედნიერ ადგილს“, „სამოთხეს“ ნიშნავს, ამ სახელს შინაარსობრივადაც ამართლებს. იგი ძველ ქუთაისში მდებარეობს და ადგილობრივების ფავორიტი სალონია. ინოვაციები, პროფესიონალიზმი, მაღალი ხარისხის პროდუქცია და მაქსიმალური კომფორტი აქაურობის მთავარი მახასიათებლებია. ამის დასტურად ის ფაქტიც კმარა, რომ სალონში ესპანურ ბრენდ TAHE-ის პროდუქციას იყენებენ, რომელიც ექსკლუზიური ფორმულებითაა ცნობილი და 100%-ით ბუნებრივი ინგრედიენტებისგან შედგება.  Elysium-ში სტუმრების ვარცხნილობაზე, მანიკიურ-პედიკიურზე, მასაჟზე, სხვადასხვა კოსმეტიკურ პროცედურაზე, სოლარიუმსა (Tecnosole) და დაფერვაზე პროფესიულად ზრუნავენ და ვიზიტორებს უგემრიელესი ფინჯანი ყავითა და მეგობრული ატმოსფეროთი უმასპინძლდებიან. ასე რომ, თუ ქუთაისში ჩასვლისას რომელიღაც მომსახურებით სარგებლობა მოგინდებათ, გირჩევთ სწორედ ამ „სამოთხეს“ ესტუმროთ.(***გრიშაშვილის ქ. 8***).




## FLOWERS.GE

ყველასთვის ცნობილი ყვავილების მაღაზია ბათუმელებსაც ჩვეული პროფესიონალიზმით ემსახურება. ასე რომ, თუ „ზღვისპირა სამოთხეში“ ყოფნისას ლამაზი თაიგული დაგჭირდებათ, პირდაპირ FLOWERS.GE-ს მიაკითხეთ. გამოცდილი ფლორისტები თქვენს ყველა სურვილს დღე-ღამის ნებისმიერ დროს აასრულებენ. FLOWERS.GE მსურველებს კორპორაციულ მომსახურებას, საქორწილო ფლორისტიკას, დღესასწაულებისა და სხვადასხვა ინტერიერის გაფორმებას სთავაზობს. აღსანიშნავია, რომ მაღაზიაში მიტანის სერვისიც მოქმედებს. მოკლედ, თუ თქვენი ბათუმური მოგზაურობა ყვავილებსაც გულისხმობს, FLOWERS.GE ყველაზე კარგი ვარიანტია (***მ. აბაშიძის ქ. 36***).




## SCHWARZKOPF BATUMI

თუ ბათუმში ჩასულს თავის მოწესრიგება დაგჭირდათ, გეზი Schwarzkopf Batumi-სკენ უნდა აიღოთ. მიზეზი მარტივია – აქ სილამაზესა და თავის მოვლასთან დაკავშირებულ ყველანაირ მომსახურებას გთავაზობენ. სალონში თქვენს ვარცხნილობაზე, მაკიაჟზე, ფრჩხილებსა და სხვადასხვა კოსმეტოლოგიურ პროცედურაზე გამოცდილი პროფესიონალები ზრუნავენ. თუ ბათუმში გარუჯვა ცუდ ამინდშიც მოგინდებათ, აქ სოლარიუმითაც „გაგიმასპინძლდებიან“ და სრულიად მისაღებ ფასებს შემოგთავაზებენ. რაც შეეხება სიტუაციასა და ინტერიერს, შესვლისთანავე შენიშნავთ, რომ ძალიან მყუდრო და მეგობრულ გარემოში მოხვდით. რაც მთავარია, სალონის მიგნება ძალიან იოლია – იგი ზღვასთან ძალიან ახლოს, 26 მაისის პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე შეგხვდებათ (***გორგილაძის ქ. 25***; *მობ.:* ***514 22 22 61;*** *ტელ.:* ***042 227 04 55***).











## DONA BAKESHOP & CAFE

ბათუმში ტკბილეულის მოყვარულთათვის არჩევანი დიდია, მაგრამ გირჩევთ გეზი „დონასკენ“ აიღოთ. Dona Bakeshop & Cafe საკონდიტრო მაღაზიების ქსელია, რომელიც ბათუმელებს ყველაზე გემრიელი და ზღაპრული ტკბილეულით უმასპინძლდება. აქვე გთავაზობენ ტკბილ და ყველიან ფუნთუშებს, არომატულ ყავას, ახალი ხილისგან ადგილზე დამზადებულ კომპოტს, სხვადასხვა სახეობის ჩაის, და ქართულ ტრადიციულ თუ თანამედროვე ევროპულ დესერტებს. როგორც „დონაში“ ამბობენ, მოდა საკონდიტრო სფეროშიც არსებობს, ეს მაღაზია კი ტენდენციების N1 მიმდევარია, რაშიც ბათუმში ჩასვლისთანავე თავადაც დარწმუნდებით (***ფარნავაზ მეფის ქ. 121, გორგასლის ქ.41***).



## NEOCCA BATUMI

ბათუმში კარგ ყავას იმაზე დიდი დატვირთვა აქვს, ვიდრე საქართველოს სხვა კუთხეებში. სწორედ ამიტომ, HELLO! ყავის მოყვარულებს ურჩევს NEOCCA BATUMI-ს ეწვიონ. ეს კაფე ბათუმელების „არომატიზაციაზე“ 2012 წლიდან ზრუნავს და სტუმრებს 25-მდე სახეობის ეგზოტიკურ ყავას სთავაზობს. ამას ისიც ემატება, რომ გამოცდილი ბარისტები თითოეულ სახეობას ადგილობრივად ხალავენ და ფქვავენ, რაც სასმელს კიდევ უფრო მდიდრულ და ჯადოსნურ გემოს სძენს. ბათუმის NEOCCA-ში მენიუც უგემრიელესი აქვთ. აქ თქვენს საყვარელ საჭმელს საფირმო რეცეპტით ამზადებენ და საუკეთესო მომსახურებით განებივრებენ. თუ ამ ადგილს საღამოს ეწვევით, დიდი შანსია ცოცხალი მუსიკითაც ისიამოვნოთ. მოკლედ, ბათუმში რომ ჩახვალთ, NEOCCA-ში აუცილებლად შეიარეთ (***ვ.ფშაველას 1***). ▶










## FIORI FLOWERS SHOP

ყვავილების პატარა სახლი, რომელიც ლამაზი ექსტერიერით ქუჩიდანვე მიგიზიდავთ, ყოველთვის მრავალფეროვან არჩევანს გთავაზობთ. მნიშვნელობა არ აქვს, სადღესასწაულო საჩუქრის შეძენა გსურთ თუ ყვავილებს საყვარელი ადამიანისთვის ეძებთ – აქ თქვენს სურვილებს, გრძნობებსა და თბილ დამოკიდებულებებს ფერად-ფერად ქაღალდებში ახვევენ და ყველაზე ჭრელ, მზიან, ცოცხალ და ლამაზ თაიგულებს ქმნიან, თანაც – დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში (***ქეთევან წამებულის 1***).



## IRINKA'S MAKE UP

დიდი შანსია, კახეთში მოგზაურობისას სადღესასწაულო ვახშამზე აღმოჩნდეთ. ჯადოსნური მაკიაჟის გასაკეთებლად კი Irinka's Make Up-ს მიაკითხეთ. სალონი თელავის ცენტრთან ახლოს მდებარეობს და იდეალური მომსახურებითა და გარემოთი გამოირჩევა. აქ ყველა სტუმრის მიმართ ინდივიდუალური მიდგომაა და მათ ხასიათს, გემოვნებასა და სურვილებს ყველა დეტალში ითვალისწინებენ. რაც მთავარია, Irinka's Make Up-ში ვიზაჟი მაღალი დონისა და საუკეთესო ხარისხის ბრენდული კოსმეტიკით კეთდება. მოკლედ, თუ ლამაზი მაკიაჟით თავის მოწონება გსურთ, თელავში სწორედ ამ სალონს უნდა ეწვიოთ (***კორძაძის ქ. 3***).




## ბრავო

თუ ტურისტების საუკეთესო მრჩეველ TripAdvisor-ს დაუჯერებთ, თელავში ჩასვლისთანავე „ბრავოსკენ“ უნდა გაეშუროთ. „ნადიკვრის“ პარკისკენ მიმავალ გზაზე თავადაც შენიშნავთ მყუდრო შენობას ლამაზი ყვავილებით მორთული ეზოთი. მოგზაურთა ხუთვარსკვლავიან შეფასებებს ამყარებს მრავალფეროვანი მენიუც, რომელიც მისაღები ფასებითა და საფირმო ასორტიმენტით გამოირჩევა. მნიშვნელობა არ აქვს, საუზმეზე არომატული ყავით ტკბობა გსურთ, სადილად ქართულ-ევროპული კერძების დაგემოვნება თუ ვახშამზე საუკეთესო ღვინის დაჭაშნიკება – „ბრავო“ გურმანთა ყველა სურვილს ერთ სივრცეში აერთიანებს (***ნადიკვრის ქ. 11***).





ფოტო: გიორგი ჩაჩაშვილი (CHEKI).



თელავი



## თელავის თეატრი

თელავში სეირნობისას აუცილებლად შენიშნავთ უზარმაზარ შენობას, რომელიც ქალაქის ცენტრშია წამოჭიმული. ეს ვაჟა-ფშაველას სახელობის დრამატული თეატრია და თავისი უნიკალური ისტორიითა და დასით გამოირჩევა. ამჟამად თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი პაატა გულიაშვილია, სამხატვრო კონსულტანტი კი – რობერტ სტურუა. თეატრის ბოლოდროინდელი წარმატებებიდან აუცილებლად აღსანიშნავია ჰაინრიხ ფონ კლაისტის „ვინ გატეხა ქოთანი", რომელიც რობერტ სტურუასა და ნიკოლოზ ჰაინე-შველიძის რეჟისორობით დაიდგა. თეატრის შენობა რეაბილიტაციის პროცესშია – 26 მაისიდან სტუმრებთან შეხვედრას კიდევ უფრო ლამაზი ფასადით აპირებს და მთელი საქართველოდან რაც შეიძლება მეტი ადამიანის ვიზიტს ელის (***ერეკლე II-ს მოედანი***).





## კახეთის მეღვინეთა გილდია

„კახეთის მეღვინეთა გილდია" ერეკლე მეფის ქალაქის ცენტრში მდებარეობს და რეგიონის საუკეთესო ღვინის მარნებს აერთიანებს. აქ არამხოლოდ ყველაზე გემრიელ სასმელს შემოგთავაზებენ, არამედ დაგეხმარებიან, მთლიანად შეიგრძნოთ სიამოვნება, რომელსაც კახური ვოიაჟი გულისხმობს. 200-ზე მეტი სახეობის ღვინო, დეგუსტაციები, ქართული სუვენირები, ღვინის ტური, ტრანსპორტითა და საცხოვრებლით უზრუნველყოფა – „კახეთის მეღვინეთა გილდია" უშუალოდ ზრუნავს ყველა სტუმრის კომფორტზე, და ქალაქის ქართველ თუ უცხოელ ვიზიტორებს სწორედ ღვინის, საქართველოსა და ქართული ტრადიციების სიყვარულით აერთიანებს (***რუსთაველის 1***).

ტექსტი: ელენე მარგალითაშვილი.




ფოტო: გიორგი ჩაჩაშვილი (CHEKI).

***ჩვენ გიზიარებთ ჭეშმარიტებას! „ჭეშმარიტება ღვინოშია" - ანტიკური ანდაზა***



BEAUTY

# Travel Tips

**ნაცნობი ამბავია – თვეების განმავლობაში ემზადებით საზაფხულო არდადეგებისთვის და კვების რაციონიდან მთლიანად იღებთ ტკბილეულს, სასუსნავსა და ალკოჰოლს. ყველაფერს აკეთებთ იმისათვის, რომ საცურაო კოსტიუმში თავი თავდაჯერებულად და მიმზიდველად იგრძნოთ. HELLO!-ს ხუთი რჩევა დაგეხმარებათ, რომ დაკლებული წონა დასვენებისას არ აინაზღაუროთ**

ნანატრი დღის დადგომასთან ერთად, იწყება სანაპიროს კაფეში მირთმეული გემრიელი საუზმეები, აუზის პირას მოწრუპული კოქტეილები და რესტორნის ნოყიერი ვახშმები. ეს ყველაფერი, რასაკვირველია, ერთ შედეგამდე მიდის – შინ იმაზე „მძიმეები" ბრუნდებით, ვიდრე დიეტის დაწყებამდე იყავით.

1

**შვედური მაგიდა** ბევრ სასტუმროში შემოგთავაზებენ საუზმეს ან სამჯერად კვებას. ეცადეთ, მხოლოდ ერთი თეფში გაავსოთ და ამით დაკმაყოფილდეთ. თუ ჯანსაღი კერძების შეკვეთა შესაძლებელია, ეს შანსი ხელიდან არ გაუშვათ. საუზმედ კი უპირატესობა მოხარშულ კვერცხს ან „გლაზუნიას" მიანიჭეთ. გემრიელად დაგანაყრებთ რუხ პურზე გადასმული ავოკადოც.

2

**ჩაანაცვლეთ სასმელი** ტკბილი კოქტეილები თავსაც გატკიებთ და კალორიებსაც გმატებთ. უფრო სწორი, მარტივი და სასარგებლო იქნება, თუ თითო ბოკალ ღვინოს მოსვამთ ან მოდელების რჩევას გაითვალისწინებთ და არყის „დაბალკალორიულ ულუფას" ლაიმის 100%-ით ნატურალურ წვენთან ერთად დალევთ.

3

**არა – სასუსნავებს!** ჯადოსნური შეგრძნებაა, როცა პლაჟზე ზიხარ, ლუდს ან კოქტეილს სვამ და მზის ჩასვლას უყურებ. ეცადეთ, ასეთ დროს სასმელს საჭმელი არ მიაყოლოთ. განსაკუთრებით საზიანოა მარილიანი თხილეული, მზესუმზირა და სხვა მსგავსი სასუსნავები.

4

**მეტი ხილი** ცხელ ამინდებში არაფერია ცივ ხილზე უფრო გემრიელი და ჯანსაღი. პლაჟზე გასვლამდე ხილი პარკში მოათავსეთ და როცა წახემსება მოგინდებათ, ანტიოქსიდანტებით სავსე პროდუქტით ისიამოვნეთ. ეს თქვენს სხეულს დეჰიდრირებისგანაც დაიცავს და ზედმეტი კილოგრამებისგანაც.

5

**იმოძრავეთ** შესაძლოა ზაფხულის გატარებას სავარჯიშო დარბაზში არ აპირებთ, მაგრამ სეირნობას წინ არაფერი უდგას. ითამაშეთ ჩოგბურთი, მაგიდის თამაშები, იარეთ ველოსიპედით, იცურავეთ და იმოგზაურეთ – ეს კალორიების დაწვის ყველაზე ეფექტური, საინტერესო და სახალისო საშუალებაა.

**მოდელები გვირჩევენ კალორიული დესერტები ხილის სალათებითა და ხილის ყინულით ჩავანაცვლოთ. ეს ცხელ ამინდებში დეჰიდრირებისგანაც დაგიცავთ.**

ფოტო: NADINE BAGGOTT. ფოტო: GETTY IMAGES



captain plus

მ. ბროსეს ქ. №2
242 40 40
facebook.com/capplus
www.captain.ge



TRAVEL

# სამეფო ტური

მიუხედავად იმისა, რომ მათი ტურები ძირითადად ოფიციალურ ვიზიტებს უკავშირდება, დასვენება სამეფო ოჯახის წევრებსაც ისევე სჭირდებათ, როგორც ჩვენ. მოგზაურობა ხომ ყველას უყვარს?! HELLO! ბრიტანეთის მონარქების საყვარელ მიმართულებებს გაგაცნობთ და იქ სამოგზაუროდ პრაქტიკულ რჩევებსაც მოგცემთ

## ინდოეთი და ბჰუტანი

კემბრიჯის ჰერცოგი და ჰერცოგინია შვიდი დღით ინდოეთსა და ბჰუტანს სტუმრობდნენ. მოგვიანებით აღიარეს, რომ ეს მათ ცხოვრებაში ყველაზე ფერადი მოგზაურობა იყო. დეტალებს ჩვენ გაგიმხელთ...



მზის ჩასვლა ინდოეთში, კაზირანგის ეროვნულ პარკში

### ინდოეთი

ინდოეთი ხალხისა და ტრადიციების ერთგვარი მიქსია. რთულად მოხვდებით უფრო მრავალფეროვან და ჭრელ მხარეში, ვიდრე ინდოეთია. პრინც ჰარისა და კეიტ მიდლტონის მოგზაურობა მუმბაიში იწყება და ნიუ-დელიში გრძელდება. მათი კვალი კაზირანგის ეროვნულ პარკს მიუყვება, „წითელ წიგნში“ შესულ ცხოველებს ხვდება და მზის ჩასვლისას ტაჯ-მაჰალის ჯადოსნურ პეიზაჟამდე მიდის.

**მისამართი** საუკეთესო არჩევანი ნიუ-დელიში მდებარე Leela Palace-ია. უზარმაზარი სვეტები, ხელით შეკერილი ხალიჩები და ვენეციური მინის ჭაღები – აქ ინდოეთის კულტურა მთელი თავისი დიდებულებითაა წარმოჩენილი. უზარმაზარი საძინებლების ფანჯრებიდან ვარსკვლავებით მოჭედილი ცა მოჩანს, განტვირთვაში კი სასტუმროს ბოლო სართულზე განთავსებული აუზი, სპასალონი და დაუვიწყარი მასაჟი გეხმარებათ.

**დეტალები** Leela Palace-ში შვიდი ღამის გატარება დაახლოებით 1400 დოლარი ღირს. ფასში საუზმე, მგზავრობა და ტრანსფერიც შედის.



ტაკწანგ-ძონგი, იგივე „ვეფხვის ბუდე“, რომელიც ბჰუტანში მდებარეობს



კემბრიჯის ჰერცოგი და ჰერცოგინია ინდოეთში ვიზიტისას

## ბჰუტანი

ბჰუტანი ხელუხლებელი ისტორიის შესანიშნავი ნიმუშია. ლაბირინთებში ჩაბუდებული უძველესი სოფლებისა და მთიანი პეიზაჟების სამეფოში განსაკუთრებულად მოიხიბლებით თიმფუს ღირსშესანიშნაობებით, რომელთაგანაც ძონგის მონასტერი გამოირჩევა. სწორედ აქ იყო კეიტისა და უილიამის პირველი გაჩერება. სიაში შემდეგია გრანიტის კლდეები, რომლებიც ზღვას 3000 მეტრის სიმაღლიდან გადმოჰყურებენ. მწვერვალამდე მისაღწევად მხოლოდ ორი გზაა: ფეხით (რაც მინიმუმ ექვს საათს მოითხოვს) და ცხენით სავალი. ჰერცოგმა და ჰერცოგინიამ უპირატესობა ფეხით სიარულს მიანიჭეს.

**მისამართი** ლურჯი ფიჭვნარით გარშემორტყმულ Amankora Thimphu Lodge-ში ცხოვრება დროში მოგზაურობას ჰგავს. არქიტექტურა ძონგის სტილითაა ინსპირირებული. ანტიკურ იერსახესთან იდეალურადაა შეზავებული თანამედროვე დეტალებიც. ხეები, მლოცველთა გალობის ხმა, ჩიტების ჭიკჭიკი და ლამაზი ხედები – შინაგანი სიმშვიდის მოსაპოვებლად აქ იდეალური გარემოა. თანაც, ეს პატარა სავანე ქალაქის ცენტრიდან სულ რამდენიმე წუთის სავალზე იმალება.

**დეტალები** ამ სასტუმროში შვიდდღიანი დასვენება 9000 დოლარამდე ღირს. ფასში შესულია ფრენისა და ტრანსფერის ღირებულებაც.

**ტექსტი**: HARRIET CHARNOCK-BATES. **ფოტო**: GETTY IMAGES.



პრინცი ჰარი

## ორლანდო, ფლორიდა

გართობის მოყვარული პრინცი ჰარი უპირატესობას „მზიან შტატს“ ანიჭებს და „დაუმარცხებელთა თამაშებით“ (Invictus Games) ტკბება. ფლორიდაში ყოველთვის კარგი ამინდი და მხიარული ატმოსფეროა. ის სავსეა ფერად-ფერადი უბნებით, ჯადოსნური პარკებითა და გასართობი ადგილებით.

პრინცი ჰარი ორლანდოს მაისში ეწვევა. ბრიტანული სამეფო ოჯახის წარმომადგენელს შეგიძლიათ თქვენც მიბაძოთ და უსაზღვრო სიმწვანით, სასიამოვნო ბრიზებით, „დავარცხნილი“ ბაღებითა და „დისნეილენდის“ ჯადოსნური სამყაროთი დატკბეთ. გოლფის მოყვარულებს აქ თავისი „სამოთხე“ ექნებათ, დანარჩენები კი ველურ ბუნებაში საჰაერო ტრანსპორტით იმოგზაურებენ.

**მისამართი** ორლანდოში არსებობს ერთი მომაჯადოებელი სასტუმრო, სახელად Four Seasons Orlando, რომელიც პირდაპირ Walt Disney World Resort-ზეა განთავსებული. აქ დღე აივანზე მირთმეული არომატული ყავით იწყება, მზიანი და ფერადი ხედებით გრძელდება და ღამის ცხოვრების მრავალფეროვანი მენიუთი სრულდება. დღისითაც და ღამითაც შეგიძლიათ „დისნეის“ მხიარული თავგადასავლებით ისიამოვნოთ და სხვადასხვა ქვეყნის სამზარეულოთი დატკბეთ.

**დეტალები** Four Seasons Orlando-ში ერთკვირიანი დასვენება 8500 დოლარამდე დაგიჯდებათ. ფასში ოთხადგილიანი ოჯახური ნომერი, ფრენა და ტრანსფერიც შევა. H



ლურჯი ყანჩა ორლანდოში მდებარე ტბას გადაჰყურებს



საღამოს პეიზაჟი ორლანდოში, ცნობილ შინგელ-კრიკზე



TRAVEL

# სამოგზაურო ციებ-ცხელება

ზაფხულის მოახლოებასთან ერთად, დასვენების საკითხი უფრო და უფრო აქტუალური ხდება. თუ თანამგზავრი უკვე არჩეული გყავთ, ისღა დაგრჩენიათ, შესაფერისი მიმართულება მონახოთ და ტურის დაგეგმვა დროულად დაიწყოთ. ამჯერად HELLO! წარმოგიდგენთ ადგილებს, რომლებიც იდეალურია როგორც საყვარელ ადამიანებთან ერთად, ისე მარტო მოგზაურობისთვის...





## ბალი

### ზღაპრული ეგზოტიკა

ამ პერიოდში ბალიზე მოგზაურობა განსაკუთრებულად სასიამოვნოა. იქ ყოველთვის დასვენების ამინდი და ჯადოსნური ატმოსფეროა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ადგილი ახალდაქორწინებულთა სამოთხედ მიიჩნევა, ბალური არდადეგების მოწყობა სრულიად დამოუკიდებლადაც შეგიძლიათ. თუ მარტო მოგზაურობას გადაწყვეტთ, თავს Eat, Pray, Love-ის მთავარ პერსონაჟად იგრძნობთ და სავარაუდოდ, სოფელ უბუდისკენაც გაეშურებით. ისე კი, სადაც უნდა მიხვიდეთ, ბალი ყველგან ზღაპრულია. ის საკუთარი თავის ხელახლა აღმოჩენაში, სულიერ და ფიზიკურ განტვირთვაში, ღირებულებების გადაფასებასა და პრიორიტეტების სწორად გადანაწილებაში გეხმარებათ. ეს მისტიკური მიწა მთლიანად დაგიპყრობთ უნიკალური ტრადიციებით, კულტურით, სამზარეულოთი, ბუნებითა და არქიტექტურით. გაგაოცებთ ადგილობრივთა კეთილგანწყობა და სტუმართმოყვარეობაც. არ აქვს მნიშვნელობა, მარტო იქნებით თუ შეყვარებულთან ან მეგობართან ერთად – ბალელები ყველა შემთხვევაში საუკეთესოდ მოგემსახურებიან და თავს მათი ოჯახის წევრად გაგრძნობინებენ. რაც მთავარია, ეს მოგზაურობა მთლიანად დაგავიწყებთ ყოფით პრობლემებს, ყოველდღიურ საფიქრალს, და ყველა იმ წვრილმანს, რომელიც ძილის წინ გაწუხებთ. გირჩევთ, აუცილებლად დააგემოვნოთ ე.წ. „მატიას ჩაი“ ანდა ყველა სხვა „თერაპიული“ პროდუქტი, რომელიც ადგილობრივად მოყვანილი და დაფქული მწვანე ჩაისგან მზადდება.

**მისამართი** დიდი ძებნის შემდეგ, Hanging Gardens of Bali-ს მივაგენით. ეს ადგილი საუკეთესოთა შორის საუკეთესოა და თქვენს კომფორტსა და მყუდროებაზე განსაკუთრებულად ზრუნავს. ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო პირდაპირ მდინარეს გადაჰყურებს და დამსვენებლებს ბალის ხელუხლებელი ბუნების პეიზაჟებს სთავაზობს. აქვეა აუზები, სპამომსახურება, ტერასები, უფასო ინტერნეტი და მრავალფეროვანი სამზარეულო. ნომრები ადგილობრივი ტრადიციების შესაბამისადაა გაფორმებული. აღსანიშნავია, რომ Hanging Gardens of Bali უბუდის ცენტრიდან ზუსტად ნახევარი საათის სავალზე მდებარეობს.

**დეტალები** ზემოთ აღნიშნულ სასტუმროში დასვენება შედარებით ძვირი სიამოვნებაა. ყველაზე ხელმისაწვდომი საგზური კი, რომელიც საუკეთესო ავიახაზებით ფრენასა და კარგ სასტუმროში განთავსებას გულისხმობს, 999 ევრო ღირს. ღირებულება თქვენი მოთხოვნებისამებრ იცვლება.

**ტექსტი**: ელენე მარგალითაშვილი. **ფოტო**: GETTY IMAGES.

# მიკონოსი

## თეთრი კურორტი ზღაპრული პლაჟებით

საბერძნეთის ერთ-ერთ ყველაზე ლამაზ და „ქათქათა“ კუნძულზე დასვენებით მიღებული შთაბეჭდილებები თქვენი მეხსიერებიდან არასოდეს გაუფერულდება. მიკონოსი ის ადგილია, რომელზეც ყველას აღფრთოვანებით მოუყვებით. თეთრი კურორტი ზღაპრული პლაჟებით, უნიკალური არქიტექტურული სტილით, მუდმივად ლურჯი ცითა და კამკამა წყლით გაგაოცებთ. აქ მოწყენილ, სევდიან, გაბრაზებულ და დეპრესიაში მყოფ ადამიანს ვერ შეხვდებით – ყველა მშვიდი, ბედნიერი, ღიმილიანი და მეგობრულია. თუ მხოლოდ დასვენება და სიმშვიდე გსურთ, გირჩევთ კუნძულის ჩრდილოეთით დაბინავდეთ. იმ შემთხვევაში კი, თუ წვეულებებისა და კოქტეილების მოყვარული ხართ, სამხრეთის ნაპირებს უნდა მიაშუროთ. აქვე ისიამოვნებთ სერფინგით, ჯირითით, პარაპლანით ფრენითა და სხვა გასართობი საშუალებებით. როგორც მიხვდით, საოცარ სიმშვიდესთან ერთად, ეს ადგილი ხმაურიან ღამის ცხოვრებასაც გთავაზობთ. აუცილებლად ეწვიეთ მიკონოსის ბიბლიოთეკას, რომელიც მე-18 საუკუნეში გამოგზაურებთ. მოინახულეთ „პატარა ვენეციაც“, რომელიც თავს წყალზე აშენებულ ქალაქში გაგრძნობინებთ. კარგი იქნება, თუ არქეოლოგიის მუზეუმსაც ესტუმრებით და მისტიკური სამყაროთი ისიამოვნებთ. „ქარის კუნძულად“ ცნობილ კურორტზე წვიმიანი სეზონი სულ ცოტა ხნის წინ, მარტში დასრულდა. ასე რომ, ახლა სწორედ ის იდეალური პერიოდია, როცა მიკონოსზე მოგზაურობის დაგეგმვა უნდა დაიწყოთ.

**მისამართი** მაქსიმალური სიამოვნების მისაღებად, გირჩევთ Mykonos Grand Hotel & Resort-ს ესტუმროთ. ეს ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო სანაპიროდან ზუსტად 1 წუთის სავალზე მდებარეობს და დელოსის კუნძულს გადაჰყურებს. რაც შეეხება სხვა უპირატესობებს, აქ გამაჯანსაღებელი ცენტრის მომსახურებას, კიკლადურ არქიტექტურას, ორიგინალურ დეკორაციებს, უახლეს ტექნოლოგიებს, გრილისა და თევზეულის უნიკალურ მენიუს, შთამბეჭდავ პეიზაჟებსა და სპაპროცედურებს გთავაზობენ.

**დეტალები** მიკონოსური არდადეგების დაგეგმვისას, ძალიან მნიშვნელოვანია ნაადრევი ჯავშანი – წინდახედულობა ნამდვილად დიდ თანხას დაგაზოგინებთ. ფასები მერყევია და თქვენი პრიორიტეტების მიხედვით იცვლება. ამიტომ, უმჯობესი იქნება, თუ დეტალების შესახებ ტურისტულ სააგენტოს დაეკონტაქტებით.





****საუკეთესო პირობებისა და მეტი ინფორმაციის მისაღებად დაუკავშირდით **„კაპიტან პლუსს“**, ტელ.: +995 032 242 40 40 ელექტრონული ფოსტა: captain@captain.ge, ოფიციალური გვერდი Facebook-ზე: **Captain Plus**.*



COOKERY

# ფერადი დესერტი

მაისის თბილ ამინდებს, მზიან დღეებსა და პოზიტიურ აურას განსაკუთრებულად უხდება ფერადი ტკბილეული, რომელიც განწყობას კიდევ უფრო აუმჯობესებს. თუ გსურთ თქვენ მიერ მომზადებული დესერტი გემრიელთან ერთად ლამაზიც იყოს, ეს გვერდები ბოლომდე უნდა ჩაიკითხოთ – სტუმრების მოჯადოებაში სწორედ ჩვენი რეცეპტები დაგეხმარებათ



## თეთრი შოკოლადის ლოლიპოპი

ეს ნამცხვარი თითოეულ სტუმარს გაალიმებს და გააოცებს. თეთრი, ლამაზი ლოლიპოპები აუცილებ-ლად გადაიქცევიან საგაზაფხულო სუფრის მთავარ გმირებად. მათი მომზადება ძალიან მარტივია და მხოლოდ თქვენს სურვილს, და ნახევარ საათს მოითხოვს.

**რეცეპტი** 20 ულუფა

**მოსამზადებელი დრო**
30 წუთი

**ინგრედიენტები**
- 2 ს/კ ნაღების კრემი
- 25 გრ კარაქი
- 100 გრ თეთრი შოკოლადი
- 175 გრ ტკბილი ბისკვიტი (*დანამცეცებული*)

**ინგრედიენტები გაფორმებისთვის**
- 20 ც ლოლიპოპის ჩხირი
- 200 გრ თეთრი შოკოლადი

**მომზადების წესი**

**1.** ჯამში მოათავსეთ კრემი, კარაქი, თეთრი შოკოლადის ნატეხები და ძალიან ნელ ცეცხლზე დადგით. მოურიეთ, სანამ ყველაფერი დადნება და ერთმანეთში აითქვიფება.
**2.** ჯამი ცეცხლიდან გადმოდგით და მიქსში ბისკვიტის ნამცეცები ჩაყარეთ.
**3.** კარგად აურიეთ და ერთი საათით მაცივარში გააჩერეთ.
**4.** მიღებული მასა მაცივრიდან გამოდგით და პატარა ბურთულებად დაყავით ისე, რომ ლოლიპოპებს დაემსგავსოს.
**5.** ლოლიპოპებს ჩხირები გაუკეთეთ და ერთი ღამით მაცივარში დატოვეთ.
**6.** მეორე დღეს დაადნეთ თეთრი შოკოლადი და მასში თითოეული ლოლიპოპი ისე ამოავლეთ, რომ მთლიანად თეთრი შოკოლადის გარსით დაიფაროს.
**7.** სანამ ლოლიპოპები საბოლოოდ გაგრილდება, ფერადი შაქრის ფხვნილი მოაფრქვიეთ და ლამაზ ჭიქებში ჩააწყვეთ ისე, რომ ჩხირები ქვემოთ მოექცეს.

# ფლორენტინები

ეს ფლორენციული დესერტი განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს სადღესასწაულო მენიუებში. ტკბილეული, რომელიც პირში დნება და საოცრად ჰარმონიული არომატით გამოირჩევა, თეთრი შოკოლადის მოყვარულთა რჩეულია, თუმცა მისი მომზადება შავი ან რძიანი შოკოლადითაც შეგიძლიათ.

**რეცეპტი** 24 ულუფა

**მოსამზადებელი დრო**
2 საათი

**ინგრედიენტები**
- 50 გრ მარგარინი
- 50 გრ შაქარი
- 3 ს/კ ნაღების კრემი
- 25 გრ ნუშის ფანტელი
- 50 გრ ფსტა (*წვრილად დაჭრილი)*
- 25 გრ ნიგოზი (*წვრილად დაჭრილი*)
- 60 გრ ალუბლის, გარგრის ან ციტრუსის მურაბა
- 2 ს/კ ფქვილი
- 100 გრ თეთრი შოკოლადი (*დამტვრეული*)

**მომზადების წესი**
**1.** ღუმელი 180°C-მდე გააცხელეთ და ორ ლანგარს საცხობი ქაღალდი გადააკარით.
**2.** დიდ ქვაბში მოათავსეთ მარგარინი, შაქარი, ნაღების კრემი, და ნელ ცეცხლზე დატოვეთ, ვიდრე სამივე არ დადნება. ადუღების შემდეგ ცეცხლიდან გადმოდგით. ჩაყარეთ თხილეული, მურაბა, ფქვილი, და კარგად მოურიეთ.
**3.** მიქსი პატარ-პატარა ბურთულებად გადაიტანეთ საცხობ ლანგარზე და 10 წუთის განმავლობაში გამოაცხვეთ. სანამ ფლორენტინები გაგრილდება, მაქსიმალურად მრგვალი ფორმა მიაღებინეთ და საცხობი ქაღალდი შემოაცალეთ.
**4.** ძალიან ნელ ცეცხლზე მოათავსეთ ჯამი, ჩაყარეთ თეთრი შოკოლადი და დაადნეთ. დამდნარი შოკოლადი ფლორენტინებს მოასხით და გასაგრილებლად დატოვეთ. შეგიძლიათ თეთრი შოკოლადის გაგრილებამდე ზედაპირი ჩანგლით „დახაზოთ“ და ამით ფლორენტინებს უფრო საუცხოო იერი მისცეთ.






ფოტო: SARAH HAMILTON-WALKER

# სამოთხის ჩიტები

ეს პაწაწინა „სამოთხის ჩიტები“ ნებისმიერი შინაარსის სუფრას დაამშვენებენ. ყველაფერს კიდევ უფრო საგაზაფხულო და ჯადოსნური ელფერი ექნება, თუ ტკბილეულს სპეციალურ ვერცხლისფერ ბრჭყვიალებს მოაფრქვევთ. მათი შეძენა ტკბილეულის მაღაზიებში შეგიძლიათ.

**რეცეპტი** 24 ულუფა

**მოსამზადებელი დრო**
1 საათი

**ინგრედიენტები**
- 115 გრ კარაქი
- 50 გრ შაქარი
- 1 ც კვერცხი
- 200 გრ ფქვილი
- 1 ს/კ წვრილად დაჭრილი/დაფქვილი ნუში

**ინგრედიენტები გაფორმებისთვის**
- 50 გრ შაქრის ფხვნილი
- 2 ს/კ ლიმონის წვენი
- შაქარი (*მოსაყრელად*)
- ვერცხლისფერი (*ან სასურველი ფერის*) ბრჭყვიალები

**მომზადების წესი**
**1.** დიდ ჯამში ათქვიფეთ კარაქი, შაქარი და კვერცხი. მას შემდეგ, რაც ღია ფერის კრემისებრ მასას მიიღებთ, შეურიეთ ფქვილი და ნუში. ცომი ფოლგის ქაღალდით შეფუთეთ და მაცივარში ერთი საათით გააჩერეთ.
**2.** გააცხელეთ ღუმელი 180°C-მდე და მოამზადეთ ორი საცხობი ლანგარი. ცომი გააბრტყელეთ და სპეციალური გამოსაჭრელი ფორმით მტრედები გამოჭერით.
**3.** ორივე ლანგარს ფქვილი მოაფრქვიეთ და ზედაპირზე „სამოთხის ჩიტები“ დააწყვეთ. გამოაცხვეთ 10 წუთის განმავლობაში, შემდეგ კი გააგრილეთ.
**4.** ერთმანეთში აურიეთ ლიმონის წვენი, შაქრის ფხვნილი და მიღებული მასა თითოეულ ორცხობილას ფუნჯით გადაუსვით, შემდეგ კი შაქარი მოაყარეთ. სანამ ორცხობილები ბოლომდე გაშრება, ვერცხლისფერი ბრჭყვიალებიც მოაფრქვიეთ და „სამოთხის ჩიტები“ ლამაზ ჭურჭელზე გადაიტანეთ.



*HALF HOUR...*

# ათუკა ედიშერაშვილი

A2K-ს თითქმის ყველა მელომანი იცნობს. მუსიკოსს, რომელიც ყოველთვის წინ მიიწევს და არასოდეს წყვეტს ახალ კომპოზიციებზე მუშაობას, მხოლოდ საქართველოში კი არა, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში უსმენენ და აფასებენ. იბიცაზეც დაუკრავს და ბარსელონაშიც, თუმცა ფრანგ და ქართველ მსმენელებს მაინც განსაკუთრებულად გამოარჩევს.

გარდა სოლოკარიერული წინსვლისა, ათუკა ედიშერაშვილი TSU ART-თან ერთადაც ვითარდება და ახალ-ახალ ნამუშევრებს ქმნის. ამჟამად კი საკუთარ ალბომზე მუშაობს და HELLO!-ს სხვადასხვა თემაზე გულახდილად ესაუბრება.

**რა ხდება A2K-ს კარიერულ ცხოვრებაში?**
**ა.ე.** სოლოალბომზე ვმუშაობ და ამჟამად ბოლო დეტალებს ვაგვარებ. კომპოზიციები უკვე დასრულებულია და ალბათ სექტემბრის დასაწყისში გამოვა. სახელი ჯერ არ მომიფიქრებია, თუმცა ვიცი, რომ ალბომი ათ ნამუშევარს გააერთიანებს და ათივე სოლოკომპოზიცია იქნება. ისე კი, ხშირად ვუკრავ თბილისში და საზღვარგარეთიდანაც ბევრი შემოთავაზება მაქვს. ზაფხულში ბარსელონაში წასვლას ვაპირებ...

**როგორც ვიცით, ალბომზე ბენდთან ერთადაც იმუშავეთ...**
**ა.ე.** დიახ, TSU ART-ის ალბომი „333“ უკვე გამოსულია და მასში 12 კომპოზიციაა შესული. ისეთ მუსიკოსებთან ვითანამშრომლეთ, როგორებიც მარიკო ებრალიძე, თსუ-ს ვაჟთა ვოკალური ანსამბლი და მეგი მუქერია არიან.

**აღნიშნეთ, რომ ბარსელონაში ხართ მიწვეული. კიდევ რა გეგმები გაქვთ?**
**ა.ე.** ჩემი მთავარი მიზანია, წელიწადში რამდენჯერმე მაინც წარვდგე უცხოელი მსმენელების წინაშე. მას შემდეგ, რაც იბიცასა და ბარსელონაში დავუკარი, უამრავი შემოთავაზება მივიღე. სწორედ ამიტომაა, რომ საზღვრებს გარეთ თითქმის ყოველ ზაფხულს ვუკრავ.

**რომელი აუდიტორიისთვის გსიამოვნებთ დაკვრა ყველაზე მეტად?**
**ა.ე.** ჩვენი აუდიტორია აშკარად დაიხვეწა და ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესოა, რაც ძალიან მახარებს. ქართველმა მსმენელებმა მუსიკოსების გვერდით დგომა ისწავლეს – უკვე დიდი ხანია, ჩვენს არტისტებს აპიარებენ, ეხმარებიან, ამხნევებენ... მხოლოდ უცხოელების მოსასმენად აღარ დადიან და ქართველ DJ-ის ცარიელ დარბაზში აღარ აკვრევინებენ. პირიქით – სხვადასხვა ივენთზე სპეციალურად დროზე ადრე მიდიან ხოლმე, რომ ქართველს მოუსმინონ. ისე კი, ფრანგ მსმენელებს გამოვარჩევდი. როგორც მუსიკოსმა, მათგან დიდი მუხტი და დაფასება ვიგრძენი.

**იმედია, HELLO!-ს პირადი ცხოვრების სიახლეებსაც გაუმხელთ...**
**ა.ე.** ასე გეტყვით – თავისუფალი არ ვარ, „ძალიან დაკავებული“ გახლავართ. ბედნიერი და კმაყოფილი ვარ ჩემი პირადი ცხოვრებით და მიმაჩნია, რომ ძალიან კარგ ეტაპს გავდივარ. რაც მთავარია, პირადი ხელს არ უშლის ჩემს კარიერას, და პირიქით.

**როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი რამდენიმე წლის შემდეგ?**
**ა.ე.** ზუსტად ვიცი, რომ ისევ მუსიკას შევქმნი და სხვადასხვა ადგილას ხშირად დავუკრავ. მინდა, მსოფლიო სწორედ ჩემს მუსიკასთან ერთად მოვიარო და საკუთარი ნამუშევრები სხვა ქვეყნებსაც დავამახსოვრო. ერთი ოცნება უკვე ავიხდინე – OLIVER HUNTEMANN-თან ერთად დავუკარი. ის ჩემზე დღემდე ახდენს გავლენას.

**ამ გადმოსახედიდან, რას ურჩევდით დამწყებ მუსიკოსებს?**
**ა.ე.** თუ მუსიკოსობა გინდათ, სხვა საქმეებს უნდა შეეშვათ და მიხედოთ იმას, რისთვისაც დაიბადეთ. მუსიკა გულით უნდა აკეთოთ და საკუთარ თავში ეჭვი რომ შეგეპარებათ, სწორედ მაშინ უნდა მოიკრიბოთ ბოლო ძალები იმისათვის, რომ ოცნებები აიხდინოთ და წარმატებულ მუსიკოსებად იქცეთ. H

**ტექსტი**: ელენე მარგალიტაშვილი. **ფოტო**: HELLO! GEORGIA.

HELLO! GEORGIA

**გამომცემელი და მთავარი რედაქტორი** ნინო იოსელიანი

**აღმასრულებელი რედაქტორი** ნანკა კიკალია

**საგარეო ურთიერთობების მენეჯერი** Santiago Velo
**რედაქცია** ლულუ კახიანი, ზურა მახარაშვილი, მაკო მჭედლიშვილი, ნინუცა მაისურაძე
**სტილის რედაქტორი** ელენე მარგალიტაშვილი
**მოდის რედაქტორი** თათია ლაშაური
**მოდის სტილისტი** თეონა ელიზბარაშვილი
**ფოტორედაქტორი** სოფო იოსელიანი
**მარკეტინგი** მარიამ ზაქარეიშვილი, ნანუკა კაკაბაძე
**დიზაინერის ასისტენტი** ნინი ოძელაშვილი

**მთავარი დიზაინერი** დავით სამსონიძე

¡HOLA! HELLO! INTERNATIONAL
**FOUNDER** ANTONIO SÁNCHEZ GOMEZ
**HONRARY PRESIDENT** EDUARDO SANCHEZ JUNCO
**PRESIDENT** MERCEDES JUNCO CALDERON
**CHIEF EXECUTIVE OFFICER** EDUARDO SANCHEZ PEREZ
**GENERAL MANAGER** JAVIER JUNCO AGUADO

**ქართული ფონტები** BPG DejaVu Sans, BPG Rioni Contrast, BPG Rioni Contrast Mt

ISO 9001:2008

დაბეჭდილია სტამბაში "ომეგა თეგი"
საქართველო, თბილისი, სარაჯიშვილის 17
ტელეფონი: 00 995 322 53 03 62

PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE
TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET
TELEPHONE: 00 995 322 53 03 62

Facebook.com/HELLOmagazinegeorgia
Twitter.com/Hellomagazinege

**რედაქციის მისამართი**: აკაკი შანიძის ქუჩა 13, თბილისი, 0179, საქართველო; **ტელ.**: +995 32 298 03 98; **ელ-ფოსტა:** info@hellomagazine.ge; www.hellomagazine.ge

ჟურნალში გამოქვეყნებული მასალა წარმოადგენს ჟურნალ HELLO!-ს საკუთრებას. ჟურნალში დაბეჭდილი ნებისმიერი მასალის გამოყენება გამომცემლობის წერილობითი ნებართვის გარეშე აკრძალულია.

# HELLO! GEORGIA

## შეიძინეთ ჟურნალის ელექტრონული ვერსია




იკითხეთ
**HELLO!**
მთელ მსოფლიოში
სმარტფონებზე, პლანშეტებზე და პერსონალურ კომპიუტერებზე




ჩამოტვირთეთ ქართული **HELLO!** მსოფლიოს უმსხვილესი დახლებიდან

ZINIO და MAGZTER

Google play
App Store

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით
info@hellomagazine.ge


#DontCrackUnderPressure
TAG HEUER
TAGHeuer
SWISS AVANT-GARDE SINCE 1860
AQUARACER CERAMIC DIAMONDS
Bella Hadid, the new generation's favourite, has everything going for her. She's beautiful, vivacious, luminous and free-spirited. She glides through pressure so #DontCrackUnderPressure is the perfect motto for her.
ARTTIME
შენი შვეიცარიული საათი
www.arttime.ge